პროლეტარული მწერლობა

N 1

შინაარსი

ახალი ამოცანები (მოწინავე). კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ენტუზიაზმი. ელიზბარ პოლუმორდვინოვი — ქვეყანა მიდის. გ. კაჭახიძე — ჩემი პირველი უჯრედი. ბ. ჩხეიძე — დღეები. დ. შენგელაია — თეთრები. გ. ნატროშვილი — გ. წერეთელი. თანამედროვეობა და მხატვრობა: ალ. პაპავას, დ. კაკაბაძის, ა. ქუთათელაძის, შ. დუდუჩავას, ვლ. კეშელავას, ი. გამრეკელის, კ. სანაძის, ვ. კოტეტიშვილის, ბ. გორდეზიანის და ს. ჩიქოვანის — პასუხი ანკეტაზე. დ. ბ. — რუსთაველის თეატრი. ბიბლიოგრაფია.

1930

სახელმწიფო გამომცემლობა

899.962.1(05)
პ-82

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროლეტარული მწერლობა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და
მხატვრულ-ლიტერატურული
ორგანო

№ 1

იანვარი
1930

წელიწადი მეოთხე

სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპექტი. № 91.
მთავარლიტი № 63. შეკვეთის № 635. ტირაჟი 1.500.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი ამოცანები

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ თავისი არსებობის მეოთხე წელში გადადგა. ეს ფაქტი თავის-თავად ლაპარაკობს, თუ რამდენათ სიცოცხლის უნარის მქონე, საჭირო და აქტუალური ყოფილა პროლეტარული მწერლობა. სამი წლის მუშაობამ მტკიცედ ჩამოაყალიბა და გამოარკვია ჟურნალის სახე: პროლეტარულ მწერალთა ყველა შემოქმედებითი მიღწევები ჩვენი ჟურნალის საშუალებით გადადიოდა მკითხველებში, ის აწარმოებდა სასტიკ და დაუნდობელ ბრძოლებს მწერლობის რეაქციონურ-მემარჯვენე ფრონტის წინააღმდეგ, სვამდა და არკვევდა თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის პრობლემებს.

ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში „პროლეტარულმა მწერლობა“-მ მტკიცედ შემოიყვანა ლიტერატურაში მთელი რიგი ახალგაზრდათა სახელებისა, შეკრიბა და წეამჭიდროვა თავის ირგვლივ პროლეტარულ კულტურის მშენებელთა საუკეთესო ძალები.

დღეს „პროლეტარულ მწერლობა“-ს უკვე ყავს მუდმივ მკითხველთა ძირითადი კადრი.

მეოთხე წლის დასაწყისში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ: მიუხედავათ იმისა, რომ „პროლეტარულ მწერლობა“-ს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული, სახელოვანი „ტრადიციების“ მქონეა, ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი (საგრძნობია სუსტი მხარეები, უარყოფითი მოვლენები, მრავალია დაუმუშავებელი საკითხი, ხშირია კულტურული რევოლიუციის ტემპისაგან ჩამორჩენა, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა საკითხების გაუშუქებლობა, ახალი მკითხველის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა მთლიანად სათანადოთ დაუკმაყოფილებლობა, მაქსიმალური ინიციატივის უნარის გამოუმჟღავნებლობა და სხვ.).

ახალ წელში მუშაობას განსაკუთრებული ენერგიით დაწყება გულისხმობს, ყველა ამ ნაკლთა გამოსწორებას. გაზრდილ და გაძლიერებულ პროლეტარულ მწერლობას ამ საქმის ღირსეულათ შესრულება უსათუოდ შეუძლია. პროლეტარულ კულტურის მებრძოლი რაზმის ორგანო — მებრძოლი და მაღალი ღირსების უნდა იყოს. ისე ის ვერ შეასრულებს თავის ამოცანებს.

მხატვრულ მწერლობაში ადგილი აქვს სასტიკ კლასიურ ბრძოლას ისე, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში. რეკონსტრუქციის პერიოდში წარსულის ყველა ნაშთების ძირ-ფესვიანათ ამოგდება სწარმოებს. დღეს პარტიის ლოზუნგია — კულაკობის და ახალი ბურჟუაზიის, როგორც კლასის ლიკვიდაცია. გადამწყვეტ ბოლშევიკურ შეტევას, რევოლიუცია უმაღლეს მწვერვალებზე აჰყავს. ვიწროვდება და ისპობა სოფლის ბურჟუაზია — კულაკები. რაიონები და მთელი რესპუბლიკები მთლიანად კოლექტივიზაციაზე გადადიან. ასეთ დროს მწერლობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლი კიდევ უფრო საპასუხისმგებლო და აქტიური ხდება. კლასიური მტერი საკუთარ რეაქციონურ მწერლობას ყოველმხრივ იყენებს. ის მისი საშუალებითაც იბრძვის. მოსპობის გზაზე დამდგარ კლასების მწერლები სცდილობენ რეაქციონურ იდეების პროპაგანდით აქტიურად შეებრძოლონ სოციალისტურ აღმშენებლობის მტკიცე წინსვლას.

დღეს ლიტერატურის თვალსაჩინო მოვლენა ის არის, რომ რეაქციონურ ფრონტის საწინააღმდეგოთ იზრდება და მტკიცდება მწერლობის რევოლიუციონური ფრონტი, რომელიც ცდილობს ახალი კლასის სოციალური დაკვეთა პირნათლად შეასრულოს. თანამგზავრ მწერალთა რიგები თანდათან იზრდება და ის თავის განვითარების ახალ ფაზისში გადადის. რეკონსტრუქციის პერიოდში თანამგზავრობისათვის საჭირო ხდება სოციალისტური აღმშენებლობის პერსპექტივის სრული წარმოდგენა, სოციალისტურ აღმშენებლობაში მეტი ორგანიულობით და პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობით ჩაბმა, დაძლევა თავის მერყევი ბუნების და პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან მეტი უშუალობით დაახლოვება.

საბჭოთა საზოგადოებრივობა და უპირველეს ყოვლისა, პროლეტარული მწერლობა ყოველ მხრივ უნდა დაეხმაროს თანამგზავრებს ასეთ იდეურ გამორკვევის დაჩქარებაში.

პროლეტარული მწერლობა განვითარების ახალ, მაღალ საფეხურზე გადავიდა, მან სამართლიანათ მიიპყრო საბჭოთა საზოგადოებრივობის დიდი ყურადღება. დღეს პროლეტარული მწერლობის მიერ

საზოგადოებრივათ აქტუალური საკითხები ისმება და მუშავდება. თვალსაჩინოთ ამაღლდა მისი მხატვრული დონეც, გაძლიერდა და განმტკიცდა მწერლობის სხვადასხვა სფეროებში (პროზა, მხატვრობა, დრამატურგია, ნარკვევი, კრიტიკა).

რეკონსტრუქციის პერიოდმა მთელი წყება უდიდესი ამოცანებისა დაუსახა პროლეტარულ მწერლობას. ეს გარემოება გვიკარნახებს: პროლეტარული მწერალი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იყოს ჩვენი აღმშენებლობის, წარმოების და კოლექტივიზაციის ცენტრში, მასში უშუალო მონაწილეობას უნდა იღებდეს. ამით ჩვენ დავძლევთ მთელ რიგ უარყოფით, სუსტ მხარეებს, რომელიც ჯერ კიდევ თან სდევს პროლეტარულ მწერლობას და განვამტკიცებთ ისეთ აქტიურ მწერლობას, როგორიც ესაჭიროება დღევანდელ გარდატეხის და აღმშენებლობის ხანას.

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" თავის მუშაობით უნდა გახდეს აქტიური მამოძრავებელი ძალა პროლეტარულ მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის, პროლეტარულ მწერალთ საქმიანობის ყველა სფეროებში გადამტანი. რეკონსტრუქციის პერიოდში ჩვენი ჟურნალის ამოცანაა გახდეს ახალი კულტურის მშენებელთა დამკვრელ შტაბათ. ამ მიზნით მიმდინარე წელში გატარდება ჩვენი ჟურნალის ძირითადი გადახალისება. გამახვილებული იქნება ჩვენი ჟურნალის მებრძოლი ტრადიციები.

ჟურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს კულტურულ რევოლიუციის, ხელოვნების, ლიტერატურის პრინციპიალურ-პრაქტიკულ საკითხებს. „პროლეტარული მწერლობა" „ნაპოსტოვურ" შეუდრეკელობით იბრძოლებს კულტურის ფრონტზე პროლეტარიატის პოზიციების განმტკიცებისათვის, ამ ფრონტის ბოლშევიკური დაპყრობისათვის, ბურჟუაზიულ - თავად - აზნაურულ - ობივატელურ უმსგავსოებათა აღმოფხვრისათვის, შავი და წითელი ხალტურის მოსასპობათ და სხვ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ყოფა-ცხოვრებითი საკითხები— ჩვენი ჟურნალის მასალის ქვაკუთხედათ გადაიქცევა.

„პროლეტარული მწერლობა" აგრეთვე თვალყურს ადევნებს, თუ რამდენათ ჩაებმება პროლეტარული და თანამგზავრული მწერალი წარმოების და კოლექტივის მუშაობაში, ყოველმხრივ პრაქტიკულად ხელს შეუწყობს პროლეტარულ მწერლობის ბოლშევიზაციას, მისი რიგების გამუშურებას, ახალი და ახალი ძალების გამოყვანას მწერლობაში.

ჟურნალი გაძლიერებული ენერგიით დაამუშავებს შემოქმედებითი პლატფორმის ლიტერატურის, მარქსისტული თეორიის, ისტორიის და მეთოდოლოგიის საკითხებს.

რედაქციის მიერ ყველა ამ ამოცანების დაძლევა და შესრულება წარმოუდგენელია მკითხველთან მტკიცე დაკავშირებისა და უშუალო ენის გამონახვის გარეშე. მკითხველთა კულტურული დონე ამაღლდა, — მწერლობისადმი წაყენებული მოთხოვნილებები გაიზარდა. პროლეტარულ მწერლობას დღეს ემატება მკითხველთა ახალ-ახალი რაზმები. ჩვენმა ჟურნალმა ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს და თავის მუშაობა შეუფარდოს მკითხველთა მოთხოვნილებებს. ამ საქმეში მკითხველთა აქტიურ დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიმდინარე წელში აუცილებელია მკითხველის და ჩვენი ჟურნალის მჭიდროთ დაკავშირება. ამის ერთ-ერთი ფორმა კი იქნება ის, როდესაც მკითხველები თავიანთ აზრს გამოთქვამენ ამათუიმ საკითხზე, ჟურნალის მუშაობის ამათუიმ ნაკლულოვანებაზე მიუთითებენ, წამოაყენებენ სხვადასხვა საკითხებს და ასე შემდგომ, რაც სათანადო გამოხმაურებას იპოვის ჟურნალის ფურცლებზე.

პროლეტარულ მწერლობასა და მის მკითხველის უშუალო დაკავშირებით — ჩვენი ჟურნალი შესძლებს იდეოლოგიურ ფრონტზე მებრძოლი ავანგარდის როლის შესრულებას.

ამ დიდი ამოცანების რეალიზაციის გზით წარიმართება „პროლეტარული მწერლობი"-ს შემდგომი მუშაობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ე ნ ტ უ ზ ი ა ზ მ ი

ხმაურობს წლები, იცვლება რიგი,
შვილი გვიყურებს როგორც მშობელი:
იცვლება მხარეც და ქალაქივით
ბრწყინავს, ხმაურობს ჩვენი სოფელი.

— ის უცვლელია და ვერაფერი
ვერ მიდის მასთან, როგორც მეტოქე.
რევოლიუციის შინაარსივით
შეხორცებია ყველა ეპოქებს...
და როგორც მაშინ, ათი წლის უკან,
როდესაც გვწეწდა ომების ქარი —
ჩვენი გრძნობების უჯრედში დღესაც,
პასუხის-მგებელ მდივნათ ის არის.

მოქმედობს. ანგრევს თუ ვინმეს დარჩა
დღეს უპარტიო გრძნობების კერა,
სადაც ხალისის მაგიერ მხოლოდ
პროფესიების სიცივე ბერავს.

რამდენი თვეა ოსტატის ხელი
არ ეკარება აგერ ამ დაზგას,
გაფუჭებულა და გვერდს უვლიდენ
გულცივად, როგორც ცარიელ ვაზნას;
იდგა. ესმოდა ცეხის მუქარა:
— საწყობის ლუკმავ, დაგარღვევთ, დაგშლით...

ის გამოჩნდება დამკვრელი ჯგუფით
და შედის დაზგა წყობილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუნის და მაღალ ფასების მიმართ
ამზადებს იგი დიდ შეთქმულებას;
ეგ არის,
დღეს რომ ცეხში ხელს აწერს
სოც-შეჯიბრების ხელშეკრულებას.

ის უცვლელია. ეხლა ტყიბულთან
ალაპარაკებს დონბასის ნახშირს,
აფიცებს ყოველ ბურღსა და ჭანჩას
ხუთწლიან გეგმის ერთგულებაში,

ავალებს ყოველ უბრალო საათს
საუკუნეთა გამოცდილებას —
და ვისაც გუშინ უჭირდა ერთი
უბრალო დგამის დამორჩილებაც,
როგორც დამკვრელი, გამოყავს ეხლა
რომ სამი დგამის გაშვება შესძლოს...

ის იგივეა, რაც პერეკოპთან
სარდლობის უნარს აძლევდა მებრძოლს;

და როგორც მაშინ ათი წლის უკან
როდესაც გვწეწდა ომების ქარი,
ჩვენი გრძნობების უჯრედში დღესაც
პასუხის-მგებელ მდივნათ ის არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ქვეყანა მიდის

I

გათენებისას, როდესაც დერეფანში სინათლე ოდნავ შეიჭრება, დგება არტემ ივანიჩი და კარის ნასვრეტში გასაღებს აჩხაკუნებს. ის ბრაზმორეულ ბუზღუნით და ხელის უაზრო მოძრაობით ოთახში მიდი-მოდის და შემდეგ ლამობს გარეთ გავარდნას.

მუდამ სულ ერთიდაიგივეს გაიძახის:

— რა უსვინდისობაა, რა უბედურებაა, დილა ადრიან მოსვენებას არ იძლევიან. ამ ოთახშიაც აღარ მაყენებენ!..

სახე კი უცნაურად ელმიჭება, ნაოჭები ერთი ათად უმრავლდება და ეზრდება.

— ყოველ დილა!.. ყოველ დილა!.. აბოლოვებს ამ სიტყვებით და ზურგს უკან კარებს მიიჯახუნებს.

გვერდზე ოთახიდან პიანინოს ხმა მოისმის. ეს აღელვებს მას. სულ რამდენიმე თვეა, რაც შეავიწროვეს და არასასურველი ოჯახი ჩაუსახლეს მეზობლად.

გული უკვდება როდესაც თვალებს ახელს. ძილში თავისი ძველი, განცხრომით ცხოვრება დაუკარგავი ჰგონია, ხშირად ასეთ სიზმრებშიც ეხვევა ხოლმე, მაგრამ თვალს გაახელს თუ არა, მაშინვე გულზე შემოაწვება ოთახის კედლები, დატენილი ავეჯით და სულისშემხუთველი სივიწროვით.

როგორ ნელი-ნელ დაასამარა წარსული სიკეთე, წარსული ცხოვრება.

მეზობლის ოთახში კი, გათენდება თუ არა, მაშინვე წამოხტებიან ხოლმე ბავშვები და ვიდრე სასწავლებელში წავიდოდენ, უკრავენ პიანინოს. მათ ეს ახლად ნაყიდი აქვთ და ყველაზე უფრო საუკეთესო სათამაშოთ ეს გაიჩინეს.

ისინი უკრავენ განსაკუთრებით „სამგლოვიარო მარშს“, ბავშვებს რატომღაც ეს უყვართ. ძალიან ხშირად ორნი, ოთხივე ხელით მიადგებიან ხოლმე და შეერთებული ძალით ურტყამენ კლავიშებს და პიანინოც სტირის ბოხი და მძლავრი ხმით.

არტემ ივანიჩს ყველაზე უფრო ეს აბრაზებს. მას ჰგონია, რომ ყოველ დილა თავიდან იწყებენ მისი წარსულის დასამარებას.

ბავშები კი იცინიან, ხარობენ; — ერთობიან მის ნერვებზე.

მერე კი როდესაც რვა საათი სრულდება დერეფნიდან დაინახავს ხოლმე, მკლავში აბგაამოჩრილნი ხშირი ნაბიჯით სასწავლებელში რომ მიეჩქარებიან.

თავისუფლად ამოისუნთქავს, დააყოლებს ზედ გულშემზარავ ოხვრას და ოთახში შევარდება.

— სონა, სონა! — ადექი, რა დროს ძილია, — მიაძახეს თავის ცოლს, — სამოვარს მოსამსახურე დაგიდგამს თუ?!.

პასუხს არც კი დაელოდება, მექანიკურად დადის ოთახში და განაგრძობს ლაპარაკს:

— გამოეთხოვე ძველს, გამოეთხოვე, რაც იყო, იყო. — და წყნარდება, დინჯდება თითქოს ბედს შეურიგდაო.

ამ დროს მზეც ადგება ფანჯარას. მზე სჭრის მინას და ცეცხლივით მწვავე შიგ სახეში ეცემა განებივრებულს ცოლს.

სონა გაიზმორებს, ზანტი გრეხით თავს წამოსწევს, გაიხედავს: მზე არის; რა გაეწყობა, მეორე გვერდზე გადატრიალდება, მზეს ზურგს შეუქცევს, მიიძინებს. მას არაფრად არ მიაჩნია ქმრის ბოლმა და ვარამი.

მერე შვილის საწოლთან მიდის, რომელსაც თეთრ მარმარა ბალიშზე ფერმკრთალი სახე მოუჩანს, გახვეული შავ აწეწილ თმებში და ბუსუსებში. ეს არის მისი ერთად-ერთი იმედი, — პირველი ქალი, გასათხოვარი.

აქ იგი წყნარდება, მშვიდდება, გულისყურს მიაპყრობს მის სუნთქვას. უნდა დარწმუნდეს, სძინავს თუ ნებივრობს. მერე შუბლზე ხელს დაადებს და აღვიძებს. თვალს გაახელს, მაგრამ გამოღვიძება არ ესიამოვნება, ისიც გადატრიალდება და ზურგს უქცევს მას.

— თამრიკო, ადექი!.. მიმართავს ტკბილი და უწყინარი ხმით.

— უხ, დამანებე თავი. უპასუხებს თამრიკო უკმეხად და სახეს ერთი სიბრაზის გამოსახატავად ათას ნაოჭად ანაწილებს.

თამრიკო უკვე ოცდასამი წლისაა, მაგრამ მისი სიტყვით კი ჯერ ჩვიდმეტს არ გასცილებია. მამაც ყოველთვის ემოწმება ხოლმე და დედა კი ეჯიბრება საკუთარი წლოვანების დაკლებით.

მეორე ოთახში კი, რომელიც უფრო პატარაა და უფრო ბნელი, მისი ცამეტი წლის ვაჟი უკვე ფეხზეა და წითელ ყელსახვევს იკრავს კისერზე.

და სწორედ მაშინ, როდესაც არტემ ივანიჩი მისკენ გაემართება ის უკვე ჩაცმულია, წიგნებით იღლიაში და ოთახიდან გარეთ გადის.

ჯერ მიაჩერდება წყრომით, ბუნდოვანი მუქარით, მერე სინანულით თვალს გააყოლებს და კარებში გასვლისას გასძახის:

— შე, შარლატანო, დილიდან საღამომდე გარეთ გდიხარ, სად დაეთრევი, ვისთვის რას აკეთებ, ვინ რას მოგცემს?!.

ცამეტი წლის მიშა კი პასუხის გაუცემლად გადის და ყვირილის ხმა და სიბრაზე ოთახში იმწყვდევა.

ეს არის არტემ ივანიჩის ოჯახი — ცოლი და შვილები. ის მათ შორის სულ მარტოა. არც ერთი არ ფიქრობს მასზე.

ცოლს რა ესაქმება პოლიტიკასთან, ქმარს მხოლოდ ჯიბეში ჩასცქერის. ქალი გათხოვებას ელოდება. ის ყოველ ღამე, ძილის წინ საქმროს გამოჩენის ოცნებაში იძირება. კვირა დღეობით კი, როდესაც მთაწმიდის გორაკებზე სასეირნოდ მიდის, ბალახებში ჭია-მაიას იჭერს, ხელის გულზე დაისვამს და ეკითხება:

— „გაფრინდი — ჭრელო ჭია-მაია,
მიჩვენე ჩემი საქმრო სად არი...“

და როგორ უხარია, როდესაც ჭია-მაია იქვე ახლო დაფრინდება, რომელიმე ლამაზ ყვავილზე და გული სწყდება, მთელი დღე გაბოროტებული დადის, როდესაც გაფრინდება სადღაც შორს და თვალიდან დაეკარგება, რადგან შორს ყოფილა მისი საქმრო. არც მას ესაქმება მამის საქმეებთან, მაგრამ, როდესაც კომუნისტების გინება იწყება, არ ჩამორჩება ხოლმე.

— მე რომ ნება მომცენ, ამბობს ხოლმე თამრიკო, კომუნისტებს ერთ დღეში ამოვწყვეტდი!.. თან მუშტს იღერება, თვალებსაც გადმოიბრუნებს ხოლმე...

— მეც, მეც, მეც... დაუმატებს ხოლმე სონა და მერე ჯერი არტემ ივანიჩზე მიდგება.

ის კი ლანძღვაში სულ სხვაგვარია. ცოლშვილს არა ჰგავს. მას უნდოდა პოლიტიკა მას არ შეეხებოდა. ეცხოვრა ძველებურად, მშვიდათ, უწყინარად და დიდებულად, ისე როგორც ათი წლის წინად. მაგრამ ოქტომბერი და თებერვალი დაუდგა.

II

ათი წლის წინად... ათი წლის...

მართლაც რა კარგი იყო მისი ცხოვრება ათი წლის წინად.

სად იყო მაშინ რევოლიუცია... სად იყო მუშა... სად იყვნენ ეს დღევანდელი მისთვის უცნაური ადამიანები.

მისი ქარხანა გადაჭიმული იყო გრძელ ნესტიან სარდაფში და რამდენიმე ათეული მუშა რიჟრაჟს ღამემდე ეზიდებოდა საკუთარი თვალით და მარჯვენით.

შემოვიდოდა ქარხანაში არტემ ივანიჩი ტანსქელი, დამრგვალებული და ლიპგასიებული. დიდრონს, ორბიტებიდან გადმოგორებულ თვალებს გადაავლებდა ჯერ მთლიანად და შემდეგ სათითაოდ ჩამოუვლიდა.

— აბა, დღეს შენ რა გააკეთე?.. შეეკითხებოდა ერთს. ისიც უჩვენებდა ნამუშევარს.

— შენ, შენ რაღა?!. მიმართავდა მეორეს.

— მე კიდევ სამი მილი გამოვბრძმიდე, ესეც მეოთხე დავიწყე; — უპასუხებს საშუალო ტანის, მშვიდი, აუღელვებელი სახის ჯერ ახლად დაულვაშებული და მთელ სახეზე ერთად-ერთ შუბლზე ნაოჭით ახალგაზრდა მუშა.

— ხოო, ჰმ... ჰმ... ბურტყუნებს არტემ ივანიჩი და დამცინავი ღიმილით ზურგს უქცევს.

— თავს გავლენ, თავს. გადიდგულდებიან რომ მოუწონო, — ხშირად ეტყოდა ხოლმე თავის მარჯვენა ხელს, სახელოსნოს მოანგარიშეს და ამავე დროს ცოლის ძმას.

სახეზე კმაყოფილებას არ იმჩნევდა. მუდამ სიბრაზისა და ჯავრის ელფერი ეკრა და ასე სტოვებდა სახელოსნოს.

ასე მიდიოდა წლები.

გამოცხადდა იმპერიალისტური ომი.

სიხარულით შეეგება მას არტემ ივანიჩი.

და სწორედ ამ ომის წლებში ფულები მოხვეჭა.

სახლები აიშენა.

ომი კი გრძელდებოდა...

დადგა 17 წელი და არტემ ივანიჩს რევოლიუციამ აუტოკა გული. შიშის გამო გულზე წითელი ლენტი გაიკეთა. რამდენჯერმე დემონსტრაციასაც კი შეუერთდა, მაგრამ მალე დამშვიდდა, რადგან ნახა რომ მას არავინ არ ერჩოდა.

იმ დღეებში მისი სახელოსნო ცარიელი იყო. მუშები გარეთ გარბოდენ და მარსელიოზის სიმღერით, დადიოდენ ქუჩებში.

ერთ დღეს არტემ ივანიჩი განრისხებული შევიდა სახელოსნოში და ბრაზით მიმართა:

— თქვენ იცით, რევოლიუცია რას ნიშნავს?!. მან მუცელზე ხელები დაირტყა. ტუჩები გადმოუბრუნდა და ფურთხის წინწკლები

გადმოუცვივდა. — განა მე კი არ მიხარია რევოლიუცია, მაგრამ ცულლუტობა კი არ უნდა დაიწყოთ!.. ის მახვილს არტყამდა რევოლიუციას და ამ სიტყვას განსაკუთრებული გარკვეულობით ამბობდა.

მაშინ წინ წამოდგა ახალგაზრდა, ახლად დაულვაშებული ხელოსანი და პირველად თავის სიცოცხლეში გაბედულად შესძახა:

— შენ იცი, ვინა ხარ?!. — სახიდან თვალი ქვევით ჩამოაყოლა და ღიპზე გააჩერა, დაჟინებით ეცქერდა ზედ. ჩაჩუმდა არტემ ივანიჩი. მას თავისი მტერი ჯერ არ ენახა. მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ მასში მოთავსებული იყო რაღაც სხვა, გარდა მუშისა და ადამიანისა და ეს სხვა ულვიძებდა შიშის გრძნობას. ჩაუწყდა ხმა. რატომღაც შეგროვილთა თვალების დაჟინებითი ცქერაც დამძაბუნებლად მოქმედებდა მასზე.

— ხო, აგრე!?. წაიბუტბუტა მან და უცბად შემოტრიალდა, — მე თქვენ გაჩვენებთ!.. დაიძახა კარებთან და გავარდა გარეთ.

— ყოჩაღ, სანდრო!.. ყოჩაღ!.. მივარდენ იქ მყოფნი და აღტაცებით ზოგი მხარზე არტყამდა ხელს, ზოგი ხელს ართმევდა.

სანდრო კი, ეს ახალგაზრდა, ძალღონით სავსე, მარჯვენისა და ენერგიის პატრონი ფიქრებში ეხვეოდა.

მიშა ამ დროს ექვსი წლისა იყო. ცოცხალი ცელქი ბავში. სახლში ვერ სძლებდა და სახელოსნოში მორბოდა ხოლმე. მას უხაროდა ჩაქუჩებს რომ არახუნებდენ. ეთამაშებოდენ მუშებიც და ხშირად მათთან ერთად აღამებდა ხოლმე დღეებს.

სანდროს უყვარდა ძლიერ.

დღეს კი, როდესაც არტემ ივანიჩთან შეჯახება მოუხდა, უსიამოვნოდ ეჩვენა მიშას სახელოსნოში შემორბენა.

დიდხანს ბავშს შეკითხვებზე პასუხს არ აძლევდა, ის კი ხან ხელზე ეხვეოდა, ხან ხალათის ბოლოს ჩამოეკიდებოდა, ხან კიდევ მის ჩაქუჩს წაავლებდა ხელს, მაგრამ ამაოდ.

უცბად სანდრო მიტრიალდა მისკენ.

— მიშა, მოდი აქ... მაჯაში ხელი ჩასჭიდა და სარდაფის კუთხეში მიიყვანა. ბნელ კუთხეში ჩამოჯდა და უთხრა.

— აბა, ასე იმღერე:

ზურგი ვაქციოთ ძველს ადათ წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფერხთგან ვით მტვერი.

მიშამ მაშინვე დაისწავლა ეს ორი სტრიქონი და ხმაც მალე შეითვისა. რამდენიმე წუთში ის უკვე ხმამაღლა მღეროდა.

ზურგი ვაქციოთ ძველს ადათ წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფერხთგან ვით მტვერი.

— ეხლა წამოდი აქ, — უთხრა მანვე და თავის დაზგასთან მიიყვანა. უჯრიდან წითელი ნაჭერი ამოიღო. პატარა ჯოხზე მიუმაგრა და მისცა.

— მიშიკო, აბა ეხლა სახლში გაიქეცი და მამა გაახარე. წაიღე ეს ბაირაღი და სიმღერა რომ გასწავლე, უმღერე.

— კარგი!.. სწრაფად უპასუხა და გაქანდა გარეთ.

მიირბინა შინ. გზაში შეუწყვეტელად გულში მღეროდა. ოთახში ქაქანით შევარდა.

— მამა, მამა, ყური დამიგდე!.. მიაძახა შესვლისთანავე და წკრიალა, ხალისიანი ხმით დასძახა:

ზურგი ვაქციოთ ძველს ადათ წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფერხთგან ვით მტვერი.

— ციც, შე ბრიყვო!.. დატუქსა არტემ ივანიჩმა. აქ მოდი!.. მივიდა შვილი. — ეს რა არის?!.

— ბაილაღი...

— მერე?!.

— ბაილაღი... გაიმეორა იგივე სიტყვა და სახე აელეწა.

არტემ ივანიჩმა ამ ბაირაღს ხელი წაავლო, გამოჰგლიჯა, თვალწინ დაუმტვრია, დაუფხრიწა და აივნიდან გადაუყარა. ცრემლები მოადგა თვალებზე, ლოყებზე ჩამოუგორდა და ძირს დასცვივდა.

აუკრძალა მარსელიოზის მღერა და ბაირაღების ხელში ჭერა.

მიშა კი ამ აკრძალულ სიმღერას ჩუმად მღეროდა ფეხსალაგში, ქუჩაში, ლოგინში და იმ ღამეს კი ფარულად შეაგროვა წითელი ნაჭრის ნაფხრეწები და მამის ჯიბრზე ჯიბით ატარებდა.

III

ეს რევოლიუცია ისე მოძველდა, რომ არტემ ივანიჩს ერთი წარბიც არ შეურხია. მისი ცხოვრება მიდიოდა უცვლელად და თუმცა ქალაქს პური და სანოვაგე შემოაკლდა, სამაგიეროდ მის ოჯახს არაფერი არ დაჰკლებია.

მისი მწვანედ შეღებილი სახლები, სამსართულიანი და ოცდაათ თვალამდე მასავით ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. ისევე, როგორც ამ სახლებს, არტემ ივანიჩს არაფრის დარდი არ ჰქონდა. ის იდგა თავისთვის, ლამაზად და შეურყეველად, მისი პატრონი კი სუნთქავდა, მოძრაობდა, სჭამდა.

ქარხანაც გააფართოვა. მუშებიც გაუმრავლდენ.

სანდრო ჩვეულებრივად მუშაობდა და თუმცა ვერც არტემ ივანიჩი იტანდა მას და ვერც სანდრო არტემ ივანიჩს, მაინც სახელოსნოდან არ მიდიოდა.

ისინი ერთმანეთს ყოველთვის შუბლგაუხსნელი ხვდებოდენ და ზედმეტად სთვლიდენ ერთმანეთთან ლაპარაკს.

პატარა მიშას არ შეუწყვეტია სანდროსთან სიარული. მას უკვე ცალკე ჩაქუჩი ჰქონდა მიჩნეული და როცა მივიდოდა მისცემდენ, ისიც დაიკავებდა და არტყამდა რასაც მოხვდებოდა. მას ეუბნებოდენ, რომ შენ სწავლობ მუშების მტრების მოსპობასო. ისიც მირბოდა სახლში და მამას ახარებდა.

— იცი, მამა, მე ვისწავლე მუშების მტრების მოსპობა.

— მოსპობა რა არის?..

— რომ აღარ იქნება... გამოეპასუხებოდა ხოლმე და ერთ ხელს ტუჩთან მიიტანდა, მეორეს ძირს ჩაუშვებდა. ქვემოდან ახედავდა მამას.

ის კი, მამა, აღელდებოდა, აწითლდებოდა, გაჰკივოდა ექვსი ოთახის სიგრძეზე:

— ნამდვილი ყაჩაღი გამოდის, ყაჩაღი!..

ცოლი ამ დროს მხართეძოზე იწვებოდა, ან სარკის წინ იჯდებოდა, სახისა და ტუჩების შესაღებად.

შევარდებოდა არტემ ივანიჩი მასთან, ყვირილითა და ჩხუბით:

— სონა, ნუ უშვებ ამას სახლიდან, გესმის, ნუ უშვებ, — და ეს ყვირილი ცოლის ერთი შემოხედვის შემდეგ, ჩვეულებრივ ლაპარაკად და ალერსად გარდიქმნებოდა.

— დღესვე დავითხოვ, დღესვე, დღესვე!.. იტყოდა ხოლმე ის; ჩაიცვამდა, დაიხურავდა და სახელოსნოსკენ გაიქცეოდა.

შევარდებოდა შიგ, მაგრამ რატომღაც უცბად მოდუნდებოდა, მოეშვებოდა, ხმა ჩაუწყდებოდა. სანდროში გრძნობდა ჩვეულებრივ მუშისა და ადამიანის გარდა კიდევ რაღაც სხვას, ფარულს, ძლიერს და ულმობელს.

მხოლოდ ეს აღელვებდა მას, მხოლოდ ეს...

ერთ დღეს ამბავი გაიგო მეტად უსიამოვნო, მეტად საწყენი და მას შემდეგ დარდი ჩაუვარდა გულში...

რუსეთში ოქტომბერი მოხდა და ბოლშევიკებს ყველაფერი ხელში ჩაუგდიათო.

ამ ამბავმა გული აუტოკა არტემ ივანიჩს. მოსვენებას არ აძლევდა მასზე ფიქრი.

ყოველ დღესა და კვირასთან ერთად ესმოდა მას ახალ-ხალი ამ-ბები: „ბოლშევიკები მდიდრებს ხვრეტავენ, ბოლშევიკები ყველას ქონებას ართმევენ. ბოლშევიკები ყველას ათანასწორებენ“.

და ყველა მათ გინებაში იყო.

თამრიკო ამბობდა:

— ღმერთმანი, აქაც რომ მოვიდენ ბალშევიკები, არ ვიცი თუ რას ვიზამ...

სონა კი გაიძახოდა:

— ყაჩაღები, ყაჩაღები, ყაჩაღები.. მე იმათ თვალებს დავაკაწ-რავ... და სიამრის გამო თმები ბუსუსებად უცვივდებოდა, სახე უცნა-ურად უწითლდებოდა.

იმ ღამეს არტემ ივანიჩი ცალკე ჩაიკეტა ოთახში და თავის თავს ეკითხებოდა:

— რა უნდათ ჩემგან, რისთვის უნდა წამართვან ჩემი მონაგები. რისთვის?!. პილპილივით ენთებოდა, ეწვოდა თვალები და მხურვალე სახეზე ცრემლები უგორდებოდა.

დღეები კი დღეებს სცვლიდა. წელი წელს...

იცვლებოდა დროება.

IV

არტემ ივანიჩმა გაქცევა ვერ მოახერხა. ბევრს ჩასჩიჩინებდენ, მაგრამ ვერ გაიმეტა სამსართულიანი სახლები, სახელოსნო და საყვა-რელი ცოლშვილი, რომლებთან ერთადაც ააგო თავისი ბედნიერება. დღეს ეს ბედნიერება დაემსხვრა.

ზამთარი ცივი იდგა.

ყინვა ახმობდა ხეებს, აშრობდა ჰაერს, თოვლი კი ქალაქს სახუ-რავებიდან აწვებოდა და ცივად ინახავდა.

ჯერ ერთი დროშა აფრიალდა, წითელი, ღაჟღაჟა; მერე ათასი ბაირალი მოფრიალდა ქალაქის ყოველ კუთხიდან და სიწითლემ დაი-პყრო ტფილისი.

არტემ ივანიჩი გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა. ჩაკეტილი იყო ოთახში და გული სნეულივით, შეუჩერებლად უცემდა.

ქალაქში ტყვია არ გავარდნილა. არც ბრძოლისა და ყიჟინის ხმა ისმოდა. ამან მას სიმხნე მოუმატა და გარეთ გამოჰყო თავი.

ქუჩებში რომ გავიდა მოედნებზე მიტინგები დაინახა. უამრავი ხალხი ვაშას ძახილით ტაშს უკრავდა. ადიოდენ მაღლა ორატორები, აჯილდოვებდენ ტაშით და ჩამოდიოდენ.

არტემ ივანიჩი შეუერთდა ამ ხალხს. მასაც უნდა გაიგოს, რას ლაპარაკობენ და ნოაჩვენოს რომ ისიც მათი მოყვარე არის.

ორატორმა ორატორი შესცვალა, ტაშმა ტაში და მაღლობზე დგას საშუალო ტანის შუბლშეკრული ახალგაზრდა. მისი ტანისა და ხელების მოძრაობა ამტკიცებს, რომ ის მუშაა.

ის ამბობდა:

„ამხანაგებო, სიხარულით ვამბობ ამ სიტყვას. ძლივს მიზანი მიღწეულია".

არ დააცადა ხალხმა აზრის დამთავრება, შესძახეს ვაშა და ააგრიალეს ტაში.

არტემ ივანიჩიც წინ წადგა. მანაც მკლავები ამართა და ხელი ხელისკენ გააქანა. ის ისე მძლავრად ყვიროდა ვაშას, რომ ყველას ყურადღებას იპყრობდა.

უცბად გაშეშდა. ხელები ჰაერში უმოძრავოდ გაუჩერდა. პირი ღია დარჩა და თვალებიც გაშტერებული.

ორატორში სანდრო იცნო.

შეშინდა.

მას ვერ მოატყუებდა.

ნელი-ნელ ხალხიდან გამოძვრა და ფეხაკრეფით გასწია. არც თვითონ იცოდა საით მიდიოდა.

ფიქრობდა:

„ხედავ, სანდროს, რა ლაპარაკი უსწავლია!.." მერე თვითონვე დაუმატა; „ლაპარაკი კი არა ლაყბობაა, ლაყბობა."

სახელოსნოს ნახვის სურვილი დაებადა და აჩქარებული ნაბიჯით გასწია მისკენ.

რამდენი ფიქრი გამოიცვალა მისმა გონებამ, რამდენი ბოლმა მისმა გულმა, ვინ იცის?!.

მივიდა სახელოსნოსთან. ჯიბეში ხელი ჩაიყო გასაღების ამოსაღებად, მაგრამ აქაც ხელი დაუდუნდა.

კარზე ლუქის ბეჭედი ერტყა.

მან წუთით ისე წარმოიდგინა, თითქოს მის ტვინს ერტყა ეს ლუქის ბეჭედი და აზროვნების საშუალებას არ აძლევდა.

გასწია სახლისაკენ.

მეორე დღეს სახელოსნოში დაიბარეს.

იქ დაუხვდენ ორნი. მთლად ჩვეულებრივი მოქალაქენი.

არტემ ივანიჩის აზრით, მათ ბოლშევიკური შეხედულება არა ჰქონიათ.

— უნდა ავწეროთ სახელოსნო და ჩაგვაბაროთ ქონება. — სთქვა ერთმა.

— რომელი ქონება?! დაბნეული შეეკითხა არტემ ივანიჩი.

— სახელოსნოში რაც არის!..

— ხო, კარგი, კარგი... საწყლად და თავისუფლად ამოსუნთქვით გასცა პასუხი.

შევიდენ შიგ.

და სამი დღის განმავლობაში ისმოდა შიგ ხმები:

— სიმონ, ჩასწერე 143 ახალი წყალსაზომი.

— ჩაწერილია...

— ჩვიდმეტი ძველი...

— მზათ არის ..

— სამოცდასამი სპილენძის მილი...

გვერდში დაჰყვებოდა არტემ ივანიჩი, ათრთოლებული და აკანკალებული ხმით უსწორებდა:

— სამოცდასამი კი არა, ოთხმოცდასამია...

— უკეთესი...

მესამე დღეს ჯაგვებით გადაზიდეს და დარჩა ცარიელი სარდაფი ნესტისა და შმორის სუნის ამარა.

სახლში რომ დაბრუნდა დიდხანს უსიტყვოდ იდგა კარებთან, მერე ცოლთან მივიდა და ეუბნებოდა:

— არა უშავს სონა, ნუ დარდობ, რაც მოხდა, მოხდა.

სონა კი სრულებითაც არ დარდობდა. მას რაც სურდა ყველაფერი ჰქონდა. მაგრამ თავი მაინც მოისევდიანა.

— არაფერზე გული აღარა მაქვს... ნეტავი როდის წაშავდებიან?!.

— მალე, სულ მალე. ჩემო სონა. გული კარგად შეინახე.

ამ დროს ოთახში მიშიკო შემოვარდა. ის უკვე კარგა დიდი ბიჭი იყო. სახის გარკვეული იერით და ცოცხალი თვალებით.

მან კარებშივე დაიძახა:

— ახალი სიმღერა, ახალი სიმღერა ვისწავლე! და ზედვე დაიყოლა:

„ალსდეჭ ტანჯვითა დაღდასმულო,
ქვეყანავ მშიერ მონების...“

უკანასკნელი სიტყვები ისეთი სიძლიერით დასძახა, რომ ფანჯრებმა ზანზარი დაიწყეს.

ის უკვე ათი წლის გონება გახსნილი და ცოცხალი ბავშვი.

მეორე ოთახიდან თამრიკო გამოვარდა:

— რა უბედურებაა, რა ტანჯვაში ვარ, მოსვენებას არ მაძლევთ, მთელი ღამე არ მეძინა და დილითაც არ მასვენებთ.

ის უკვე ჩვიდმეტი წლისაა. გასათხოვრად უკვე მზად არის. მან წინდაწინ იცის, რომ ვიდრე არ გათხოვდება სულ ჩვიდმეტი წლის იქნება. მერე კი ქმრის დროს ძალაუნებურად მოუმატებს ორ წელიწადში ერთს.

ყველანი გაშტერებული უცქეროდენ მიშას.

— ეს ჩემი შვილი არ არის, არა, ჩემი შვილი არ არის... — უცბად ისეთი ღმუილითა და მწუხარებით დაიძახა ეს სიტყვები, რომ ყველას თვალებზე ცრემლი მოაყენა.

მიშა კი ბოლო ოთახში გავარდა. ის სხვაგვარად გრძნობდა თავს.

დილიდან გასული სულ დემონსტრანტებს დაჰყვებოდა გვერდში და მათთან ერთად ისიც მღეროდა.

ამ ცალკე ოთახში კი მიშამ მხოლოდ ერთი წუთით გაიფიქრა:

— აბა მაშ ვისი შვილი ვარ?!.

V

და დაიწყო არტემ ივანიჩის ერთფეროვანი ცხოვრება ოჯახისა და სახლების ფარგლებში. სახელოსნო ჩამოართვეს, შემოსავალი შეუმცირდა. სუნთქავდა წარსული დიდებით და ცხოვრობდა გადამალული ფულით. ჯერ კიდევ შახს არ იტეხდა, თავმომწონეობას არა ჰკარგავდა.

დილაზე დგებოდა ადრე. აივნიდან ეზოში ჩაიხედავდა და თუ ეზო დაგვილი არ იქნებოდა, ჯავრითა და საქმიანი სიბრაზით გადასძახებდა:

— ბაზილ, ბაზილ!..

ცოტა ხნის შემდეგ კუნჭულში მივარდნილ სარდაფიდან ამოცვივდებოდა სწრაფი, აბნეული ნაბიჯები და იქიდანვე გამოუსწრებდა წინ სიტყვები:

— რა უნდა ხაზეინ!..

— მე შენ გიჩვენებ, რა უნდა?!. არ იცი, რომ ეზო უნდა დაგავო?!. ის კედელი რამ დაასველა?..

ბაზილი დინჯად მივიდა კედელთან, ახლოდან დაათვალიერა, ხელის გული რამდენჯერმე გადუსვა და სთქვა:

— წყალია ხაზეინ... ეზოს ეხლავე დავგვი.

— წყალი, წყალი... გინდათ რომ სახლები თავზე დამენგრეს. ალარ მომასვენებთ. არც ამას მანებებთ, არც ამას!.. ბუზღუნითა და

მთრთოლვარე ხმით გაიძახოდა, ვიდრე კვლავ ოთახში არ შეგიდოდა.

სახელოსნოში მეთვალყურეობას მიჩვეული, ჩვეულებას ვერ ივიწყებდა და მეეზოვეზე იჩენდა ბატონობას.

სხვა მხრივ კი თითქოს მყუდრო იყო მისი ცხოვრება. გარეშე არავინ აწუხებდა, გარდა დგმურებისა, რომელნიც ხშირად წაელაპარაკებოდენ ხოლმე:

— თქვენ იცით მე ვინა ვარ?.. მე კავშირის წევრი ვარ!..

— ჩემი ქმარი ქარხნის მუშაა, აი, ქარხნის მუშა!..

როგორც ყუმბარები ისე სკდებოდა ხოლმე ეს სიტყვები არტემ ივანიჩის გულსა და გონებაში და ყველაფერს სდაგავდა შიგ, ანადგურებდა.

ოჯახში კი ჩვეულებრივი ხასიათი ტრიალებდა.

ცოლი უდარდელი. ქალი ერთად-ერთი ფარული სურვილით და მოლოდინით. ვაჟი-კი, მიშა, არც მამას აქცევდა ყურადღებას, არც დედას. ის ხედავდა და გრძნობდა, რომ მამა მას ვერაფერს მისცემდა, გარდა უსაქმური და ბატონური სულისკვეთებისა, დედა კი არც ფიქრობდა მასზე. სკოლაში სულ სხვას ეუბნებოდენ. სხვა აზრებს უნერგავდენ გულში. მამა-შვილი ერთმანეთს არც კი ხვდებოდენ. საღამომდე სკოლაში იმყოფებოდა, სადილის შემდეგ კი ამხანაგებში მიდიოდა გაკვეთილების სასწავლებლად. ღამე კი დაქანცული იძინებდა.

ასეთი იყო არტემ ივანიჩის ერთფეროვანი საბჭოთა დღეები. ის არ სცილდებოდა თავის სახლკარს, უვლიდა, თავს ევლებოდა, ერთადერთ იმედათ ისახავდა.

ამ უსაქმო ცხოვრებაში, რომელსაც ძლიერ შეეჩვია კიდეც, თითქოს სუქდებოდა არტემ ივანიჩი. ღიპი უფრო გაუსქელდა, ლოყები აუწითლდა, ღაბაბი ისე აევსო, რომ საყელოს ფარავდა.

ერთ დღეს მის სახლში შემოიხედეს საბინაო კავშირის აგენტებმა. სახლის პატრონი იკითხეს. გამოემცნაურენ. შევიდენ მასთან ოთახში და აღნიშნეს რომ:

„არტემ ივანიჩი, არც ექიმია, არც მეცნიერი, არც მწერალი და რა უფლების ძალით უკავია ექვსი ოთახი!!.“

— მოქალაქე!.. ეუბნებოდენ ისინი არტემ ივანიჩს, — ჩვენი ამხანაგები უბინაობის გამო ქუჩაში იძინებენ, თქვენ კი ექვს ოთახში გამოჭიმულხართ.

არტემ ივანიჩს მომართვა „მოქალაქე“ ძლიერ მოეწონა, რალაც სიხარულმა დაუარა სხეულში. ამ სიტყვაზე მან ფეხები რამდენჯერმე

ერთდაიგივე ადგილზე დააბიჯა და დაირწმუნა თავი, რომ ამ ქვეყნად ისიც ცხოვრობს, საბჭოთა საქართველოში ისიც მოქალაქეა.

— ქუჩაში?!. ვინ იძინებს ქუჩაში. მოიყვათ, აი, ამ ერთ ოთახს მივცემ, დაიძინოს. გულკეთილიც გახდა არტემ ივანიჩი, უცბათ ამხანაგივით დაუწყო ლაპარაკი.

— არა, მოქალაქევ, არა. თქვენ ეს ორი ოთახი გეყოფათ. ამ ოთახებში კი სხვას შემოვასახლებთ.

— მე... მე... ოღი?.. ჩემი სახლებია და ოღი?!. აერია ენა არტემ ივანიჩს და მის მეტყველებას დაეკარგა ბგერა „რ“.

კიდევ კარგი ენა მუცელში არ ჩაუვარდა, „რ“-ს ვინ ჩივის.

და წავიდენ პორთფელიანი ამხანაგები.

სამი დღის შემდეგ კი არტემ ივანიჩი მეეზოვის დახმარებით ეზიდებოდა ავეჯს ოთახებიდან ოთახებში.

მე ცალკე ოთახი მინდა, ცალკე. მე ნერვებიანი ვარ. მე თქვენი თავი არა მაქვს. — გაიძახოდა სონა, — და ერთ საუკეთესო ოთახის კარში მებრძოლივით ჩადგა.

— ეს ჩემია, ჩემი... განაგრძობდა ის და გაიმარჯვა კიდეც მისმა კაპრიზმა.

მამა და შვილები ერთ ოთახში მოეწყენ, დედა კი ცალკე.

მეორე დღეს ავეჯის ნაწილი ბაზარში წავიდა, ნაწილი კი აივანზე დალაგდა.

ჩამორთმეულ ოთახებში ორი ოჯახი შემოსახლდა. ერთი მათგანი ინჟენერია ცოლით და შვილებით, მეორე ახალგაზრდა ყმაწვილია, ჭკუითა და ცოდნით სავსე. ეს მისი გარეგნობიდანაც სჩანს.

ხელში პორთფელი უჭირავს, ყვითელი ტყავის. გულზე ორი ნიშანი, და მუდამ თავჩაღუნული დადის. ფიქრებით სავსეა მისი გონება. დატვირთულია საქმეებით.

კიბეებს ისე აირბენს ხოლმე, რომ არავის არ დაინახავს. თავისთავს ისე ელაპარაკება, რომ არავის არაფრად აგდებს.

ის შემოსახლდა დედითა და პატარა ძმით.

დგება დილით. ჩქარი ნაბიჯით პორთფელით იღლიაში მიიჩქარის სამსახურისკენ და ბრუნდება საღამოთი დაღლილ-დაქანცული.

ერთ დილას თამრიკომ უთვალთვალა მას და ნათლად დაინახა ახალი მეზობლის შავი დიდრონი თვალები, პიტალო კლდესავით მტკიცე და ურყევი შუბლი, ფართე ვნებიანი ტუჩები. და ვითომც არ დაუნახია, შებრუნდა სახლში. გულში კი ფიქრობდა: „ბედი თავისთავად მოვიდა, ჩემი ქმარი სწორედ ეს იქნება“.

არც არტემ ივანიჩს გამოეპარა მხედველობიდან ახალი მეზობელი. მანაც გაიტარა გონებაში დიდი ხნის სურვილის ასრულების შესაძლებლობა და მთელი სახის მცინარე ნაოჭებად გადაქცევით მივიდა თამრიკოსთან.

გაუცინა თამრიკომაც.

ერთმანეთს არ ეუბნებოდენ გულში ნადებს, მაგრამ ორთავემ იცოდა, თუ რის გამო იცინოდენ.

სწორედ ამ დღეს მიშა ადრე დაბრუნდა სახლში. მათ სკოლაში პიონერთა კოლექტივი ჩამოეყალიბებინათ და ისიც წევრად ჩაწერილიყო.

მან ჯიბიდან ყელსახვევი ამოიღო, წითელი, სამკუთხოვანი და ცალი ხელით ააფრიალა.

— ეგ რა არის, შესძახა მამა...

— ეს პიონერის ყელსახვევია. გაიგე?.. ყელსახვევი... თუ გინდა აგიხსნი მნიშვნელობას. აი, ამ ყელსახვევს სამი წვერი აქვს, ერთს წარმოადგენენ კომუნისტები, მეორეს კომკავშირელები და მესამეს ჩვენ, პიონერები. გაიგე?!.

თითქმის ყვირილით დაიწყო არტემ ივანიჩმა:

— მელე, შენც მათი ამხანაგი ხარ?!.

მაგრამ უცბათ ტონი შეიცვალა და ისე წვრილი ხმით დაამთავრა ფრაზა, რომ თვითონვე შერცხვა უხერხულობის. პირველად თავის სიცოცხლეში გადასწყვიტა ახსნითა და დარიგებით ემოქმედნა შვილზე და მხარზე ხელი დაადო.

— აი, მიშა. ყული დამიგდე, ეგენი ნამდვილი ყაჩაღები აღიან... აბა მიპასუხე: სახელოსნო გვქონდა?..

— გქონდა...

— წაგვაღთვეს?..

— წაგართვეს.

— ექვსი ოთახი გვქონდა?..

— გქონდა...

— ჩამოგვაღთვეს?..

— ჩამოგართვეს...

— მელე ისინი ყაჩაღები აღ აღიან?..

— არა!..

— ღოგოლ თუ აღ აღიან, ღოგოლ თუ — აყვირდა ისევ არტემ ივანიჩი და გადმოანთხია შვილზე ბრაზი და სიძულვილი.

მას ვერ მოეთმინა ასეთი უსამართლობა. ლოლიკა სწორი იყო. თუ კი შვილი ეთანხმება იმაში, რომ სახელოსნოც წაგვართვეს, ოთა-

ხებიც წაართვეს, რატომ იმაში აღარ ეთანხმება, რომ ისინი ნამდვილად ყაჩაღები არიან?!.

— მე შენ გიჩვენებ ბალშევიკობას. აღა მე ვეღ ავღზდი ჩემ მტელს, ვეღ ავღზდი. ჩემ სახლიდან წადი, ჩემ სახლიდან, აღაღ გნახო, აღაღ გნახო...

მიშა კარებთან იდგა. ის თავისთავად გამარჯვებული იყო და არავის დარწმუნება არა სჭირდებოდა.

ფიქრობდა მხოლოდ იმას: „ოჯახიდან რომ წავიდე, ვისთან მივიდე, ან აქ ვინმეს უნდა გამოვეთხოვო?..“

უცბათ სახე გაუნათდა, გარკვეულმა აზრმა იელვა გონებაში და გარეთ გავარდა.

არტემ ივანიჩს ყვირილი ტუჩებზე შეაშრა. გაშეშებული დარჩა და თვალზე ბურუსმორეული შესცქეროდა კარებს.

ის მაშინაც, როდესაც საათი ჰკრავდა ღამის თერთმეტს. თორმეტს... პირველს... ორს... კარებისკენ იცქირებოდა, მაგრამ კარი მაინც არ იღებოდა...

მამის გრძნობამ იფეთქა მის გულში და სინანული ცრემლებად გადმოიღვარა.

დიდხანს ტიროდა პატარა ბავშვივით.

VI

ქალაქს ბინდი ჩამოაწვა, ქარხნის კვამლივით მუქი, ნისლიანი. ცამ ვარსკვლავები გამოისხა, ტფილისმა სანათურები, აენთო ორი თაღი ერთმანეთზე დამხობილი.

ქუჩები ახმაურდა საღამოს სიცოცხლით.

ბრუნავდა ქალაქი ჩარხივით და სწრაფად.

ერთი შენობის წინ გადაუწყვეტელად გაჩერდა ცამეტი წლის ბიჭი და კარიბჭეში შეიხედა. შესავალი შესახედავად ლამაზი და გოლიათური იყო.

მისი ფართე და მაღალი კედლები შეფერილია ცისა და ვარდისფეროვანი სურათებით.

გამოკრთის ბალჩები, აყვავებული, გადაფურჩქნილი ვარდ-ბუჩქებით, ნარინჯისფერი ნაზი ბულბულებით, რომელთაც ნისკარტებზე სიმღერა დასდნობიათ და გაშეშებულან.

სახლების ამშენებელს და შემლამაზებელს სიცოცხლისა და განცხრომის გემოვნება ჰქონია.

ეხლა ამ სურათზე ნახშირის ხაზებია გადავლებული. ვილაცის ხელს უცუღლუტია მასზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ადგილზე დაჯღაბნილია:

„ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს,
როცა ეშხით მთვრალია“...

იქვე, უფრო გარკვეული ხელით მიწერილია ირიბი სტრიქონები:

„ეხლა ვარდიც და ბულბულიც,
ორივ ერთად მკვდარია“...

ამ სტრიქონებში არ სჩანდა არც დაცინვა და არც გესლი წარსულის გემოვნებაზე.

ეს სახლები ეხლა საერთო საცხოვრებლად არის გადაქცეული და კარიბჭის არე ყველასათვის ღია და თავისუფალი. მასში პოულობენ ბინას შავი მურიანი ბიჭები, რომელნიც ცივ ქვებზე ღამეებს ათევენ და ჯღაბნიან, ვისაც რა სურს.

ამ შენობის კიბეებზე, რომელიც ჭრელი მარმარილოთი იყო ნაგები, აირბინა პატარა ბავშურმა ფეხებმა. კარგა ხანს ისმოდა ფეხების ბაკუნი, ვიდრე არ გათავდებოდა სამოცამდე კიბე.

ბოლო სართულში ორი კარები იყო. ჩამოძველებული, ჩამოშავებული.

ბავში შეჩერდა და შეხედა ჯერ ერთს, მერე მეორეს. არ იცოდა, რომელთან მისულიყო.

მან უნებურად გადაავლო თვალი კედელზე გამოხატულ სურათებს და წარწერებს. ღიმილი გამოჩნდა მისი ტუჩების კუთხეებში.

წამის შემდეგ პირველა კარზე ახმაურდა მისი ხელი.

ოთახში გაისმა მოსალოდნელი ჭრიჭინი და ამოძრავება.

კარში გასაღები აჩხაკუნდა და გაიღო.

შუბლზე ერთად-ერთი ნაოჭით, ახალგაზრდა, ძალითა და ენერგიით მსუნთქავი სახე გამოჩნდა კარს შიგნით.

თვალებმა გაიცინეს.

ტუჩებმა გაიხარეს.

— მიშა!.. შენ!.. წამოიძახა მან ისეთი ხმით, რომელიც იმავე დროს ამბობს: „მოხვედი მაგრამ, განა შესაძლებელი იყო შენი მოსვლა“...

მიშამ ჯიბიდან ორთავე ხელები ამოიღო და ერთმანეთში ჩაეჭდო. ტანში შეიშმუშნა და სახე აელეწა.

— მე შენთან, სანდრო!.. სთქვა ძლივს და როგორც მძიმე ტვირთიდან განთავისუფლებულმა, ღრმად ამოისუნთქა.

— შემოდი, შემოდი. შეუძღვა სანდრო ოთახში და როგორც დიდი ხნის უნახველ მეგობარს, მხარზე ხელი დაარტყა.

ოთახში სინათლე უხვად იყო.

კედელზე გაკრული იყო გეგმები და ცალკეული სურათები, ზოგი ჟურნალიდან ამონაჭერი, ზოგი გაზეთიდან. ყველა ეს უგეგმოდ იყო მიმაგრებული კედელზე. ერთად-ერთი სურათი, რომელიც ჩარჩოში იყო ჩასმული სწორად და სიმეტრიულად გაკრული იყო საწერი მაგიდის თავზე. ეს იყო ლენინის.

ეს სურათი იცქირებოდა მაღლიდან უძირო და ჭკვიანური თვალებით. ამ სურათის სუნთქვა ისმოდა ოთახში.

კუთხეში იდგა თუნუქის ღუმელი. მასში უკანასკნელი ნაკვერჩხლები კიდევ ბრწყინავდენ.

ოთახში იღგა მოხალული თხილის სუნი. სასიამოვნოც და სუნთქვისთვის შესამჩნევიც.

როდესაც მიშა შიგ შევიდა, ყველაფერი ეს უცბად დაინახა და იგრძნო. მერე მთელი იქ ყოფნის დროს მეტი აღარაფერი არ შეუნიშნავს.

— აბა, რას იტყვი, მიშა. როგორ სცხოვრობ?.. ტკბილად შეეკითხა სანდრო.

— იცი რა, სანდრო?.. მე სახლში აღარ მიშვებენ.

— რატომ?!.

— იმიტომ, მამას ყურს რომ არ ვუგდებ. მან სთქვა, რომ მე მისი შვილი არა ვარ და... და მიშამ ერთგვარი სიმძიმე იგრძნო. ამ წუთს ის ებრძოდა მამა-შვილურ გრძნობას.

— ეგ კი მართალი უთქვია. კარგი, რა გაეწყობა. დარჩი ჩემთან. აი, წიგნები ბევრია, იკითხე, ისწავლე. კაცი გამოხვალ.

ამ სიტყვებმა საბოლოოდ დაამშვიდეს მიშა. ის სწორედ ამას მოელოდა. და რომ ეს გარკვეული ყოფილიყო, უფრო გადამწყვეტი ხმით დაიძახა:

— მე არ მინდა მამაჩემთან ცხოვრება. ისინი ყველანი სულ რაღაცნაირი ხალხი არიან?!. რაღაც ზიზღი და ბუნდოვანი სიძულვილი გამოიხატა მის სახეზე, „რაღაცნაირის" წარმოთქმის დროს. მას ვერც კი გაეგო როგორი იყო ეს „რაღაცნაირი", მაგრამ აშკარად გრძნობდა მის არსებობას.

— ჩემთან ყოფნაში შენი პირველი და მთავარი მოვალეობა ის არის, რომ გიყვარდეს ეს. და სანდრომ მიუთითა კედელზე გაკრულ სურათს, რომლის გონებაც იცქირებოდა მაღალ შუბლიდან და პატარა ჭკვიან თვალებიდან.

მიშამ შეხედა. კარგა ხანს დააცქერდა დაჟინებით. აამოძრავა ბაგე, მაგრამ მაშინვე შეაჩერა. რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ წარმოსთქვა.

— მაშინ ჩვენ ალარ წავიჩხუბებით, — დაუმატა ისევ სანდრომ, როდესაც მიშამ არაფერი არ უპასუხა.

და დარჩა მიშა მასთან.

სანდრო სამეურნეო საბჭოში მუშაობდა და ძლიერ ცოტა დრო ჰქონდა თავისუფალი. ის დღეში სულ რამდენიმე საათს რჩებოდა სახლში, დანარჩენი გარეთ იყო.

ის ეუბნებოდა მიშას, რომ „ეხლა უსაქმობა შეუწყნარებელია. ფაბრიკებსა და ქარხნებს ვაგებთ და მთელი ჩვენი ძალა აქ უნდა დავხარჯოთ". და ალამებდა დღეებს განუწყვეტელ მუშაობაში, იქ, სადაც საძირკვლები ეყრებოდა ახალ წამოწყებებს — ფაბრიკებს, ქარხნებს.

მიშა დადიოდა სასწავლებელში, კოლექტივში და საღამოობით კი, ვიდრე სანდრო მოვიდოდა კითხულობდა წიგნებს.

კოლექტივში მეორე დღესვე გავრცელდა ხმა, რომ მიშა მამას გაექცა, რომ ის ეხლა მათი ნამდვილი ამხანაგია.

ყველა სიყვარულით და განცვიფრებით უცქეროდა მას.

დაიწყო მისი ახალი დღეები...

VII

არტემ ივანიჩის ოჯახი ამ ამბით ძლიერ შეწუხდა. ეხლა იგრძნეს შვილისადმი სიყვარული. ორმოცდაათი წლის კაცია პაპიროსი არ მოუწევია, ეხლა კი ბოლმის გასაქარვებლად მიეჩვია. სონაც, რომელიც არასოდეს არაფრისთვის არ განძრეულა, უკვე მოუსვენრობს და ვერ ჩერდება ვერც თავის ტუალეტთან, ვერც ოთახში, ვერც გარეთ.

თითქმის ყოველდღე თითო ჩხუბს აწყობს მეზობლებთან და ყოველთვის დამარცხებული რჩება, რადგან ის ხან გულწასული შეაქვთ, ხან ისტერიკა მოსული.

დგმურებიც არაფერს ერიდებიან და ხმამაღლა გაჰკივიან:

— თქვენ, რომ კარგი ხალხი ყოფილიყავით, შვილი არ გაგექცეოდათ.

ყველაზე უფრო ძლიერ ეს ჰკლავდა მათ.

დაეძებდენ, მაგრამ ვერ გაიგეს ვისთან იყო გაქცეული.

ერთ დღეს კი არტემ ივანიჩი შინ დაბრუნებისას, მივიდა სონასთან და ნაღვლიანი ხმით უთხრა:

— იცი სონა, მიშა სანდროსთან ყოფილა.

— მართლა, რა იცი?!.

— მე ვნახე ოლივე, ვთხოვე სახლში დაბლუნება, მაგრამ უარს ამბობს.

მერე ხელსახოცი თვალებთან მიიდო და უფრო მწუხარედ დააყოლა:

— ოლონდ თითონ კალგათ იყოს და დეე ნუ იქნება ჩემთან... და წამოდგა მეორე ოთახში გავიდა, ეშინოდა ცრემლები არ წასკდომოდა.

თამრიკო კი პირდაპირ განცხრომაში იყო. მშობლების სიყვარული მასზე დაგროვდა. მან უკვე გაიცნო კიდეც ახალგაზრდა მეზობელი. თვალი-თვალსაც გაუსწორეს, ღიმილიც აჩუქეს ერთმანეთს.

ეს მამამ რომ გაიგო, ჯერ იწყინა, ცულლუტობა ეგონა, მაგრამ როდესაც სიმართლეში დარწმუნდა, მასაც ესიამოვნა.

ის ფიქრობდა: „ჩემი მშველელი სიძე იქნება. სწორედ ეგ, მის გვერდში რომ .შემოასახლეს, ის დიდი კაცია და უსათუოდ გავლენიანიც იქნება“.

ერთ დილას არტემ ივანიჩი გამოელაპარაკა სასიძოს. თავისი ძველი ამპარტავნული გამომეტყველება გაიკრა ღიპსა და სახეზე, ხელში თუთუნის მილი დაიჭირა და თავმომწონეთ შესძახა:

— სიძევ, ხომ ყოჩაღად ხარ? — მხოლოდ ასო „რ“ უშლიდა მას, თორემ ყველაფერი რიგზე ჰქონდა. მის წარმოთქმის დროს წუთით შეჩერებოდა ხოლმე, თითქოს ყელში ლუკმა გაუჩერდაო, ნიკაპს სწრაფი მოძრაობით დაბლა დასწევდა ხოლმე და ვაივაგლახით ამბობდა. ლაპარაკის დროს უგემურად აცმაცუნებდა ტუჩებს და კვამლის კვირტები იშლებოდა მისი სახის წინ.

— მე სიამოვნებით ვითხოვ თქვენ ქალს, თუ მისი სურვილი იქნება, — გამოელაპარაკა სასიძო. წვრილი, წაწვეტებული ცხვირი და ნიკაპი თითქოს უფრო გაუგრძელდაო. თვალებში გაზაფხული აუშრიალდა, ხელებიც უხერხულობიდან გამოვიდენ, მოაჯირს დაეყრდნენ და მთელი ტანის სიმძიმე დააწვა ზედ.

წაისაუბრეს. ილაპარაკეს წარსულსა და დღევანდელ ცხოვრებაზე. მან თვისი ვინაობა გააცნო, თანამდებობა დაუსახელა, არტემ ივანიჩმა კი თავისი წარსული ცხოვრება მოაწონა

დღეს არტემ ივანიჩს რატომღაც მეტისმეტად ტკბილად ეჩვენებოდა, თავისი ხმაც, სიტყვებიც, მოსწონდა თვისი ქცევაც და აღტაცებული იყო დღევანდელი დღით.

როდესაც ოთახში შებრუნდა, გულში ამბობდა: „თუ თამრიკო გავათხოვე, თუ ეგ ჩემი სიძე გახდა?!.“

— რა მოგწონს, მაგისი, აბა მითხარი, რა მოგწონს მაგისი?!. — ნერვიული აღშფოთებით ეცა ცოლი.

— ღლა მომწონს?.. აი!.. მსახულობს... კავშირის წევლია. თვალი აღ აკლია და ფეხი... მეტიღა გინდა?!.

ვინ დაუგდებდა სონას ყურს. არც ის იყო წინააღმდეგი, მაგრამ ისე სხვათა შორის გამოსთქვა თავისი აზრი. თამრიკო კი ყურს უგდებდა, სიტყვას არ ამბობდა, ის ყველაფერზე თანახმა იყო. ისე კი სულ ფიქრობდა, ფიქრობდა, ფიქრები დარდათ გადაექცა და ამ ნეტარ დღის მოლოდინში ოდნავი სიფითრე შეეპარა.

ერთ საღამოს თავისთან შეიპატიჟეს და კარგი ვახშამი გაუწყვეს. ღვინო განუწყვეტლად აფერადებდა ჭიქებს და სადღეგრძელოები კი აცალიერებდენ.

სუფრაზე ყველაფერი უხვად იყო.

სიმხიარულეც იშლებოდა და სიხარულში ახვევდა მასპინძლებს. სიმთვრალის დროს სიტყვა მისცეს ერთმანეთს და ნასიამოვნებმა ოჯახმა კმაყოფილებით გაისტუმრა ძვირფასი სიძე.

ღამით კი, შექეიფიანებული, პატივით აღვსილი ყმაწვილი საწოლთან რომ მიდიოდა, ფიქრობდა:

„რასა ვკარგავ შევირთავ, მაგრამ თუ სახლებს მე არ დამიმტკიცებენ, არც მაგათი ქალი მინდა და არც პატივისცემა“.

თამრიკო კი ლოგინში იწვა, ბურუსიანად შეჰყურებდა თეთრად შეღებილ ჭერს და ფიქრობდა:

„ყველაფერს, ყველაფერს ვანაცვალებ მას. რა კარგია ქმარი“.

VIII

ინჟინრის ოჯახმა ძლიერ შეაწუხა არტემ ივანიჩი. განა საკმარისი არ იყო ასე რომ დაურიდებლად შემოუსახლეს, რომ თავისი ხმაურით მოსვენებას არ აძლევდენ.

მათი ბავშები, პიანინოს დაკვრას სწავლობდენ და ყოველთვის, როდესაც კი შინ იყვნენ, ურტყავდენ პაწია თითებს, თეთრ მარმარა კლავიშებს და დაჭრილ ხარივით ახმიანებდენ.

— ეს უკვე უსვინდისობაა, ეს თავზე დაჯდომაა!.. გაიძახოდა ხოლმე არტემ ივანიჩი და უთავბოლოდ დაიწყებდა ოთახში სიარულს.

არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

ბოლო დროს ძილი აღარ შეეძლო. რაღაც ფიქრები თუ ტკბილი იმედები მოსვენებას არ აძლევდენ.

ქალაქში გასვლა ეჯავრებოდა. იქ ხვდებოდა ხოლმე ათასგვარ ლოზუნგებს, რევოლიუციონურ სურათებს, სხვადასხვა დემონსტრაციებს და ყველაფერი ეს ტანჯვის მეტს არაფერს არ აყენებდა, სახლში ყოფნით კი ავიწყდებოდა მომხდარი ცვლილებები.

ერთ დღეს სასიძომ გაზეთი მიუტანა, მიუთითა ერთ ადგილზე და წააკითხა.

სიმწრის ოფლმა დაასხა მას.

თვალები გაუფართოვდა, აუწითლდა, სახე აენთო და ხელები აუკანკალდა. აერია მეტყველება.

— სსსახლები უუნდა ჩაჩამომართვან!... — აღადგინა ბგერა „რ“, მაგრამ სამაგიეროდ დაუჩლუნგდა ენა.

სახლები უნდა ჩამოართვან. დეკრეტი გამოსულა. უკანასკნელი იმედი უცრუვდება და რჩება ცარიელზე. ეხლა რაღა ჰქნას, როგორ მოიქცეს... სასიძომაც უმწეოდ გაუქნია თავი, არც ანუგეშა, მცირეოდენი იმედიც არ მისცა.

შეიყვანეს ოთახში გაბოროტებული, გაბრუებული.

რამდენიმე დღის შემდეგ შენობა დაათვალიერეს, დაამტკიცეს, რომ ხუთმეტ თვალზე მეტი იყო და წავიდენ. მერე კი კომენდანტიც მიუჩინეს და სამუდამოდ ჩამოართვეს მას სახლებზე მზრუნველობა.

უკანასკნელ თვეებში მოტყდა არტემ ივანიჩი. აღარაფრის ხალისი აღარა აქვს. გახდა, დასუსტდა, წვერ-ულვაში აებურძგნა და გაეზარდა. დაბერდა.

— ბბადავვწვამ, ბბადავვწწვამ!.. გაიძახოდა არტემ ივანიჩი ცოლისა და შვილის წინ და ფიქრობდა ამაზე ყოველთვის, როცა იძინებდა, როცა სჭამდა, როცა ლაპარაკობდა. დადიოდა გაშტერებული და თან დაჰქონდა ეს შურისძიების გადაუწყვეტელი საშუალება.

ერთ დღეს სასიძომ განუცხადა, რომ რამდენიმე თვით სოფლად სამუშაოდ მიდის და დაემშვიდობა. გააცილეს სადგურამდე სიყვარულით და მხურვალე გამოთხოვებით. თამრიკომაც გააყოლა თვალი მატარებელში მჯდომს, გაქროლებულს საქმროს და იმ იმედით, რომ გაზაფხულზე მისთხოვდება, თავი შეიკავა ზედმეტ გრძნობებისაგან.

და გაქროლდა საქმრო, სადღაც შორს თეთრი მთებისა და თეთრი მინდვრების იქით.

ქალაქშიც ზამთარი სუსხავდა. თოვლმა დაფარა სახურავები, ქუჩები, მოედნები.

დგებოდა დილა ბურუსითა და ნისლით და აღვიძებდა არტემ ივანიჩს ბურუსიანს და ნისლიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცივე იყო გულში და გარეთ.

მიდიოდა დღეები, თვეები.

თვალები ჩაუცვივდა თამრიკოს შავად, სახე ყვითლად ჩამოეღვენთა და ყველა ხედავდა რომ დნებოდა, საქმრო კი მაინც არ მოდიოდა.

ბოლმა დაგროვდა არტემ ივანიჩის გულში. შური უნდა იძიოს, უსათუოდ შური უნდა იძიოს. ის ხომ კაცად აღარ სჩანს. ადამიანური აღარაფერი ეტყობა.

დადის ოთახიდან აივანზე, აივნიდან ეზოში და მოუსვენრად გრძნობს თავს. არც რამე აქვს გასაკეთებელი, არც უმოქმედოდ შეუძლია ყოფნა. რაღაც უნდა ჩაიდინოს.

აი, ღამეა.

ის წევს საწოლში, რომ როგორმე დაიძინოს.

გვერდზე ოთახიდან ინჟინრის ბავშვების ჟივილ-ხივილი მოესმის და პიანინო კი რაღაც მისთვის უცხო და უსიამოვნო ჰიმნს ავრცელებს.

ფიქრები ეშლება, როგორც შავი პირქუში ღრუბლები.

„ამ ხმამ იყო, რომ დამაჩანაგა, ამ სიმღერამ წამლეკა, სწორედ ამ სიმღერამ. ცხოვრება გამინიავა, სიცოცხლე წამართვა, ბედნიერება დამიხშო, სწორედ ეს იყო, სწორედ ეს!..“

გმინავს, ღელავს, შფოთავს. მისი ტვინი ცეცხლივით იწვის და უდაგავს ყოველ ძარღვს, ყოველ ნერვს, სხეულის ყოველ ნაკვთს.

წამოდგა. ჯერ პირში თუთუნის მილი დაიმაგრა, მერე აკანკალებული ხელით ჩაიცვა და გარეთ გავარდა. შევიდა სამზარეულოში. თუნუქის ჭურჭელს ხელი დაავლო, მიდის ძირს და ბოძებს ასხამს ნავთს.

ფიქრობს:

„შურს ვიძიებ, აი, ეხლა შურს ვიძიებ“.

და როდესაც თუნუქი დაცარიელდა, ათრთოლებული ხელებით ასანთს გაჰკრა.

აენთო ღერი.

სინათლისგან რაღაც საშინელება ჩაუვარდა თვალებში.

გაიფიქრა კიდევ რაღაც. მგონი: „ეს სახლები ხომ ჩემია. ისინი წავლენ და ეს მაინც მე დამრჩება“.

და ანთებული ასანთი ტუჩებში გამაგრებულ თუთუნის მილს მოუკიდა.

ღრმად ჩაისუნთქა კვამლი. იგრძნო რომ გული ეწვოდა.

აირბინა ისევ კიბეები.

ჩავარდა საწოლში.

თითქოს რაღაც დასვენება და კმაყოფილება მიიღო, — ბურუსში მიიძინა.

IX

ყველაფერი გათავდა.

დაჰკარგა, რაც გააჩნდა.

არტემ ივანიჩმა უკვე ყავარჯენი დაიკავა ხელში და ნელი ბაჯ-ბაჯით დაიწყო სიარული.

ტვინში რომელიღაც ძარღვი გაუწყდა და სამუდამოდ დაეკარგა რამისადმი ხალისი და ინტერესი.

სულ ჩუმად იყო.

არაფერს არ ლაპარაკობდა, დადიოდა უსიტყვოდ და მხოლოდ შეკითხვებზე იძლეოდა პასუხს.

სონა დაავადმყოფებულ თამრიკოს უვლიდა.

ისიც დნებოდა, ჭკნებოდა. მისთვის ეხლა სულ ერთი იყო, ჩვიდმეტი წლის იყო თუ ოცდა სამის, რადგან მისი გაზაფხული არ მოდიოდა.

ზამთარი თავის უკანასკნელ დღეებს სტოვებდა.

ველზე მწვანე ბალახი ჩნდებოდა, ნუშის ხე ყლორტებსა და ყვავილებს ისხავდა.

სუსტი სხივები კრიალებდა სუფთა, გამჭვირვალე ჰაერში.

ტფილისმა რიჟრაჟიდან იცის გაღვიძება და ახმაურება.

დღეს კი ცოტა გვიან წამოდგა.

გვიან წამოდგა, მაგრამ საზეიმო სახით გაახილა თვალები.

უქმობს ქალაქი. ქალაქში დღესასწაულია.

ქუჩები ივსება მოზეიმე ხალხით.

დრო მიდის წინ და შუადღე ჩერდება მზიან ცაზე.

ყავარჯენით ხელში მობაჯბაჯებს უდროო მოხუცი ამ ზღვა ხალხში და ჩვეულებრივი გულგრილობით უცქერის სხვადასხვა სახეებს. ის მათში ვერაფერს ვერ კითხულობს, ვერაფერს ხედავს.

ტროტუარები შელობილია ჩამწკრივებული ხალხით და მოედანზე გადასვლა შეუძლებელი ხდება.

მუსიკა უკრავს მარშს. ისმის ათასის და ათიათასის ნაბიჯის ხმა.

ამ დროს ჰაერში ვრცელდება სიტყვა:

— ამხანაგებო, დღევანდელი დღე!..

ნაცნობია ეს ხმა არტემ ივანიჩისთვის. ის როგორც ყუმბარა ისე გასკდა მის გონებაში და ყოველგვარი ნისლი გაჰფანტა.

— ჩვენ შვიდ წელში ავაშენეთ... — განაგრძობს ისევ ის ხმა. და როგორც ჩაქუჩები ისე ხვდება ეს სიტყვები მოხუც, სახეამღვრეულ კაცს.

ის შეჩერდა ერთ ადგილზე. ყურთა სმენა გაამახვილა და დარწმუნდა, რომ ეს სანდროს ხმა იყო.

წარსული ცხოვრება გაახსენდა არტემ ივანიჩს. მას უფლება ჰქონდა მოგონებებით მაინც დამტკბარიყო და წარმოედგინა თვისი ბედნიერების დრო, როდესაც ეს მოგუგუნე ათასები მისი პატივისმცემლები იყვნენ. მოიგონა ჰამქარში რომ შევიდოდა, როგორი შახით უბრწყინავდა სახე და როგორ ესალმებოდენ ყველანი.

შეინძრა არტემ ივანიჩი და დაძვალული ხელებით გაარღვია წრე. შეხედა სანდროს ახალგაზრდული სიცოცხლით და უნარით სავსეს.

თავი გააქნია, მერე ჩაქინდრა.

ამავე დროს მოპირდაპირე ქუჩიდან, დაბალი და მიუწვდომელი, შემდეგ თანდათანობით გაზრდილი ხმით მოისმა:

„სმენა, დროშები, დროშები მაღლა!..
ახალი ქვეყნის მოვალთ შვილები“...

მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდა თეთრ ხალათებსა და წითელ ყელსახვევებში გამოწყობილი ბავშვების ულევი რიგები, რომელთაც სიცოცხლე, სიხარული და მომავალი მოჰქონდათ თან.

მათში გარკვევით ესმოდა ერთი დამწყები ხმა და მაშინვე თვალწინ დაეხატა მიშა.

ეს ის მღეროდა:

„ახალი ქვეყნის მოვალთ შვილები“...

გაბრუვდა არტემ ივანიჩი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაეჭიდა ყავარჯენს. ეხვეოდა — ნისლში...

. . . . . .

საწოლზე თამრიკო წევს. მისი ფიქრები გატყორცნილია შორს, განუცდელ გაზაფხულისკენ, იქ, საითაც გაქროლდა ორთქლმავალი. ბურუსი ეხვევა მის თვალებს.

. . . . . .

არტემ ივანიჩი სულ ახლო და ახლო გრძნობს ამ ხმას. ის გრძნობს, თითქოს ეს უამრავი წყება მხოლოდ მას ჩასძახის ყურში ამ სიტყვებს და სმენა ეჭედება, ევსება ყურები, გონება... მაგრამ მაინც მტკიცედ უჭიდია ყავარჯენზე ხელი და თვალები ხან ეხუჭება, ხან ეღება... ტორტმანებს... სიმღერის ხმები და სიტყვები არეულ ბგერებში გადადის, ირევა მის გვერდით, და ამავე დროს ის ხედავს, თუ როგორ ეცემა მის წინ სართულები, კედლები, მაღალი და მძიმე სახლები...

. . . . . .

დღეს რომ გაზახულის მზე გამოვიდა, ახარებენ თამრიკოს. ფანჯარასაც აღებენ. მზის სხივები იჭრება შიგ, შეაქვს სითბო, მაგრამ თამრიკო გაზაფხულს მაინც ვერა გრძნობს. ყრუ ხველებაში გადადის მისი ნაღვლიანი დუმილი.

. . . . . .

ვერ აიტანა მოახლოვებული ზღვა ბავშების ხმა და სახეები; დაქანცულმა ბებერმა ძალლონე მოიკრიბა და ზურგი შეუქცია. მაგრამ ვერც ამით იხსნა თავი. მომავალი თაობის ხშირი ნაბიჯების და უამრავი სახეების სიცილ-სიხალისეზე ფიქრი ვერ განიბერტყა.

ისეთ განცდებში იყო და ისე გრძნობდა, თითქოს ამ ხმებით აღვსილი წყებები უკვე მოუახლოვდენ, უკვე მის ზურგზე შესდგეს ფეხები და აბიჯებენ ზედ.

. . . . . .

საწოლი გაცივდა. ვიდრე სხეულში სითბო იდგა, თვალებში ბინდი წვებოდა და თამრიკო გრძნობდა, თითქო მის წინ გადმოტრიალდა, გადმოგორდა და ძირს დაეცა დიდი უზარმაზარი ცა, — გაზაფხულის მზიანი და თეთრ ღრუბლებიანი ცა.

მისი ცივი მაჯა ხელში ეჭირა ექიმს.

. . . . . .

ხელს ყავარჯენი გაუვარდა და მოდუნებული სხეული ფილაქანზე დაეცა. იმ ერთად-ერთი შემაძრწუნებელი ტვინში ფიქრით, რომ მის ზურგზე მკვრივი და მძიმე ნაბიჯებით გადაიარა მომავალი თაობის უთვალავმა წყებებმა.

დიდხანს მის წინ კიდევ ცვივოდა ცივი და უსულგულო შენობები, შემდეგ მის თვალებში ჩაცვივდა და დახურულმა ქუთუთოებმა დამალეს თავის სილრმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. კაპანიძე

ჩემი პირველი უჯრედი

1

როგორ გიამბოთ. —
ვიყავ პატარა,
წლოვანებით სულ, — მგონი თოთხმეტის, —
დაუდეგარი გულით ნატვრა და
საქმიანობით მიწათმომქმედი. —
და ნახუცარი ვინმე პახუმი
მყავდა გონების მოჭირისუფლედ...
კაცი, საერთოდ კაცთა მსახური
და მშვიდობიან აზრის სიუხვე.
მას თუმც არ სწამდა ტახტი არწივის,
იყო დროების მოაგარაკე, —
მაინც მის ხელში ველარ გავცილდი
საბა-სულხანის იგავ-არაკებს.

ეს იყო სოფლად, —
და ჩემს ცხოვრებას,
მჭვარტლით გამურულ ქოხში ვარბევდი.
მზრდიდა დღითი-დღე მზის მცხუნვარება,
გლეხის შრომა და მწვანე ბალები.
— მაშინ ცა იყო ვერცხლი კრიალა
და განთიადი მთების ღიმილი.
— ყოფნა მეგონა ზარი წკრიალა
გაგორებული ბალში ხილივით.
დილა მოჰქონდა მამლებს ნიადაგ,
ეზოს აფრთხობდა ხეთა შრიალი,
ახლო მინდორი, შლიდა ნიავს და
გაუქროლებდა ბოლოს ფშიარებს. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე გასული მინდვრად დილითვე,
ყანის სილურჯეს ჯაფას ვალესდი.
მქონდა საჩუქრად შრომა, თბილი დღე,
ღადრის კვერი და დედის ალერსი.

საღამოისას, ისევ კერია
საქმეს მიჩენდა სახელდახელოს, —
თან იქ, რაც ბაბუს დაუწერია,
მქონდა ძეგლად და სახელმძღვანელოთ.
ან, და, წისქვილთან ვინმე ბობოლა
ამბავს მეტყოდა ხმა გამეტებით:
— „ძიავ, შებრუნდა ქვეყნის ბორბალი...
— ძიავ, გვიშველის ემიგრანტები...“
მე კი: —
ვხედავდი ყველა მაღლობი,
თემში ბოგანო ხალხმა დაჰფარა.
— სოფელს ალხენდა თემ-ალმასკომი
და კომ-კავშირის ბუკი-ნაღარა.

ეზო გამიხდა დარდის სადგურად,
ნატვრად შემექნა მსგავსი სირბილის, —
და გავიფიქრე: — მამა-პაპურად
ფიქრის აფრენა არის სიკვდილი.

2

დღე ინთებოდა ალიონივით,
ღამემ მარცხივით ქედი მოდრიკა...
— თემის წისქვილთან ისევ ბობოლა
ოდას უწერდა პატრიოტიკას.
— ჩემს წინ გზა იყო თითქოს რტოება,
ამბოკარულად დროს გავკიოდი. —
მაშინ ხელდაკვრით მითხრეს ტოლებმა;
დაგვიმეგობრდე უნდა გიორგი.
და მოხდა ასე: —
მტრობის მოჯერე,
როცა ჭორებით თხზავდა ლეგენდას, —
მე განცხადებას ვწერდი უჯრედზე
უბრალო ფანქრით, ქოხის კედელთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალ ნაბიჯით ეზოს გავშორდი,
თავს სადღეისოდ გავებაასე, —
და ჭაბუკივით გული ბავშობის
დადგა უჯრედის პირველ კრებაზე.
ამითამაშდა თვალი საოცრად,
დამრჩა კერია გზა მოკვეთილი, —
და აქ მიჭერდა, როგორც გამოცდა,
კრების ნება და ხმა კოლექტივის.
თვალმა სხვაობის კარი დახურა;
— ვნახე საერთო გზა და მიზანი...
და ერთმანეთიც ამხანაგურად
ჩვენ აქ მივიღეთ და აქ ვიცანით.
გავბოლშევიკდი. —
და იმ წლებიდან
ცივი დღეებიც მექცა თბილი თვედ.
— მე ვეცნობოდი მაშინ ლენინს და
ჩვენი საყვარელ მხცოვან ფილიპეს.
ვიწყე ბაასი პოლიტ-ანბანით,
გავიჯანსაღე აზრი ცხოველი.
— ასე დაიწყო დღენი მაღალი
და გაზაფხული ჩემი ცხოვრების.

3

უჯრედი გახდა წინსვლის პირობათ, —
მისგან გლეხებიც საღად მსჯელობდენ.
— ვიღაც კი ისევ მორცხვად სტიროდა
თამარ დედოფლის საქართველოზე.
— მე სარბიელით სოფელს დავშორდი,
ქალაქი გახდა ჩემთვის მეზარე, —
და ყოველ დღიურ გარჯით და შრომით
მანქანის გვერდით წამოვიზარდე.
ვიგრძენ ცხოვრებაც მეტი ხალისით,
გავცდი სრულიად დედის საჩუქრებს, —
და დღეს ჩემს ყოველ ამოძახილში
ამხანაგივით სდგას სიჭაბუკე.

როცა სოფლად ვარ, — ქოხის მხილველი
მოგონებაში ხსოვნას ვაჯერებ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე აქ დავწერე ლექსი პირველი
და განცხადება პირველ უჯრედზე.
ეხლა უჯრედში ბევრს ვერ ვცნობილობ;
შემატებია ლხინი მრავალის,
— ამხანაგებიც წამოზრდილან და
აქვთ სადარბაზოთ კვლავ ნასაყდრალი.
არის სიცოცხლე გეგმით მომქმედი,
ახალ, წყებაზე საქმის მინდობა.
— აქ ინახება ძველი ოქმებიც
და ამ ოქმებში ჩემი მდივნობა.
გამეხარდება: —
მაშინ პარტიის
მოწოდებებზე ისე ვღვივოდით,
თითქო ყველანი დიდის პატივით
ვდელეგატობდით ცნობილ ყრილობებს.
თან გამაცინებს ერთი შემთხვევა,
ეხლაც რომ ლუპავს ციურ იმედებს;
— ყოფილ ტაძარზე ხელის შეხება,
რომ ხვდათ სირცხვილად ქრისტეს მიმდევრებს.

მოგეხსენებათ: — არა მუქარით,
თემში ერთი დღით ცაკი გვესტუმრა, —
და ღვთის მონათა ხვეწნით, მუდარით
კლუბს დაგვაშორეს მათ უნებურად.
მაგრამ ზეციურ სენის ბაცილა
ვეღარ გამოდგა მაინც მაგარი:
— რიცხვით მლოცველნი სამ ვერ გასცილდა
და დავიუფლეთ კვლავ ნასაყდრალი.

ამ გვარად განვლილს შუქი ადგება
და ნატერფალი ამხელს გარკვევით:
— უწინ მიწის და ცის გასაგებათ
აქ ვლებულობდი პირველ გაკვეთილს.
— შამოვბრუნდები. — სადღაც ბოლი სდის.
ეხლა ამ კუთხის ვხდები მეზარე.
მე კი: —
ყმაწვილი ოცდა-ორი წლის,
ტფილისის მკერდში წამოვიზარდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ჩხეიძე

დ ღ ე ე ბ ი

ლიახვის ხეობის სოფლის ერთ უბანში გლეხები ირეოდენ. სამიკიტნოს დერეფნის ბოძზე ჯინიყაშვილს ცხენი გამოება. ყველით სავსე გუდები კი ეყარა სოხანეზე და ერობის რამდენიმე გვარდიელი ფეხით სინჯავდა. გლეხები უყურებდენ, ლაპარაკობდენ არეულ-დარეულად. მათ ყურს არავინ უგდებდა. ჯინიყაშვილის ქერა. ნაოჭიან-შუბლსა და თვალებში ისახებოდა შეკავებული ბრაზის გუბე, მარჯვენა ხელით ქამარს იგრეხდა და ადგილზე ფეხებს აბრაგუნებდა.

— ბაჟი! ბაჟი! გადასახადი!

ყვიროდა გვარდიელის თექაში ჩაცმული, აზიურ ჩექმებ-ლეკვერთხებ შემოჭერილი სამაზრო ერობის დარაჯი.

— სენი წირიმე, რა ბაზი, რა გადასახადი მოგცემდე, ერთიც და ბევრიც ჩამოვიტანდე გორში ყველები, და გადასახადი პრისტავიც არ გთხოვდე. ეს გლეხები ყველა მოწმე იქნებოდეს, რომ აქ ერთმანეთს არაფერს გადასახადს არ გახდენევინებდე.

— ბითარაშვილს დაუძახეთ. მან იცის მაგის ენა. მიაძახა დარაჯმა იქვე მდგომ პატარა ბიჭს. ფეხშიშველა ბავშმა გასტოპა დამდგარ ლაფში და ორსართულიან სახლიდან გამოიყვანა მაღალი ტანის ოსი, ნაბდით, მაღალი ბუხარული ქუდით და ახალი ჩოხა-ახალუხით. აივნიდანვე შეამჩნია მან ურჩი ჯინიყაშვილი. სიამოვნებით გადაისწორა შავი ულვაშები: ძალიან იაფად მოიდგო ხელში მყვირალა და სოფლის ამრევი ბალშევიკი ჯინიყაშვილი. ის მეტის კმაყოფით თრთოდა და ფეხებს თითქოს ათამაშებდა.

— აბა, როგორ გეკადრებოდე ბითარაშვილო მაგისთანა საქმე! გაგიშვი, შენმა მზემ გაგიშვი, პრისტავსაც არ გაძლევდე გადასახადი და ბაჟი, ეხლა რა გახდებოდე, რომ გორში ყველ-კარაქი ვერ ჩავიტანო და „ბალვებს" ქარჟინა არ გამოგელიე.

ჯინიყაშვილი ქართულს ვერ ამბობდა კარგად. ხშირად ოსურს ჩაურევდა, ხოლო ბითარაშვილი ისევ შეაწყვეტინებდა და გააჩუმებდა.

— ჯინიყაშვილო! შენ რაც გინდა ქართულადა სთქვი.

— უბედურებაც ეგ არის ბითარაშვილო, ეს მეზობლები ქართველები ჩემი ოსურიც გაიგებდე და ქართულიც. შენც მეზობელი ოსი, ბითარაშვილი, არც ერთი არ გაგებდე. ბაჟი... არ... მოგცემ ბითარაშვილო. მიწა გლეხებმა მოვხანით და მისავალიც ჩვენი იყვეს, სათიბიც ჩვენ მოვთიბეთ, თივაც ჩვენი იყვეს. შენი ბებერი დედა ხომ არ გამოწველიდე ჯინიყაშვილი რომ აქ ბაჟი დაგიტოვებდე.

— დაუკაკუნე და მოგართმევენ. საძოვრები სულ ჩემია, სულ მე მაქვს აღებული, შქმერიდან მოწყობილი, კუდარო, წონა ცხინვალ დუშეთამდი. სულ ჩემია! ფეხსაც ვერ შეადგამთ! თუ არ გადაიხდი, ცხენებს დაგიკლავ!

— არც გადავიხდი და არც-არცა. ცხენებიც, რომ აქვე დაკლავდე, ყველებიც რომ აქვე ახლავე ღორებს შეაჭმევდე, მე ცხოვრება ორი საპალნე ყველი ჩემი ხელით გამოწველე, გამოხადე კარაჭი და ამოიყვანე ყველი.

— მე არსადაც არ გაგიშვებ ჯინიყაშვილო, ცხენები მე დამრჩება და ყველსაც ჩარჩს მივყიდი. თუ ეგრე ლაპარაკი შეიძლება მაგასაც ვიკითხავ, მერმე მე აღარაფერ შუაში ვიქნები.

ბითარაშვილმა თითქოს ხელები დაიბანა, თითები მოისრისა ხელის-გულზე, ნაბადი შემოიგდო ბეჭებზე და სახლში შებრუნდა ამაზრო ერობის დარაჯებმა ყველის ტომრები დაზგის ქვეშ შეყარეს. ჯინიყაშვილი გაშტერებული იდგა. უყურებდა გვაოდიელებს. ერთმა ცხენებს მოკიდა ხელი ავშრებში და დაისადავა.

— სენი წირიმე, ერთი ცხენი დატოვებდე, ეს სხვისი ნათხოვარი მაინც-დამიტოვებდე, თორემ ოჯახი მთლად აგაოხრებდე. დარაჯის მოსაშველებლად მოსული გვარდიელი კი ისადავებდა უკვე მეორე ცხენს. ჯინიყაშვილის ხმა თითქოს არ ესმოდა, არც მას და არც გარშემო მრავლად შემოხვეულ, ჯოხებზე დაყრდნობილ გლეხებს.

— დაანებებდეთ ცხენებს თავი, თორემ გაბრაზდებოდე ჯინიყაშვილი.

მეორე გვარდიელმა ყვირილის გულისთვის ჯინიყაშვილს თეძოში კონდახი ჩაარტყა. ჩარტყმის საპასუხოთ ჯინიყაშვილმა სწრაფად თვალი მოავლო მიდამოს. ხანჯალი გაიძრო, უცებ გაისმა მოწყვეტილი ჩახუნი და თვალის სისწრაფითა ავშარა ხელში ჩაიგდო. ტაბივით დაჰკრა ცხენს გავაზე ხელი, გაუწვა კურტანს, ხელი ფა-

ფარში ჩასჭიდა, ცალი ფეხი დაიგრძელა, მაგრად ჩასცხო მარცხენა ფერდში ცხენს ქალამნის ხმელი კოპი. გამწარებული ცხენი კუდიან ქარივით მოჰქროდა მიხვეულ-მოხვეულებში და ჭყივილზე ჩიტივით ევლებოდა მიწურებს.

— გადაგარჩინებდე შენი ძუაცა... შენი... თორე... ძაღლებს შეგაჭმევდე. — ეხვეწებოდა კურტანზე გატყლაპული ჯინიყაშვილი დაკოდილ საკურტნეს. ცხენი თითქოს მიუხვდა პატრონს გასაჭირს. უკანიდან გაგონილ ჭყივილს ათი ნახტომით ზედმეტად აცილებდა მხედარს.

*
* *

ბითარაშვილი რომ ბანზე გამოვიდა სწორედ მაშინ ერობის გვარდიელების უფროსი არყის სახდელზე თბილ სასმელით შემთვრალ გვარდიელებით მიზანში იღებდენ ჯინიყაშვილს და ფეხდაფეხ მისდევდენ. ბითარაშვილიც შემოაჯდა ცხენს და გამოეკიდა მდევრებს. სოფლის ბოლოში ჯინიყაშვილმა ცხენს ბალდუმები გამოხსნა. ზურგზე ტყლაპი გადაუგდო, მოაჯდა და ნაცრის ფერ ნისლში ქარიშხალივით გაჰქრა. სოფელი ფეხზე დადგა. ოსის ჭყივილი ქვესკნელში ჩაწვდა. ბანები გაივსო ხალხით. ჯინიყაშვილი კორდებზე გადარბოდა. უთავბოლოდ გამოკიდებული მდევრები ერთმანეთს სირბილში ხელს უშლიდენ. მიკიტნის დერეფნის წინ გლეხები ხმა მაღლა ლაპარაკობდენ. მომხდარ ამბავს თავისებურად სჯიდენ. ვინ შანს უგებდა ჯინიყაშვილს, ვინ დედასაც აგინებდა, ამტყუნებდენ კიდევაც, მაგრამ ერთში კი ყველანი თანახმანი იყვნენ: ჯინიყაშვილი ვაჟკაცურათ გაიქცა და მთელ სამაზრო ერობას თავს ლაფი გადაასხა. ყველაზე მეტად ბითარაშვილის ნათესავი — მოჯამაგირის ქურქში გახვეული მოურავი ცხარობდა, რომლის მოქცევა და ყოყოჩი სამართლიან სიცილსა და ჯოხის ტრიალს იწვევდა გლეხებში. შეყრილ ხალხის შუაგულში ბითარაშვილის მოურავმა ბაქსამ (მას მოურავს თვით ბითარაშვილი ეძახდა) გულში ხელი კრა სოსნა ლომსაძეს, ჯინიყაშვილის კარგს მეგობარს. ოდესღაც ჯარში ლომსაძე დეპუტატად იყო. ბაქსამ იცოდა, რომ მას კარგი თვალით არ უყურებდა ერობა. ერთხელ ლომსაძემ მთელი ეშელონი გააჩერა გორისა და ხაშურის გადასარბენზე. აგიტაცია გასწია და რაც იქაური ბიჭები იყო ყველას თოფები სახლში გაატანა. იმათ მაგალითს სხვებმაც წაჰბაძეს. სანამ მატარებელი ზესტაფონში ჩავიდოდა ერთი კაციც აღარ დარჩა ეშელონში, გარდა ოფიცრებისა. კარგად იცოდა ბაქსამ. რომ

ერობის ჯარის უფროს ბუჩუკურს თვალი ეჭირა ამისთანა ხალხზე. ლომსაძეს კისრის მომგრეხი კარგ საჩუქარსაც მიიღებდა. ბაქსა ამ საქმეს თვითონ შეასრულებდა, მაგრამ ამავე სოფლის ოსმა პიტომ მას კომბალი ჩაარტყა. ის იქავე დაეცა. გლეხებმა, რომ დამდგარ ლაფში ჩავარდნილი ბაქსა დაინახეს, ხარხარი მორთეს. გაჯავრებული გვარდიელები სახლიდან გამოცვივდენ და გლეხების გარეკვა დაიწყეს. მაგრამ უკვე გუნებაზე მოსულ გლეხების გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ისინი თითქმის ყველანი კეტებ გაწვდილი გარბოდენ იქით, საიდანაც გვარდიელები გამოდიოდენ. ბითარიშვილის სახლს ერთ წუთში აღარც ერთი ფანჯარა აღარ შერჩა.

*
* *

ჯინიყაშვილის ცხენი თავგამეტებით გარბოდა. ის იყო მეორე სოფლის ბაღებს მიუახლოვდა, რომ ცხენმა უკან დაიწია, ყალყზე დადგა და ერთბაშად ჩაიჩოქა.

— ეე.. მილალატე... შე... ძუაძალლო.. — ხვნეშით სთქვა ჯინიყაშვილმა და გადმოხტა. ტყლაპი გადაიხურა და ცხენიდან რამდენიმე ნაბიჯით მოშორებული თითონაც მიეგდო ძეძვნარში.

დამშვიდებულმა გვარდიელებმა სროლა შესწყვიტეს. ცხენები ნაბიჯით წაიყვანეს ბუჩუკურს და ბითარაშვილს მოუცადეს. ისინიც მოვიდენ. გამარჯვებულები ზეიმით მიუახლოვდენ მკვდარ ცხენს. ტყლაპს თავზე დაადგენ და ყარაბინებით სროლა აუტეხეს. დააცხავეს ნაკუპრალი ტყავი. ხოლო ჯინიყაშვილი იქ არ იყო და ცოცხალიც უკვალოდ გაჰქრა.

გვარდიელები სირცხვილ ნაჭამი ჩამოხტენ ცხენებიდან, მოედვენ ბაღებსა და ბოსტნებს. ბითარაშვილი და ბუჩუკური ცხენებით საფარს იჭერდენ და სოფელს უახლოვდებოდენ.

— მაგისთანა მოჯირითე მთელ ცხინვალში არ არის, — დაარღვია სიჩუმე ბითარაშვილმა.

— ტყვიასავით მიჰქროდა ძაღლის ჯიში, — მიუგო ბუჩუკურმა.

— მაგის წაბლა ლაფშასთანა ნალი ოჩამჩირედან ზაქათალამდე არ დაეკვრის არც ერთ ცხენს.

— კარგი გოგოც ყოლია, ბითარაშვილო.

— შენ საიდგანლა იცი. შეეკითხა ბითარაშვილი და ნაცრის ფერმა გადაჰკრა.

— მე... რად მინდა... კარგადაც რომ ვიცოდე... გოგო შენ მოგახმაროს ღმერთმა ბითარაშვილო, — ლაფშა კი ჩემია...

— იყვეს, თანახმა ვარ.

ბითარაშვილმა სიხარულით ცხენს მათრახი გადაუჭირა, კალოებში შეაგდო, მას ბუჩუკურიც შეჰყვა.

— გამოიყვანეთ! ჯინიყაშვილი! თორე სულ ამოგხოცეთ! გაგაგებინებთ, რაც ბიჭია ბითარაშვილი!! მიდით სულ ცეცხლი წაუკიდეთ! სულ დედა უტირეთ!

ყვიროდა ბრაზიანად. ბითარაშვილი და კალოზე შავი ნაბდით მათრახით ხელში კბილების ღრჭენით ტრიალებდა.

— კარგი ქურდი მოვიშველიოთ, ამოვაცოცოთ ცხენი და ჯინიყაშვილი გავამგზავროთ საიქიოში.

— არა ბუჩუკურო! ჯერ ჯინიყაშვილი მოვიშოროთ, მერმე წაბლა შენ და გოგო მე მყავდეს. უზურშია?..

— ჩემმა მზემ კარგია — მაგრამ ვის დავავალოთ.

ბუჩუკური დაფიქრდა. ქურდი ოსები მასაც ბევრი ყავდა გვარდიაში. მაგრამ ოსის სოფელში ისინი ხელსაც არ გაანძრევდენ. მათ იქ ყველანი იცნობდენ და ჯინიყაშვილის ცხენის მოპარვაც ძალიან გასჭირდებოდა. მოკვლაც ძნელი საქმე იყო. ერობას გლეხების აჯანყების ეშინოდა. იმ ჟამად იქ იმყოფებოდა გიკაევი. გლეხებს და მუშებს გიკაევი ძალიან უყვარდათ. ერობა მასზე კი ავრცელებდა ხმას, რომ ის იყო ბანდის მეთაური, რომლის მიზანიც მარტო ძარცვა-გლეჯა იყო. ნამდვილად გიკაევი იყო ბოლშევიკურ რაზმელების მომხრე და ორგანიზატორი. მისი თავგამოდების სამართლიანად ეშინოდათ. გვარდიელებმა ისიც იცოდენ, რომ ჯინიყაშვილი მისი მარჯვენა ხელი იყო. ამიტომ შეიძლება ბუჩუკურს ლიახვის პირზე სიცოცხლის დატოვებაც დასჭირდებოდა. ჩიხში მომწყვდეული ის ცხვარივით ბეცად მისჩერებოდა გვარდიელებს, რომლებიც ქალებს და მოხუც ოსებს კალოებზე მოერეკებოდენ. საქმე როგორმე სხვა მხრიდან უნდა მოწყობილიყო და ბითარაშვილმაც თავის მოურავი აირჩია. ის გიკაევსაც იცნობდა, ოსებიც მოჯამაგირესავით უყურებდენ, და ასე თუ ისე მიენდობოდენ. თუ ბაქსა თავზე იდებდა საქმეს, ჯინიყაშვილს, მის ქალს და ლაფშას ადვილად ჩაიგდებდენ ხელში. ჯინიყაშვილის მარგალუჰს მოგონებაზე ბითარაშვილს ჟრჟოლა მოსდიოდა და გრძელ შავ ულვაშებს ნერვიულად იკვნეტდა. ისინი კალოზე ტრიალებდენ. ოსის ფეხწიშველ დედაკაცს მოჰქონდა მახობელა ლურჯ გულა შოთები. ხარშლამა და ხარადოქით არაყი. გაჯავრებულმა ბითარაშვილმა ბლაგვად გამოქნილი რქა ორჯერ დასცალა და ჩვეულებრივად კბილები გაახრჭიალა.

— მაგის დედის... მივადგეთ, თუ არ გამოიყვანს, ერთ ტყვიას გავაციებიებთ!

ცხარობდა მთვრალი ბუჩუკური.

— მერე ორივეს ცუდი საქმე დაგვემართება.

ბითარაშვილმა კიდევ გადაჰკრა.

— ეგეც მაჯავრეთ!

მათ ერთმანეთს შეხედეს, ბითარაშვილმა ამოიოხრა.

— მართალი ხარ! აბა რას იჯავრებ?.. შენ უნდა წახვიდე, მე — აქ უნდა დავრჩე და ვიცხოვრო. ეს ოსები, რომ აქედან სულ იქით კავკავში გადაასახლონ, ორწოხებში გადმოძვრებიან.

ისინი დანაყრებას განაგრძობდენ.

სოფელში გვარდიელები დარბოდენ. ქოხებიდან გამოყრილი ხალხი, დედამკვდარ ფუტკარივით ირეოდენ. გვარდიელები ყველას გარეთ ყრიდენ და შუა სოფლისაკენ ერეკებოდენ.

— გამოიყვანეთ ჯინიყაშვილი! მოგვეცით ჯინიყაშვილი!

შეშინებული ხალხი გარბოდა ერთბაშად და ყვიროდა.

— აქ რა უნდა ჯინიყაშვილს! არ ვიცით! აქ არ ყოფილა!

მათი ხმა თითქოს არავის ესმოდა. ხალხის ხმაურს გვარდიელები მათრახებს უმატებდენ და უფრო აწვებოდენ მოედნისაკენ. სოფლის ბოლოდან (სადაც დუმილით იდგენ ნაცრის ფერი საბძლები და თივის ძირები ზღვის დატვირთულ ღრუბლებით ამოგორდა და ამოტრიალდა ტყვიის ფერი სქელი ბოლი. წუთს გაიზარდა, აჩქარდა, კიდევ გადატრიალდა და წითელი კუდი გაიქნია საბძლების თავზე. ყველაფერი დადუმდა, ისევე როგორც სასაფლაოზე. არ იძროდა ჰაერიც, ძალლებმა შესწყვიტეს ყეფვა. ხალხი ერთბაშად გადაეშვა კალოებიდან ცეცხლისაკენ. გვარდიელები კი მათ უხვდებოდენ წინ და აო უშობდენ და ჯინიყაშვილს ითხოვდენ. ბუჩუკური და ბითარაშვილი ისევ არაყს სვამდენ, რომ ვილაც ახალგაზრდა სწორებაში ჩაუდგა. ის ცხარედ ალაპარაკდა.

— ბატონო ბუჩუკურო, ეს არ იქნება, გლეხებმა რა დააშავეს, რომ სოფელს ცეცხლი მოუკიდეს.

ბუჩუკურმა თითქო რალაც მოიაზრა, თვალი გადაჰკრა მის მახლობლადვე მდგარ ორ გვარდიელს. ისინიც ზეზე წამოდგენ. ბუჩუკურმა მოსულს მხოლოდ კითხა:

— რა გვარი ხარ.

ბარჯაძე — მიუგო მან და კიდევ შესწორდა.

— რა სისხლის ხარ შენ! ოსი და შეცოდება?!

— სისხლი რა შუაშია! დაიხოცებიან!

— სისხლი რა შუაშია! დაიხოცებიან! მიახალა მან და ათრთოლდა.

— ჩემი ნაყმევია მაგის მამა, — მიაგება სიტყვაში ფალავანდიშვილმა, მას ჯერაც არ დავიწყებოდა იმერეთის მამულებში ბაჯაძის მამის ნასროლი ტყვიის გემო.

— გაუსწორდით!

ბუჩუკურმა სიტყვას რჭით არაყი ჩაატანა და პურით ხარბად გამოიტენა პირი.

— მინდორზე გაიყვანეთ! ოსებიც ნახავენ, რომ ჩვენიანების დანდობა მე ფეხებზე მკიდია!

ბითარაშვილმა დაამტკიცა განაჩენი და ბუჩუკურსავით მანაც ჩაატანა ერთი რჭა არაყი, მეორე გაუწოდა ფალავანდიშვილს, რომელმაც თექა „ბუშლატი" უკვე გახადა ბარჯაძეს და თვით ჩაიცვა. ბარჯაძე კი ლიახვის პირისაკენ წაიყვანეს. სანამ რუს გადავიდოდენ ფალავანდიშვილმა ესროლა. ის პირალმა დაეცა. შეშინებული ოსები უყურებდენ და მიშველებას ვერავინ ბედავდა. გვარდიელები გამობრუნდენ უკან. კმაყოფილი ფალავანდიშვილი ულვაშებზე ხელს ისვამდა და თოფს სინჯავდა. არევდარევაში საღამო ჩამოპარებულიყო. თივის ძირებიდან ავარდნილი ალი, რამდენიმე ვერსიდან ბოსჩანდა, თითქოს ბუნებაც გაწყრა, წამს შეინძრა ხეები, მოუბერა, აიშალა და დაქროლა ძლიერმა ქარმა. მოედო საბძელს, გადავიდა მეორეზე, გადასწვდა სადგომ სახლზე და ცეცხლმა ჩაყლაპა მთელი სოფელი. ქარი ნაკვერჩხლებს და ნაპერწკლებს აყრიდა ხალხს, გვარდიელები ცხენებივით მოდენიდენ ყველას შარაზე. ისმოდა მხოლოდ წივილი შეწუხებულ ბავშვებისა, კივილი ქალების. მათ ისე გულცივად უყურებდენ ბითარაშვილი და ბუჩუკური, როგორც უდარდელი და შეუდრეკელი ლიახვის რუ. იღიმებოდენ, თითქოს არაფერი ხდებოდეს, რამდენიმე ცხენოსანმა თავი დაუარა ბლავილით გამოშლილ საქონელს და ხალხს მოარეკეს. დაარბიეს და წამოსასვლელად გაემზადენ. სოფლის თავში მოფარებულ ბორცვიდან იგრიალა თოფებმა. ცხენებიდან გადმოცვივდენ გვარდიელები. გიკაევის რაზმმა ველარ გაუძლო. ტყვიას ტყვიით გასცეს პასუხი.

* * *

— ესროლე ჯინიყაშვილო! სანამ შენ არ გესვრიან და მიგაგორებენ. რაღას უცდი?

— ეე... არ მიყვარდა სისხლი ჯინიყაშვილს, ძალით შეგაყვარებენ ეგ ოხრები.

— ესროლე პირდაპირ! არ დააცილო!

გიკაევი ისე უყურებდა ჯინიყაშვილს რომ მან შემოხედვაც ვერ გაბედა. შაშხანის სამი სროლით სამი გვარდიელი გადმოაგდო ცხენიდან.

ალმოდებული სოფლის შუქზე იხედებოდენ ადამიანები, რომლებიც ერთი მეორეს ებრძოდენ და ეცემოდენ.

უკანასკნელი ქოხ-საბძლებსაც მოედო ცეცხლი, კვლავ ავაოდა ალი ცამდე და ისევ დაილულა. გვარდიელებმა კიდევ გადაუარეს ჯგუფებად დაგროვილ ოსებს — მიაწვენ, გადასთელეს და დარჩენილები გაფანტეს. ლიახვს კი ნელა მოჰქონდა ნიავი და მთის თელხი. ქარმა გადაჰყარა ბოლი, გადამწვარ სოფელში ფეხ ათრეული ჩამოირბენდა ძაღლი, დაიყეფებდა, დაიყმუვლებდა, ლაქუცით მივიდოდა აყვირებულ ბავშებთან, რომელნიც თბებოდენ დამწვარ ქოხების ნაკვერჩხლებზე. ალოკავდა ფეხებს, კიდევ შემოირბენდა ნდობით ნადარაჯევ საძირკვლებს.

დაცალიერებულ, გადამწვარ სოფლის ბოლოში ბუჩუკურს შტაბისათვის ეკავა კარგად მოზრდილი სახლი. ვახშამს შეექცეოდენ. სოფელში სიბნელე ჩამოვარდა, ნაკვერჩხლებიც გადაიფერფლა, აქა-იქ ბოლავდა მიწაში შერგული საძირკვლის დამპალი თავი.

— იცი ბითარაშვილო? როდესაც ცეცხლი ბუგავს ყველაფერს მე მაშინ ალლუმში ვარ. დადუღდეს ქოხები, გაიხაროს ბუჩუკურმა. და ხიდისთაური რომ არ ყოფილიყო გორი კაპეიკადაც არ მიღირდა. გადაჰკრა.

— გაგიმარჯოს ბუჩუკურს. ცეცხლი ცოტაა, ხანჯლის ტრიალი ბითარაშვილს სიცოცხლეს მირჩევნია.

ბითარაშვილმაც გადაკრა სავსე კათხა და ბუჩუკურთან გადავიდა და დაიყვირა.

— ბაქსა!.. ბაქსა!.. აქ მოდი!

ნაბადი გაშალა, ტახტზე წამოწვა და რაღაცასთვის მოემზადა. დაძახილზე შემოვიდა სახე არეული ბაქსა და ბრძანების მოლოდინში პირდაპირ წამოწოლილ ბითარაშვილის წინ გაშეშდა. მას ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი. მას ფარაჯის სახელოებში იფარავდა. ბითარაშვილს ეს არ გამოეპარა და კითხა:

— ხელები რად დაისისხლე ბაქსა...

— სოფელს რომ ცეცხლი მოგიკიდე, მერე ველარ მიგეშველე და დაგჭამე ხაზეინ.

— მოკლედ გეუბნები: ჯინიყაშვილის ცხენი ბუჩუკურს, მე გოგო. ეს საქმე უნდა გააკეთო. სამაგიეროდ ბუჩუკური გვარდიაში

კარგ თანამდებობას მოგცემს. მე კიდევ ხიზნების ნამოსახლეებში, ნაფუზვრებში ხოდაბუნებში და საძოვრებში წილს დაგიდებ.

— მე გვარდიის კაი თანამდებობა გამოგადგება. მე რა იმათი ტოლი ვიყო. მიწა და სათიბები კი ბაქსას ძალიან გჭირდება ბითარაშვილო.

გაქნილი ბაქსა ჩამოეშვა კიბეზე და სიბნელეში გაქრა. იდგა სიჩუმე, ოდესღაც პირ მცინარი ბავშების ჭყივილით გავსილი ქოხები თითქოს არასოდეს არ არსებობდენ. ჩავიდა მთვარე არე-მარე შეისუდრა, შავად და ბნელად. ლიახვის რუ დაუდევრად გადარბოდა დახარატებულ რიყნალზე. შორს სადღაც ისმოდა ძაღლის ყმუილი და უპატრონოდ დარჩენილ ბექობში მიგდებულ ბავშის კვნესა.

ბუჩუკურმა უკანასკნელად გამოსცალა ხიდისთაური. ბითარაშვილმაც დააყირავა კათხა. ლიახვმა გამთენიის თელხი კიდევ უხვად... უხვად... ამოუშვა და განისლა სანაპირო სოფლები.

*
* *

გორის სამაზრო ერობა მაგრად ვერ გრძნობდა თავს, ამიტომ იყო, რომ მან ხელი გაუწოდა ყველას, ვინაც მისი მომხრე სჩანდა. ფართო საშუალებას აძლევდა ჯიბის გასქელებისათვის ოღონდაც მათი საქმეები გაეკეთებიათ. სოფლის ჩაგრული ფენები სამაზრო ერობაში ვერ ხედავდა თავის მოსარჩლეს. გლეხებმა მიწა ვერ მიიღეს. ეროვნული უმცირესობაც არ იყო უკეთეს პირობებში. სამაზრო ერობამ ცხინვალის ახლო სოფლებში ჩააყენა გვარდია. დაეყრდნო მიწად-მფლობელ და საერთოდ ბობოლა გლეხობას და მოქმედება დაიწყო. ფეოდალები და ბობოლები გამოვიდენ საერთო ბლოკით. გლეხებს ჩამონაჭრებიც კი ჩამოართვეს და მიიზომეს რაღაც ნორმებში. ისედაც უმიწაწყლო გლეხებს საღალოც გამოაცალეს ხელიდან. ოსებს საძოვრებში, ვინც არ გინდა უხვდებოდა და დამზადილ რძის ნაწარმზე ხელს აღებინებდენ. ჯარის საჭიროებისათვის ტაცებდენ სახორცე საქონელს და ცხენებს. გაჯიუტებულ სოფლებს მოელოდა ცეცხლითა და მახვილით აღგვა. გლეხობა ძალზე მისუსტდა, ოსებიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ. ერთ საერთო საქმეს მიჰყავდა ეს ხალხი, ერთი-მეორესთან და ერთად იბრძოდენ. ერობის გვარდიელებს ვერ აეხსნათ რაში იყო საქმე, რომ დახოცილ გაბოლშევიკებულ რაზმელებთან, მრავლად იყვენ ქართველი პირწავარდნილი გუთნის და ბაღ-ბოსტნის მუშა გლეხები. ერობა ყველას „ბანდიტებს“ არქმევდა და ყოველ სოფელში, სადაც კი რამე ამბავი მოხდებოდა გვარ-

დიელებს ჩააყენებდა. ბოლშევიკური სტიქია ვითარდებოდა, მაგრამ ორგანიზაციულად შეკავშირება გლეხებს ვერ მოეხერხებიათ.

აქა-იქ იფეთქებდა უკმაყოფილება. ეცემოდენ სოფლის მმართველ ორგანოებს. ხოცავდენ თავადებს, და ბობოლებს, მათ საქონელს კი იტაცებდენ. მაგრამ გლეხებისთვის ასეთ ბრძოლას მხოლოდ ზიანი მოქონდა. როგორც ვთქვით სამაზრო ერობა უფრო ხელდებოდა, ეგზეკუციას უგზავნიდა მათ დასამშვიდებლად. გიკაევმა იმ ცოტა ხანში დაიწყო მოქმედება. მთელი უკმაყოფილო გლეხები მასთან თავს იყრიდენ. ძალა მაინც სუსტი იყო. იარაღი არ იშოვნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიაც არ იყო საქმე კარგად. იქ რუსის გენერლები დათარეშობდენ, თოფები თუ იშოვნებოდა, ვაზნები აღარსად იყო და ამიტომაც გიკაევის პატარა რაზმელები შემოსეულ გვარდიელებს, რომლებიც ცეცხლსა და ყუმბარებს აძლევდენ ლიახვის სანაპირო სოფლებს, მხოლოდ რამდენიმე კაცის მოკვლით უმასპინძლდებოდენ. ამ სისხლიან საღამოსაც გიკაევმა და ჯინიყაშვილმა მეორე სოფლისაკენ დაიხიეს. მენშევიკების გვარდია ბითარაშვილის ხლებით ფეხ და ფეხ გამოუდგა მათ, მაგრამ ღამე მეორე სოფლის გადაწვა ვეღარ გაბედეს და ისევ უკან დაიხიეს.

*
* *

ნავახშმევს წასულ ბაქსას მეტად საფრთხილო ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი, ჯინიყაშვილის წაბლა და ქალი უნდა გამოეტაცა. ლიახვის პირას პატარა სოფელი, სადაც ისინი ბაქსას ეგულებოდა, შორს არ იყო გადამწვარ სოფლიდან. ბნელს მიდამო ყელში ხელ წაჭირებულივით ეჭირა. არსად სინათლე. ძჭვარტლივით შუა ცაზე, სადმე გაწყდებოდა ღრუბელი. ვარსკვლავები ბეუტვით ესროდა სხივს ქოხ-საბძლებს. სოფლის განაპირას ჯინიყაშვილის ბაკ-ბოსელი იდგა. ყავრით გადახურული და სიძველისაგან დათეთრებული. მუხის გრძელურით. ძეძვის წვერებიდან აიწია ღამესავით სახე. ფხიზელმა ძაღლმა დაიყეფა, გახტა და კბილი ჩაავლო ნაყარ ნამჯებში რაღაც გემრიელ ნაჭერს. დაიღრინა და გაძუნძულდა. ბოსელში ერეოლით დაიფრუტუნა ლაფშამ. შავმა ნაკვეთმა კატასავით შემოსჭრა გარეშემო საჯინიბო. გრძელური იყო პირმიდგმული და არსაიდ კარები არ ჩანდა.

— ააა. სალაგმე!... ჯინიყაშვილო!.. საიდან გამოგყავს ლაფშა უკარო ბოსლიდან!.

გაიფიქრა მოსულმა და მჭდეებს შეჰყვა. ხელით ურდული მიაგნო, გამოსწია, სხვენს და სტრაფილში გადაძვრა. კიდევ ერთი ნახტომი და ცხენთან იდგა.

— მამა ხარ... შიში ხომ არ არის...

კედლის ერთი კუთხიდან წუნწუბა გაკრა და გამოჩნდა ხუჭუჭა ქერა თმიანი ქალი. ნავთის ჭრაქმა ადამიანებს პირბადე ახადა.

— მარგალუ!..

— ბაქსა!.. აქ რა გინდა!

თითქმის ერთად და იმავე დროს შესძახეს ერთმანეთს...

— შენცა და ცხენიც ორივე ერთად უნდა მოგიტაცოთ ბაქსამ, ან ორივეს აქა ყელებს გამოგჭრით!

— სადა... წაგვიყვანთ!

— ჩემს სახლში, გუჯარეთშიდ!

— მოპარვა რაღად დაგჭირდა! ისედაც გამოგყვებოდით!

— მე ესე ვარჩიე! მამა შენი ვიცი არ დამანებებდა შენ თავს!

— მართალია! მე მოვდივარ...

მარგალუმ კარები გააღო. ლაფშას ავშრებში მოკიდა ხელი, მერე ბოსელში მიწის ხვრელით გავიდენ. აქედან ხელად ეზოში გაჩდენ და ბნელაში გაჰქრენ. სოფლის გარეთ ორი თუ სამი დღიური ანეულად დაგღებული მიწა იყო. დაიმედებულმა ბაქსამ და მარგალუმ ცხენები ერთად დააყენეს და გააქანეს. სიბნელეში ისმოდა მხოლოდ ფეხის ბრაგუნი და იხედებოდა ხვინჭკაზე გაკრული ნალის ნაჟიჟღლევი. გახარებული ბაქსა ცას ეწეოდა, რომ მარგალუს უხაროდა კიდევაც მისი გაყოლა. იმედიანად ჩამოხტა, თავის ცხენს მოსართავის შეკეთება დაუწყო. მარგალუმ დრო იხელთა და ისეთი სისწრაფით და გამეტებით გადმოჰკრა ბაქსას ძარღვის მათრახი სახეში, რომ ბაქსა იქვე დაეცა. ქალმა ლაფშა მოატრიალა და ზურგზე ახალ დაჭედილ ნალებით ორჯერ გადაატარა.. მისი ცხენიც აისადავა და გაჰქუსლა. ბაქსამ ორჯერ გაისროლა სიბნელეში რევოლვერი, მაგრამ გვიან იყო. გაქცეულ მარგალუს ცხენების ფეხის ხმაც ალარ ისმოდა მინდორში. დილას მთელს ხეობის პირს მოედო ბაქსას და მარგალუს ამბავი. ბაქსა ძლივს მოიყვანეს ბითარაშვილთან. ბუჩუკურიც მოვიდა, მაგრამ ბითარაშვილის დამშვიდება ძნელი იყო, მას კბილებში ენა ჩაეკმინა და გადმოყრილ ქაფიან წვერებზე, ნერწყვში არეული სისხლი გადმოსდიოდა. გვარდიელები გაბრაზდენ. მათრახებით ჩამოუარეს ოსებს და ცემით გომურებში ჩარეკეს. გამორეკეს ოთხფეხი საყოლიები. ბითარაშვილმა, თავის ხელით მისცა ცეცხლი თივის ძირებს და ჩალის ზვინებს.

— გააქციეთ მარგალუ?!. მოიყვანეთ მარგალუ!.. თორემ ბავშებს დაგიკუჭავთ, ღვიძლებს შეგაჭმევთ!

ყვიროდა ცოფიანი ბითარაშვილი, ხოლო იგრიალეს თოფებმა და მოჯირითე გვარდიელების რამდენიმე კაცი ძირს გადმოვარდა. ბუჩუკური გაიქცა შტაბში. გამოირკვა რომ, რამდენიმე გაბედული ბიჭი დასცემოდა შტაბს და მთლად აეკლოთ. მოეკლათ ორი გვარდიელი და ყველა ცხენები დაეტაცებიათ. საქმე ძალიან შორს მიდიოდა. ბუჩუკურმა რამდენიმე დღით მოცდა არჩია. მოიხსნა იმ სოფლიდან და გორში წამოვიდა.

* * *

ზამთარში სამაზრო ერობამ ჯარი უკანვე გაიწვია. მოსახლეობას ჭირნახული გამოელია. სახორცე საქონელიც აღარ იშოვებოდა. გლეხებს ჭარხალა ფერმა ყვითლათ გადაკრა და თვალებთან ქვედა ქუთუთოები პასკებივით დაეკიდათ. შუბლებზე გადაიჭიმა გრძელი თეთრი ნაოჭები. დაძაბუნდა კვებას ჩვეული ძარღვები. ჯინიყაშვილი ლუკმას იძრობდა კვიცისათვის. გაზაფხულზე წაბლა საუკეთესო ვაყათ დადგა. ჯინიყაშვილი მას რუზე აბანებდა. უბელრდ მოავშრულს ამოატარებდა კალოებზე. საჯინიბოში დააბამდა, დაუჭიმავდა ყურებსა და კარს გამოიხურავდა.

— ეხ ნათლია ჯინიყაშვილო, მათხოვე ვაყა ფაშატი დამიგრილოს თორე წელიწადი მომიცდება.

იხვეწებოდა მეზობელი ოსი. ჯინიყაშვილი გადახედავდა ფაშატსა. თუ არ მოეწონებოდა წარბსაც არ გაიხსნიდა.

— არა ნათლი! მაგისთვის ვაყა არ მოიცდინება. ჩემი ლაფშა მთელი ჯოგი ღირს.

ხოლო თუ ფაშატი თვალში მოუვიდოდა ჩაიღიმებდა ულვაშებში და გავაზე გადაუსვამდა ხელს.

— დაუჭი! დაუჭი! ისეთი კვიცი ჩამოუვიდეს, რომ ოსეთი სანახავად მოვიდეს! დაუჭი, დაუჭი, მოთოკე... მოთოკე... ფაშატი...

წაბლა იმ ხეობის საქებარი შეიქნა. პატრონი მას ხელში არავის ანდობდა გარდა გიკაევისა, რომელიც ჯინიყაშვილისას გადმოვიდა საცხოვრებლად. გიკაევი მოახტებოდა ცხენსა და კალოებზე ბიჭებს დაურბენდა. ჩოხებში ჩამსხდარი ოსები შემოგროვდებოდენ და ჯირითიც იმართებოდა. ივლისის ცხელი დღე, მხიარული მზიანი პირით დაყურებდა ყორნისს. ოსები ჩვეულებრივ კალოზე მოგროვდენ, ნაბ-

დის ფრიალა თეთრი ქუდებით და ვერცხლის ხანჯლებით. მეორე დღეს ცხრა მუხობა იყო.

ყმაწვილები ილესებოდენ დღეობაზე წასვლის სურვილით და ჯირითის ხოწით.

— ცხრა მუხობას ჩემი ლაფშას ნახტომს მტკავლობით გავყიდი, — იკვეხებოდა ჯინიყაშვილი. გიკაევი კი მას გულუბრყვილო თქმაზე ხარხარებდა. ჯინიყაშვილიც დაუმატებდა. ხოლო ეხლა ჯავრიანად თავის შეკავება არჩია.

— რომ შენ გიკაევი არ იყვე გაგხანჯლავდი.

ჯინიყაშვილმა ლაგამი პირში ჩაიდო, აღვირები კეფაზე მოიხვია, ჩაიჭირა მარცხენა ხელში და მარჯვენათი ხანჯლის ტარი დაიჭირა.

— ჭკუაზე შესცდი...

გიკაევი უკან გადახტა. სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მან დაინახა მარგალუჭ კალოზე მოდიოდა. ქალი დღეებში იდგა. მისი კალოზე მოსვლით ჯინიყაშვილს მეზობლებში თავი ეჭრებოდა.

მარგალუჭ. გიკაევი კი მამის შუაში დადგა.

— ძალლის ნაშობო!!.

შეჰკივლა ჯინიყაშვილმა და გაიწია.

— დადექ!!.

გიკაევი ლანდივით გადახტა და მარცხენა ძუძუსთან ხანჯალი წვერით დააჭირა. ჯინიყაშვილს განძრევა ეყოფოდა რომ ბასრი ბეჭის ფრთამდი არ გაჩერდებოდა. მაგარს და კაჟივით სალ ოსს, ძალა წაერთო და ცრემლები გადმოსცვივდა.

— ჯინიყაშვილმა ვიცოდი შრომა, ჩემი მარგალუ და ლაფშა...

გიკაევი მიხვდა, დარცხვენილმა ხანჯალი ჩააგო და უკან დაიხია. სახლში მივიდა, ჩაუფიქრდა და გაიგო, რომ ჯინიყაშვილი მართალი იყო. მას შეეძლო თავი დაედო საქმისათვის. ხოლო ოჯახის და მამაპაპის მოყოლებულ ჩვეულებას ჯინიყაშვილმა ვერაფერი მოუხერხა. წამოიჩოქა და კინალამ უბედურება მოხდა.

როდესაც გიკაევმა ხანჯალი ჩააგო ყველაფერი გათავებულად მოეჩვენა ჯინიყაშვილს.

— მაპატიე გიკაევო, ოსი ხარ, აფთარივით ბრაზიანი, თვალივით ჩქარი, ჯერ სანამ გავიმარჯვებდეთ და მერმე ჩვეულების პასუხს მოგთხოვდე.

— კარგი. მაგ საქმე გათავებული იყოს! ეხლა მივალთ თუ არა ცხრა მუხობას?

— მივალთ! მაშა!.. მივალთ! ჯინიყაშვილი რომ მოკვდება მერე აღარ წავალ ცხრა მუხობას. ისეთი ვაჭენო წაბლა, რომ მთელ მაზრას თვალები დარჩეს. — ამ სიტყვებთან ერთად მან ხანჯალი შეისწორა, გაბრუნდა და სოფელში შევიდა. კალოებზე იხდებოდა ჩარდახ გაწყობილი ურემი ცხრა მუხობას გასამგზავრებლად.

საღამოზე როდესაც ბინდი მთვარემ გადადენა, ქარავნები დაიძრენ სოფლიდან. ცხენოსნებმა დაიწინაურეს და სხვა სოფლის ბიჭებს ჩამოუარეს ერთად წასასვლელად. გამოიშალენ ნარაზე. ოსების ურმებს შემოერია მრავალი ქართული ურემი, ცხენოსნები გადმოყრილ ფაფრებით. ჩიხტებში მორთული ქალები ნებივრად იჯდენ ურმებში, ისწორებდენ კავებს. ურმები ჭალებამდე იყო სავსე. სხვადასხვა გასაყიდი საქონლით და საგზაო ხორაგით. პატარა ბიჭები მოუსვენრად გადარბოდენ გრძელ შოლტების ტყლაშუნით. ახტებოდენ ზურგზე დარბაისელ კამეჩებს. მოწინავემ სახრე უჭირა და ურმული გასძახა.

— სოსნა ლომსაძე ნათლიას გაგიმარჯოს!..

მიაძახა ჯვარედინად გადმომავალ მეურმეს ჯინიყაშვილმა.

— ჯინიყაშვილს სიცოცხლე, — მიუგო ლომსაძემ.

ერთი მეორე გადაკოცნეს.

— რასა იქ ჯინიყაშვილო, რად დაგვივიწყე, აღარსა ჩამოხვედი...

— გეშინია სენი წირიმე, ათას მამაძაღლი კაცი ხარ ქვეყანაზე. ღარიბ კაცს, რომ ტანზე ჩოხა გეცვას იმისაც გეშინოდეს. სულ უნდა სამპირი ტყავი აგაძრონ. ბუჩუკური კიდევ ისე გემტერებოდე, რომ ჩემი ხორცის შეჭმა უნდიდეს, რაც ყველ-კარაქი გავაკეთებდე სულ ბითარაშვილმა წაგართვა საძოვრების ბაჟში. ნამდვილად კი გვარდიელებისათვის აგროვებს ცხენებსა და ყველსა. ბარში ქოხიც დაგიწვა. ისე დავრჩე რომ ჯერ ნიმშილი არ მოკლავდე. მომავალი კი მოსავალია სენი წირიმე.

— რას იზამ ჯინიყაშვილო, მასეთებს ჩვენც გვიშვებიან. ჯავახეთში საყევარე ვიყიდე. ტაშის კარამდე მშვიდობით ჩამოვრეკე. იქ კი ერთი ამართვეს. არაფერი ხვეწნა არ გამივიდა. რაღათი უნდა მოვხნა თუ ეხლა ხარი არა მყავს, ალოები მომიცდება და მწიერი დავრჩები.

— კარგი გულა საუღლე მეწოვება, თუ ხორბალი იქნებოდე ოცი კოდი.

— ჩემმა მზემ ოცი კოდი მარტო ხორბალი ძნელია. ათი სიმინდი, შვიდი პური და სამი ქერი. უკეთეს ფასს ცოლ-შვილის გაძლებამ ვერავინ მოგცემს ჯინიყაშვილო.

— ქერი სიმინდათ შესცვლიდეს სოსნაი! — მიუგო ჯინიყაშვილმა და ისე შეხედა თითქოს იცოდა, რომ თანხმობის პასუხს მიიღებდა.

— იყვეს! ო... დე... იყვეს წვრილ-შვილის პატრონი ხარ დარბეული, თორე ჩემმა მზემ არა ღირს, მარჯვენას გფიცავ.

გაწმენდილი ცა იყო. ღამე ნებივრად გორაობდა ქართლის მინდორზე. მთვარე ანათებდა თაველ ნაყარ ჯეჯილს, დახაროდა და ოქროს ზღვასავით აკრიალებდა მას. შორს... შორს... კავკასიონის ქედზე დარაჯებივით იდგენ, თეთრი და ბრჭყვიალა ბროლის კრისტალებით დათოვლილი კონუსები. გაშლილ მინდორზე კი მიჭრიალებდენ ცხრა მუხობას გამგზავრებული ურმები ფარდაგებით და ბრეზენტებით გადაფარებული. ურემს წამოეწეოდა ვინმე ცხენოსანი, სალამს მისცემდა და ტორების დაოთხვით კვლავ დასცილდებოდა. მთვარე ნელა იწევდა საშუალამესკენ, მოიკლო დისკომ. ვასკვლავებმა უფრო ხშირათ დაიწყეს ციმციმი. შუალამე შეიქნა. ურმებიც დადგა. აპეურები დახსნეს, გამოუშვეს ხარ-კამეჩი. მგზავრებმა დაიძინეს. ხოლო ჯინიყაშვილი და სოსნა ლომსაძე ურმის თავზე ისხდენ. ცხვრის ხარშლამას და არაყს შეექცეოდენ.

— ესეც გაუმარჯოს ჩვენი საქმესა ჯინიყაშვილო. ისევ ჩვენ როგორმე ვიმარჯვოთ თორე ბუჩუკურ-ბითარაშვილის ოინები ბოლომდე ვერ მიგვიყვანს.

— იცოცხლე ნათლი, სენი წირიმე რა ბაჟი! რა ბაჟი! მაგათი სისხლი, როგორც ეს არაყი ისე დავლევდე ჯინიყაშვილი. ჩვენი მამა-პაპაც არ ახსოვდე ასეთი ოხრობაი ცხინვალიდან გორამდე.

— დალიე ჯინიყაშვილო დალიე... მაგათ ნახავ, რომ ამოძუებული გარბოდენ.

ჯინიყაშვილმა რქა დასცალა. მახობელას შოთი პირში მადიანად ჩაიხვია.

მწვანე ხახვის თავი ჩაახრამუნა და გუდვით ამბობდა!

— მაგათი სისხლი მაგათი!!. ისე დავლევდე ჯინიყაშვილი, რომ უკანაც არ მოვიხედავდე. ბითარაშვილი სულაც რომ გასკდებოდე, გოგოებ სულ კოჭლები და ბრუციანებიც რომ მყავდეს მაინც არ გაგატანებდე. ჩემი მარგალუჭ ისეთი სისხლიანი ბიჭი იშოვებდე, რომ ნათლი ჯან, ჯინიყაშვილის სიცოცხლემ კისერში აკოცებდე! გაგეხარდებოდენ!

შეზარხოშებული მეგობრები განაგრძობდენ ქეიფს, რომ ქალებს არ დაეშალათ. ჯინიყაშვილი თავის ურმისკენ გაემართა. სოსნამ კამეჩებს დაუყარა თივა, რომ სოფლის მხრიდან ტორები მოისმა.

ორივენი მიეფარენ. ცოტა ხნის შემდეგ მთვარიანში მათ ნათლად გაარჩიეს ბუჩუკურის გვარდიელები. მოსამკელ ყანებში მოკლეზე ბოთელავდენ ისინი. რამდენიმე ათეული იყვენ. მიუახლოვდენ. კაცი კაცს გაარჩევდა. ერთმანეთს შეელაპარაკენ.

— ამათ მოხარშულს ვიცნობ, იქაურები არიან, ჯინიყაშვილიც აქ იქნება სადმე.

ჩაილაპარაკა ფციელმა ფალავანდიშვილმა.

მასთან მთელი ნაწილი ერთად მოგროვდა და ჯინიყაშვილი გამოიკითხეს, სოსნა ლომსაძეს დოქი ისევ ხელში ეჭირა. რქა გაავსო და ფალავანდიშვილს მიაწოდა.

— დღეობაზე მივალთ დაგვლოცეთ!

ფალავანდიშვილმა რქა დასცალა, პურის ყუა მადიანად ჩაატანა. ხოლო სოსნამ დააყოლა ბოლომდის. შვილმა კი განზე დამდგარ ბუჩუკურს და ბითარაშვილს ცალკე მიუტანა ცივი ხორცი და ბოთლით არაყი. ისინი ჩუმად გლეჯდენ ხორცს და რიგრიგობით იყუდებდენ მათარით არაყსა. ფალავანდიშვილი მომაგრდა, მხრებში შესწორდა და ხმა დაბლად კითხა ლომსაძეს:

— ცოლშვილს გაფიცებ აქ ჯინიყაშვილი არსადაა.

— მაშ ის ცოლშვილი დამეხოცოს. ოსთან რა მესაქმება. ეს რამდენი ხანია, რომ არც კი შეეხვედრივარ. მართალია, ნათლიაა, მაგრამ ჯანყი კაცია და შორსაც ცხოვრობს. მთვარე არ დამიბნელდეს ვერიდები.

ლომსაძე ისეთის კილოთი ეუბნებოდა, რომ ფალავანდიშვილმა დაიჯერა. ცხენს ქუსლი ჰკრა, გაიგდო კვლავ ყანებზე და მიიმალენ.

ჯინიყაშვილი ლომსაძეს ურემ ქვეშ ჩალებში იყო განაბული და ნახა როგორ თვალსა და ხელს შუა გადაურჩა კარზე მომდგარ სიკვდილს. გვარდიელები შორს იყვენ, მისთელავდენ ფეხით ორ კვირაში გამოსაცხობად დამზადებულ ჭირნახულს.

მოულოდნელმა თავდასხმამ და სიკვდილიდან ისე იოლად გადარჩენამ იმოქმედა. არაყი წამს გამოუნელდა და გუნებაზე მოვიდენ.

— რომ დაბრუნდებოდე, აჯობებდა ძმაო, არ გაგახარებენ მაგათი ოხერი დედაცა მაგათი...

ლომსაძემ ისე ჯიგრიანად შეიგინა, რომ ჯანიყაშვილს გულწრფელობა უსაზღვროდ გადაეშალა.

— არა ნათლი! წამოვალ! ერთხელ დავიბადე! ერთხელ მოვკვდებოდე!!.

ადრე იქნება თუ გვიან ამ ქვეყნის გადასახადი უნდა გადავიხდებოდე. თუ ბითარაშვილი დედლად დამინახავდეს მასაც ის უნდო-

დეს. მივდივარ გერისოი ჯინიყაშვილი და ვნახოთ რას იზამდეს ბითარაშვილი.

— შენი ნებაა. — თავი არ წააგო და...

მოსაუბრენი ერთმანეთს დასცილდენ. ურმებ ქვეშ ჩალებზე გაწვენ და თვალები მოხუჭეს. მთვარე კი ჩავიდა. ისე დაბნელდა, როგორც გერმეტიულად დახურულ ქვაბში. ირგვლივ დაჩუმდა ყოველივე. შორს სოფლიდან მოისმოდა თითქოს საიქიოდან ძაღლების ყეფა. ველზე დაქრიალებდა ნელი ცალმხრივი და პირმიდგმული ნიავი. კიდევ გადაირბინა ცისტერნების მატარებელმა. ორთქლმავალმა დაიკივლა. შემოურბინა მინდვრებს და სადღაც მთებში ჩაიხერგა. უცებ ტოროლა ადგა. ატრიალდა, აყივლდა უსაზღვრო სივრცეში. მას ხმა მისცა შორი სოფლებიდან მამლების გამოძახილმა და გაჩნდა ცისკარი.

მეხრეები წამოიშალენ. ხარებს საკვები დაუყარეს. ურმები შეათვალიერეს. ცოტა ხანიც და ქარავანიც აიძრა. ცხრა მუხა ახლო იყო, გათენებამდე მივიდოდენ.

— ცხრა მუხა ნაღდია ჯიბისთვის, — ამბობდა ბუჩუკური და ცხენს მათრახს უჭერდა.

— ცხრა მუხაც რომ ჩემ ხელში გადმოვიდოდეს საქმეს ისე დავაყენებ, რომ ორას ცხენს ყოველ წელს ქალაქში ჩამოგირეკთ! ბითარაშვილი მოგიკვდეთ თუ ვერ ავასრულო.

— იყოს ეგეც, ვნახოთ რას იზამ ბითარაშვილო!

ბუჩუკურმა გახედა ფართო მოედნის პირზე კარავივით გადაფარებულ მრავალ უბანს.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

თ ე ა თ რ ე ბ ი*)

დრამა 3 აქტად.

მოქმედი პირნი:

1. **ინწკირველი** — მტვირთავი.
2. **ოწინარის მემანქანე.**
3. **მისტერ ხოდლეი** — ამერიკელი კომერსანტი.
4. **მისს ანტონია (ტონი)** — მისტერ ხოდლეის ქალი.
5. **ნავთსადგურის ზედამხედველი** — პოლუჩიკი, გენერალ დათიევის ადიუტანტი.
6. **სავაჭრო გემის ბოცმანი.**
7. **1-ლი მუშა.**
8. **მე-2 მუშა.**
9. **მე-3 მუშა.**
10. **ახალგაზდა მუშა** — თოლიგაური.
11. **მოხუცი მუშა.**
12. **მენავე სულია.**
14. **მე-2 ბიჭი** } მეპაპიროსენი.
13. **1-ლი ბიჭი** }
15. **ივანე ტორიკაშვილი** — მუშა.
16. **დათიევი** — გენერალი.
17. **ჯიმმი** — ზანგი, მისს ანტონიას მხლებელი.
18. **ჯეკ** — ინგლისელი ოფიცერი.

---

*) ეს პიესა დასდგა ქუთაის-ბათომის აკადემიურმა დრამამ, რომელსაც ხელმძღვანელობს კოტე მარჯანიშვილი, 1929 წელს, დეკემბრის 12-ს ქ. ქუთაისში და 1929 წლის დეკემბრის 31-ს ქ. ბათომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. **ნავთსადგურის მოხელე.**
20. **გემის კაპიტანი.**
21. **შტურმანი.**
22. **სამხედრო გემის ბოცმანი.**
23. **1-ლი მეზღვაური.**
24. **მე-2 მეზღვაური.**
25. **მე-3 მეზღვაური.**
26. **მე-4 მეზღვაური.**
27. **შჩერბაცკი** — პოლკოვნიკი.
28. **ლორდ უინდერმირ** — ინგლისის საოკუპაციო არმიის სარდალი.
29. **დედაკაცის ხმა.**
30. **მომაკვდავი ოფიცერი.**
31. **ექიმი.**
32. **ბებერი გენერალი.**
33. **მარიეტა** — მისი ქალი.
34. **1-ლი პროსტიტუტი.**
35. **მე-2 პროსტიტუტი.**
36. **შიკრიკი.**
37. **კომისსიონერი.**

მენავეები, ნავთსადგურის მცველი ფერადი ჯარები, მუშები, მეზღვაურები, დაჭრილები, მოწყალების დები, სანიტარები, ინვალიდები, მასსა.

პირველი აქტი

ნავთსადგური. უცხოეთის სამხედრო და სავაჭრო გემები. ზამთრის მზიანი დღეა. საღამო. ტვირთის ასაწევი ოწინარები. სატრანზიტო შეკვრები. აეროპლანის უზარმაზარი ყუთები. ელევატორი ნახშირს ტვირთავს გემში. ნავთის რეზერვუარები. მტვირთავები გემზე ეზიდებიან: ბამბას, ჩაის, ბზას, სიმინდის ტომრებს, თხილს. შეკვრები და ყუთები ინგლისურ წარწერებით. ნავთსადგურში მცველებად ფერადი ჯარები დგანან. მუშების ნაწილი მზის ყურეში ზის და ისვენებენ. შაბაში აქვთ, საუზმობენ. ძირს ტინობის ზღუდის ქვემოდ ზღვა სცემს ნაპირს. ზღვის პირას არ სჩანს, ზღუდეა ჩამოფარებული, მენავე სულია მღერის ლაზურ ნაღვლიან სიმღერას, რომელიც მოთქმას უფრო ჰგავს. სვეტზე ავტომატიური ტელეფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა პირველი.

1-ლი მტვირთავი:

(გემზე დგას ტრიუმთან და ოწინარით აწეულ ტვირთს გეზს აძლევს) ვირაა!..

ოწინარის მემანქანე:

ჰოო-ჰო!

1-ლი მტვირთავი:

ვირაა!.. ჰოო-ჰო... მაინაა!.. (ეს შეძახება ლეიტმოტივად გადის მთელ აქტში).

გამოსვლა მეოთხე.

კომერსანტი:

რიდის მოვა ნავთსადგურის უფროსი? სად არის ამდენხანს?

ნავთსადგ. მოხელე:

შუქურაზე გახლავთ წასული, ალბათ, მალე გიახლებათ.

კომერსანტი:

უცნაური ხალხია ეს აზიელები, ვერაფრით ააჩქარებ. მე ასე მეჩქარება ხეების გაგზავნა და ის კი შუქურაზე წასულა.

მისს ანტონია:

მამა, დამშვიდდი! ნუ ღელავ... შეწუხდები.

კომერსანტი:

რა დამამშვიდებს, ჩემო საყვარელო ტონი, როცა ამ დამშეულ ქვეყანაში უნდათ მეც გამალატაკონ.

მისს ანტონია:

კმარა, მამა!.. აბა მაჯა მაჩვენე!.. (მაჯას უშინჯავს) არა უშავს რა.

კომერსანტი:

მადლობ, ჩემო საყვარელო ქალო! მადლობ; შენ, რომ არ მყავდე, არ ვიცი ვინ იქნებოდა ჩემი ნუგეში. (შუბლში ჰკოცნის) რომ წარმოვიდგენ, თუ რა ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ამ ველურებმა, გული მისკდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისს ანტონია:

დაწყნარდი, მამა! ისინი ხომ დასაჯეს!..

კომერსანტი:

ღმერთო, რა ავაზაკობაა, რა ავაზაკობა. მთელი სამხედრო მატარებელი ააფეთქეს. სახელმწიფო ღალატი!.. სახელმწიფო ღალატი!.. დახვრეტა!.. დახვრეტა!.. ცოტაა!.. (მისს ანტონია თავს ცუდათ გრძნობს).

კომერსანტი:

უკაცრავად, შვილო, ბოდიშს ვიხდი, როგორა ხარ ა, ცუდათ ხარ?..

მისს ანტონია:

არა, მამა, მაგრამ მე მეშინია. როცა შენ ჯავრობ, შენ გამძვინვარებულ ლომს ემსგავსები. ხომ, ჯეკ? ხომ ჰგავს მამა ფაფარ აყრილ ლომს?

ჯეკ:

Ay! Ay! (აი! აი!)

მისს ანტონია:

ახ, ღმერთო, რა უნუგეშო იდიოტი ხართ თქვენ, მისტერ ჯეკ! გესმისთ, მე თქვენი ცოლი არ ვიქნები, გაიგეთ რომ არასოდეს არ ვიქნები. ახ, მამა! მამა!..

კომერსანტი:

არაფერია, შვილო, არაფერი. რა, ვქნა, შვილო, მაშ რა ვქნა? როცა ბოლმა მომაწვება, ასე ვიცი. ყველაფერი მავიწყდება და ასე მგონია, ლომს შევეტაკები მეთქი, ხე-ხე!..

ნავთსადგ. მოხელე:

ტელეფონით დაურეკეთ, მისტერ!

მისს ანტონია:

მართლა, მამა, დაურეკე.

კომერსანტი:

ნომერი?.. ნომერი?..

ნავთსადგ. მოხელე:

10 — 50!..

კომერსანტი: (მიდის ტელეფონთან).

ცენტრალური?.. ახ, ღმერთო ჩემო, ცენტრალური, ალლო ცენ-ტრალური!.. ცენტრალური სადგურია? მეტად სასიამოვნოა, გოგონავ, მეტად სასიამოვნო. თქვენ ისეთი კარგი ხმა გაქვთ!.. მომეცით, თუ შეიძლებოდეს, 10 — 50!.. კეთილი!.. კეთილი!.. ვინ არის? ვინ მელაპარაკება? თქვენ ხართ? ნავთსადგურის უფროსი? როდის მოხვალთ ნავთსადგურში, ტვირთი მაქვს ჩიკაგოში გადასაგზავნი, ერთი გემი ნიგვზის ხეები, თითქმის სულ დატვირთულია, ცოტაოდენი ნოხებიც არის, ჩაიც! კონოსამენტი არ მიმიღია. ეჰა, კეთილი, კეთილი!.. მაშ კაფეში მოგელით!.. დიახ!.. კაფე დე-პარი!.. (ტელეფონის ტარს ჰკიდებს. აქეთ იქით დარბის) ახ, ღმერთო ჩემო, ახ, ღმერთო ჩემო, მე ასე მეჩქარება და ისინი...

მისს ანტონია:

კმარა, მამა!.. დამშვიდდი!..

კომერსანტი:

არ შემიძლია, ჩემო საყვარელო ტონი, არ შემიძლია. დანა პირს არ მიღებს, ისე ვარ შეწუხებული!.. ახლა ეს ნიგვზის ხეები, მერე ის მსხვერპლი!.. როგორ გაბედეს, ა, როგორ გაბედეს, მთელი ეშელონი ააფეთქეს!..

გამოსვლა მესამე.

(უეცრად შემოსულ კომისიონერს მოჰკრავს თვალს, შეჩერდება) თქვენ რა გნებავთ, ა? რა გნებავთ თქვენ, ჰა?.. ჰა...

კომისსიონერი:

მისტერ ხოდლეი, ანგარიშს როდის გავასწორებთ?

კომერსანტი:

ახ, ღმერთო ჩემო, მე ასე მეჩქარება, მე დანა პირს არ მიღებს და ეს კი საშველს არ მაძლევს... თქვენ?.. თქვენ?.. იცით?.. დასახვრეტი ხართ, ყველა, ყველა!.. როგორ ბედავთ თქვენ, როგორ ბედავთ? თქვენ სამხედრო მატარებელს გვიფეთქებთ, მეზღვაურებს აჯანყებთ, ჩვენ თქვენთვის ვზრუნავთ და თქვენ ყელში დანას გვაჭერთ.

მისს ანტონია:

დამშვიდდი, მამა, დაწყნარდი.

კომერსანტი:

მე თქვენ მედუქნე ხომ არ გგონივართ, რომ მთელი დღე გევაჭროთ? ჩვენ აქ მოგვაქვს კულტურა, განათლება, კაპიტალი, ჩვენი საუკეთესო შვილები სისხლს ღვრიან თქვენი გადაგვარებული ქვეყნისათვის, გიცავთ იმ წითელ ბარბაროსებისაგან და თქვენ? სად არის კეთილშობილება, სად არის? თქვენ გროშებზე გვევაჭრებით!.. მატარებლებს გვიფეთქებთ, ხიდებს აქცევთ და საშუალებას არ გვაძლევთ მშვიდობიანი მუშაობისას, რომ განათლება მოგცეთ, კულტურა, ახ, რა უმადურობაა, რა უმადურობა, რა უმადურობა!.. (დარბის).

მისს ანტონია:

ჯიმმი მომეცი საკი! (საკიდან რაღაც აბებს იღებს და მამას პირში უდებს) შესჭამე, მამა!..

კომერსანტი: (სჭამს)

მადლობ, ჩემო ნუგეშო!..

კომისსიონერი:

მისტერ ხოდლეი, როცა საქონელი გემში გაქვთ ჩატვირთული, არ არის რიგიანი ასე ვაჭრობა!.. მე ამას თქვენი ღირსება მალაპარაკებს მხოლოდ.

კომერსანტი:

როგორ?.. როგორ?.. როგორ მიბედავთ მე თქვენ მაგეთ ლაპარაკს? მე ჯენტლმენი ვარ, ამერიკელი, არ დაივიწყოთ! წამო, ჩემო ქალო, წამო!.. მე მეტი არ შემიძლია, ჩემო ნუგეშის მცემელო, მე ავათ ვარ, უუხ, როგორი ავათ ვარ, რომ იცოდე, ჩემო ძვირფასო ტონი, უუხ!.. (მისს ანტონია მამას აშოშმინებს) ტონი, ჩემო ტონი, მე ახლავე, ტონი!.. გემზე წავალ, ხეებს დავხედავ და ახლავე, ჩემო ძვირფასო შვილო!.. (მიდის, თან კომისსიონერი მიჰყვება).

გამოსვლა მეოთხე

1-ლი მტვირთავი:

ვირაა!..

ოწინარის მემანქანე:

ჰოო-ჰო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეხუთე.

ბოცმანი: (შემოდის).

ჩქარა, ჩქარა, თქვე ყუბაქებო! ხომ ხედავთ საცაა დაღამდება. შენ, ეი, რას მიბარბაცებ მანდ მთვრალივით. თუ არ შეგიძლია, ვინ გეხვეწება რომ ებრძვი მაგ ტომრებს. გაადგე ტომარი!.. მისტერ ხოლდეის ეჩქარება და ეს კი... შენ რაღაც საეჭვოდ მეჩვენები!.. შენი გვარი?..

მტვირთავი:

ინწკირველი.

ბოცმანი:

როგორ?

მტვირთავი:

ინწკირველი.

ბოცმანი:

დასწყევლა ღმერთმა ამათი ძირი და ჯილაგი, რა უცნაური გვარები აქვთ. დღეს სალამოთი ანგარიში გაასწორე და მოგვშორდი. ჩვენ აქ დავრდომილთა თავშესაფარი კი არა გვაქვს!.. ამას გარდა, შენ რაღაც საეჭვოდ დაძვრები მუშებში.

მტვირთავი:

ბატონო!..

ბოცმანი:

ხმა, კრინტი!.. ბევრი ლაპარაკი მეზარება!.. (გადის)

გამოსვლა მეექვსე

1-ლი მტვირთავი:

ეირაა!..

ოწინარის მემანქანე:

ჰოო-ჰო!..

1-ლი მემანქანე:

პომალაა!.. მაინაა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი მუშა:

სული შეაწუხა, სწორედ ამ ბიჭმა!

მოხუცი მუშა:

რას იზამ, შვილო, როცა დარდი შემოგაწვება, სიმღერაში უნდა გააქარვო. მე შენ გითხრა ცხოვრება გვაქვს კაცური.

1-ლი მუშა:

ჯორები უფრო კარგა ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენ!

მე-2 მუშა:

შე აბდალო, მაგი ვერ გეიგე ამდენხანს?.. ჯორები, დიდი-დიდი, ასი ათასი ყავდენ და ჩვენ მილიონები ვართ. ეგ რომ არ იყოს, ჩვენ და ჯორები ვინ გაგვასწორა?..

მე-3 მუშა:

ეგენი, შვილოსან, ინგლისური ჯორები არიან და ჩვენ კი... ეჰეი დედასა!.. სანამ უნდა ვიყოთ ამ ყოფაში! გუშინწინ რაღაც ორიოდე გროში მივიღე და დღეს გახვრეტილი კაპეიკი არა მაქვს.

მოხუცი მუშა:

სიბერემდე, ბიძია, სიბერემდე!

1-ლი მუშა:

შენ პირს შაქარი! კარგი ნუგეში კია!..

მე-3 მუშა:

ეჰეი დედასა!..

მოხუცი მუშა:

სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო, არ გაგიგონია? ასე მჭირს. მოვხუცდი ეს ამოდენა კაცი და უარესობა თუა, თორემ კარგი არაფერი.

1-ლი მუშა:

იმაზე მეტი სიქაჩლე რა იქნება, კუდის რიკამდე გვაქვს ტყავი გამძვრალი.

მოხუცი მუშა:

ასეა, ბიძია... ასე!.. რაც ძველებს უთქვამთ, ყველაფერი მართალია.

1-ლი მუშა:

ვერა, ბიძია, ვერ დაგიჯერებ. რაც იმათ უთქვამთ, ის მაშინ იყო მართალი, ახლა არაა მართალი.

მე-3 მუშა:

ჩვენცა გვაქვს ჩვენი სიმართლე, ეგ გასატიელებელი ეგა, განა ჩვენ არა გვაქს ჩვენი მუშური სიმართლე?

ახალგაზდა მუშა:

რა ნაღვლიანად მღერის ეგ ოჯახქორი! ალბათ, მართლა დარდი თუ შემოაწვა!..

მოხუცი მუშა:

მამა დაპატიმრებული ყავს. ჩვენ ბიჭებთან ერთად დაიჭირეს მატარებლის აფეთქების გამო.

მუშები:

მერე?

მოხუცი მუშა:

ხო და ასლან ბაკურაძის შვილია, ჩვენთან რომ აჭარელი იყო, იმისი. მენავეთ არის. საწყალმა არ იცის, ალბათ, და იმიტომ მღერის.

მუშები:

ო ო!..

ახალგაზდა მუშა:

(წამოდგება და ნაპირს გადაადგება) ჰეი, ძამიავ, რას აკეთებ მანდა? (სიმღერა წყდება).

მენავე სულიას ხმა:

ხომ ხედავ, ჭოუ!.. ნავს ვრეცხავ!.. ლიბანაში ვიყავი, ფორთოხალი ჩამევიტანე. დეიჭი, ჭოუ, არ გაგივარდეს (ესვრის ფორთხოლებს) ა კიდო, ჭოუ! (კიდევ ესვრის რამდენიმე ცალს).

ახალგაზდა მუშა:

მადლობ, ძამიავ, მადლობ!.. ძაან სიმღერა კი გცოდნია.

მენავე სულიას ხმა:

რას იზამ, ჭოუ, ერთმა ლაზმა მასწავლა.

ახალგაზდა მუშა:

იმღერე, ძამიავ, იმღერე, სანამ გემღერება. (ბრუნდება).

1-ლი მუშა:

(კონსერვს ხსნის) რა უბედური გასახსნელია, ეს ოხერი!.. (გახსნა) აჰა!.. აბა, ბიჭებო, მოდით კონსერვზე დამეპატიჟეთ. (ყველა სჭამს, ახალგაზდა მუშა მორიდებით არის).

მოხუცი მუშა:

მოდი, ბიჭო საჭმელი ჭამე. რა ფეხზე დამდგარხარ, არ შეგერგება. (ახალგაზდა მუშა ჯდება) ბიჭოს, ეს კაი ფორთოხლები გიშოვია, საჭმლის შემდეგ კარგი იქნება.

1-ლი მუშა:

მოდი, ბიჭო, ჭამე, რას მერიდები?!

ახალგაზდა მუშა:

ხედავთ, როგორ ტყვიის ფერი დაეკრა ზღვას?!

1-ლი მუშა:

ვხედავ, მაგას ის ჯობია საჭმელი ჭამო...

მოხუცი მუშა:

რანაირი ხარ შენ, ბიძია, პირველად ხომ არ ხედავ ზღვას?

მე-3 მუშა:

ბიჭო, სანამ უნდა იყო შენ ეგეთი, ეგ გასატიალებელი ეგა, ჰა?

ახალგაზდა მუშა:

როგორი?

მე-3 მუშა:

სულ ოცნებაში ხარ.

1-ლი მუშა:

მაგი სულ ოცნებობს!

მოხუცი მუშა:

საჭმელი ჭამეთ, ბიჭებო საჭმელი, თორემ, საცაა შაბაშიც გათავდება და მშიერი დარჩებით. მშიერ კუჭზე მუშაობა არ ვარგა. წელში ნაადრევად მოგწყვეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი მუშა:

არ ვარგა, თორემ, მე შენ გითხრა, ნაირნაირი გაქვს მორთმეული.

მე-3 მუშა:

სხვასა, შვილოსან, ესეც ენატრება.

ახალგაზდა მუშა:

რა ამბავია, ეს აეროპლანები რომ აწრიალდენ?

მე-3 მუშა:

ეს იმ მატარებლის აფეთქებამ გაუხეთქა გული და იმიტომ.

ახალგაზდა მუშა:

რა უნდათ ნეტავი, რომ არ ეტევიან თავის კანში. სანამ არ გაგვ-ეუჟავენ, მანამ არ ჩამოეხსნებიან ეგ სულძაღლები.

მე-3 მუშა:

ვინა, ბიჭო?

ახალგაზდა მუშა:

ვინა და აი ის, რევოლიუციონერები! (მუშები ერთი მეორეს მნიშვნე-ლოვანად გადახედავენ).

მე-3 მუშა:

შენ ეი, ჭკუით იყავი, თორემ!..

ახალგაზდა მუშა:

მე ჭკუითა ვარ და შენი კი არ ვიცი...

მე-2 მუშა:

გაანებეთ, ბიჭებო, მაგას თავი! ახალი ამბავი გაიგეთ?

მუშები:

არა, რა იყო?

მე-2 მუშა:

დენიკინისთვის ღდინი გოუცლიენ ბოლშევიკებს.

ახალგაზდა მუშა:

აა?!

მე-2 მუშა:

დღეს დილაზე მითხრეს. ახლა, აქ რომ გენერალი დათმევია, ის მიდის დასახმარებლად. ჯარს ადგენს თურმე.

მე-3 მუშა:

მოვკლათ!..

მოხუცი მუშა:

ნუ ხარ, შენ ბიჭო, ეგეთი ფიცხი, თორემ თავს წააგებ.

მე-3 მუშა:

მოვკლათ!

ახალგაზდა მუშა:

მე მეშინია!..

მე-3 მუშა:

შენც?..

ახალგაზდა მუშა:

მე? რა?..

მე-3 მუშა:

შენც მოგკლავენ.

ახალგაზდა მუშა:

მე! რატომ?

მე-3 მუშა:

იმიტომ რომ, შენ რაღაც საეჭვოდ გეშინია!..

მოხუცი მუშა:

დაანებე, ბიჭო, თავი, კარგი!..

1-ლი მუშა:

ფრთხილად, ბიჭებო, ვიღაც მოდის (ყველანი სჩუმენ, თითქოს არაფერი ყოფილიყოს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეშვიდე.

(მისს ანტონია, თან ზედამხედველი ახლავს).

მისს ანტონია:

სად არის, ნეტავ, ამდენხანს მამა?

ნავთსადგ. ზედამხედვ.

ალბათ, საქმემ თუ დააყოვნა!.. (მუშებს ჩაუვლიან, მუშები დგებიან და ესალმებიან).

მისს ანტონია:

ეს აქაური მუშებია, არა, ბატონო პორუჩიკო?

ნავთსადგ. ზედამხედვ.

დიახ, მისს, მუშები გახლავთ.

მისს ანტონია:

ღმერთო, რა ლამაზები არიან ეს ქართველები!.. ჩინეთში ასეთ მუშებს ვერსად ნახავ, რამდენი გრაცია, ბოხდენილობა... (ახალგაზდა მუშას) თქვენ?.. თქვენ რა გვარი ხართ?

ახალგაზდა მუშა:

თოლიგაური გახლავარ, ბატონო!

მისს ანტონია:

როგორ?

ახალგაზდა მუშა:

თოლიგაური, ბატონო!..

მისს ანტონია:

ახ, თოლიგაური! თქვენ მუშა ხართ? თქვენ ისე სათუთი ხართ, თქვენ ისეთი ნაღვლიანი, მეოცნებე თვალები გაქვთ! თქვენ შავგვრემანი ხართ. ახ, რა საინტერესოა! რა საინტერესოა! დღეს, მუშაობას, რომ გაათავებთ, ჩემთან მოდით. ამერიკული კომიტეტი იცით? იქ მოდით. მე მინდა თქვენ მოგელაპარაკოთ!..

ახალგაზდა მუშა:

გიახლებით, ბატონო:

მისს ანტონია:

ჯიმმი, რომ მოვიდეს სააბაზანოში წაიყვანეთ, დაჰბანეთ და ისე შემოუშვით ჩემს ოთახში. მრეცხავ ფანის უთხარით, ახალი თეთრეული ჩააცვას... არ დაგავიწყდეს, ჯიმმი!..

ჯიმმი:

(თავს უკრავს და რაღაცას როყინობს).

ზედამხედველი:

დაეხსენით, მისს, ის მუშაა, მდაბიო, ის ვერ დააფასებს თქვენ ყურადღებას.

მისს ანტონია:

პორუჩიკო, ციც!.. თქვენ ჩემ საქმეში ერევით!.. როგორ ბედავთ?.. მე ამერიკელი ქალი ვარ და ამას ვერავინ გამიბედავს.

ზედამხედველი:

მომიტევეთ, მისს!.. (ჯეკი მივა აფხორილი და ემუქრება რაღაც ინგლისურ შორისდებულებით).

ჯეკ:

How dare you!.. (პაუზა) M-r Peel!.. (ჰაუ დარ იუ! მისტერ პილ!).

მისს ანტონია:

უზრდელი!.. მაშ ასე, მოდით ჩემთან, მე გელით საღამოს 10 საათიდან... ნახვამდის... (მიდის).

მე-2 მუშა:

ერთი ამას უყურე, რა იღბალი ქონია, ჰა?.. ბიჭო, მოდი მე წავალ შენ მაგიერად... შენ ისე მორცხვი ხარ, რომ ვერაფერს მოახერხებ.

მე-3 მუშა:

არ წახვიდე... განა თავმოყვარეობა არა გაქვს... არ გაიგონე, რა უთხრა ზანგს? ტანი დაბანე და ისე შემოუშვიო.

მე-2 მუშა:

ერთი, შენც მოგცლია რაღა!.. რა უჭირს მერე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეოთხე.

ზედამხედველი:

(შემოდის) რას ჩურჩულობთ თქვენ მანდ, ჰა?

1-ლი მუშა:

რას უნდა ვჩურჩულობდეთ?.. ჭამის ნებაც არ უნდა გვქონდეს?

ზედამხედველი:

ვიცი, ვიცი! შენ თავს ნუ იგდებ, თორემ, ხომ იცი, ბევრს კი არ გალაპარაკებ, საველე სასამართლო და — ჰაიდაა!..

ახალგაზდა მუშა:

თუ სამართალი არ არის ქვეყანაზე, მაშინ სხვა საქმეა...

ზედამხედველი:

სამართალი? მე შენ გაჩვენებ სამართალს!.. მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა კეთილშობილ უცხოელ ქალებთან არშიყობა. მე, სამეფო სამსახურის ოფიცერი, მე, პორუჩიკი, კეთილშობილი მხედარი ქალს ვახლავარ და ეგ კი არშიყობას უბედავს.

ახალგაზდა მუშა:

მე რა შუაში ვარ, ბატონო ზედამხედველო.

ზედამხედველი:

ხმა, კრინტი!.. მაშ მე ვარ შუაში!?.. მაშ მე ავაფეთქე არა სამხედრო მატარებელი?.. მთელი ეშელონი შეჩერებულ იქმნა. ეს სახელმწიფო ღალატია. მოიცათ, მოიცათ, ყველას კედელთან დაგაყენებთ ტყვიის ქვეშ, ჯერ სადა ხართ, მოიცადეთ!.. ვნახოთ ვინ წააგებს მაგ გრძელი ენით!.. (გადის).

მე-3 მუშა:

მართლაც ალარ არის სამართალი.

მოხუცი მუშა:

წყნარად, ბიჭებო, წყნარად, თავს ტყუილ-უბრალოდ ნუ წააგებთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეცხრე.

(შემორბის ორი პატარა ბიჭი პაპიროსის ყუთებით).

1-ლი ბიჭი:

პაპიროსი!.. პაპიროსი!..

მე-2 ბიჭი:

პაპიროსი პიატი ნომერი!.. სიმპატია, სალიდნი, ექსტრა!..

ახალგაზდა მუშა:

მოდი, ბიჭო, რა ღირს თუთუნი?

1-ლი ბიჭი:

ათას ხუთასი მანეთი.

ახალგაზდა მუშა:

ძვირია, ბიჭო, ათასი მოგცე.

1-ლი ბიჭი:

ათას ორასი მემეცი.

ახალგაზდა მუშა:

რომ გითხარი, ასე.

მე-3 მუშა:

მეტი რა გინდა, ბიჭო, მაგ ჩენჩოში?

1-ლი ბიჭი:

რაა ჩენჩო? ეს ჩენჩოა?

მე-2 ბიჭი:

მე მოგცემ ბიძია, ა, შეხედე, რა ქარვასავით თუთუნია, ნამდვილი ტრაპიზონია, ახლა ჩამეიტანეს მენავეებმა.

1-ლი ბიჭი:

წეიღე, ბიძია, წეიღე!.. მე არ გაგირიგდი პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 ბიჭი:

იქით გეიწი თორემ, ასე უნდა არა ამხანაგობა? (ბიჭებს ჩხუბი მოუვათ. მუშები იცინიან და აშველებენ. ახალგ. მუშა პირველისაგან ყიდულობს თუთუნს).

გამოსვლა მეათე.

ახალგაზდა მუშა:

აბა, ბიჭებო, მოსწიეთ! (ყველა სიამოვნებით ახვევს თუთუნს. შემოდის მტვირთავი).

მტვირთავი:

გამარჯობა, ძამიებო!..

მუშები:

ჰაი, გაგიმარჯოს!

მოხუცი მუშა:

მოდი, დაჯექი!

მტვირთავი:

მადლობ! (ჯდება) გიჭირთ, არა, ძამიებო?

მოხუცი მუშა:

რას იზამ, ძმაო, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო, ხომ გაგიგონია?

მუშები:

ხა-ხა-ხა!

მე-2 მუშა:

გადაყრუვდი, ყაძახო და კიდევ დედოფალთან მიგიწევს გული?

მოხუცი მუშა:

მა რა, თქვენსავით ხომ არა ვარ, ყმაწვილობაშივე დაბერებული.

1-ლი მუშა:

ყოჩაღ, ბებერო, ყოჩაღ!..

მე-3 მუშა:

ერთი ამ ბებერს დამიხედე, როგორია, ჰა! მე ვიცი შენ ამ სალამოს ამის მაგიერ (ახალგაზდა მუშას მხარზე ხელს დაჰკრავს) იმ ამერიკელ ქალს შენ ესტუმრები!..

მოხუცი მუშა:

ბებერი შენ თვითონ ხარ!.. რატომაც არ წავალ?

მუშები:

ხა! ხა-ხა!

მოხუცი მუშა:

რატომ სამუშაოზე არა ხარ?

მტვირთავი:

ბოცმანმა დამითხოვა.

მუშები:

ო ო!..

მტვირთავი:

საეჭვო კაცი ხარო, რუსეთში ნამყოფიო.

მე-3 მუშა:

ერთი შენ ეს მითხარი, იქ როგორ არის რუსეთში?

მტვირთავი:

იქ ომია, ძამიავ, სამოქალაქო ომი თავისუფლებისთვის და ეს წუნკლები საშველს არ აძლევენ, რომ წყნარად და გულდაგულ იმუშაონ.

ახალგაზდა მუშა:

(შეშინებული) ჩუ!.. ჩუ!.. ნუ ლაპარაკობ, ძამია, ნუ ლაპარაკობ (დამფრთხალ თვალებს აქეთ იქით აცეცებს. მუშები ერთი მეორეს გაკვირვებული თვალებით გადახედავენ).

მე-3 მუშა:

შენ თვითონ გაჩერდი, შე ჩემის ტუზიანო, თორემ ერთი თუ წამოგიტიალე, მგონი ი ზღვის ღორებს ვახშმადაც არ ეყო! ერთი ამას დამიხედეთ და!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი მუშა:

თქვი, ძამიავ, თქვი, მერე!

ახალგაზდა მუშა:

რა გინდა შენ, ძამიავ, ჩამოგვეხსენი. რათ გინდა რომ შენ სიტყვებით მოვტყუვდეთ და დაგვხვრიტონ! განა მშიერს ოდესმე გაუმარჯვია?..

მტვირთავი:

გაიმარჯვებს.

1-ლი მუშა:

უნდა გადაწყდეს ერთხელ და საბოლოოდ.

მე-3 მუშა:

ეგრე ცხოვრება არ შეიძლება.

მოხუცი მუშა:

სხვა გამოსავალი არ არის.

ახალვაზდა მუშა:

რომ იყოს სხვა გზა?

მტვირთავი:

(გესლით) რომელი?

მე-3 მუშა:

ღალატი, არა?

მოხუცი მუშა:

დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, — ბოდავს.

1-ლი მუშა:

ეგ სულ ოცნებობს.

ახალგაზდა მუშა:

ჩვენ არ შეგვიძლია მათი გამკლავება, ჩვენ სუსტნი ვართ.

მტვირთავი:

ვინ გითხრათ, რომ სუსტნი ხართ? განა შენ სუსტი ხარ? ან შენ? ან შენ? (მეორე მუშას, რომელიც ჩუმად არის დაფიქრებული) თუ შენ ხარ სუსტი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 მუშა:

(გამოერკვევა. დაბნეული) მე? არ ვიცი...

მტვირთავი:

უნდა იცოდე.

მე-2 მუშა:

მე არაფერი მესმის!.. ნუ თუ ჩვენც?

მტვირთავი:

თქვენც, დიახ, თქვენც უნდა იბრძოლოთ.

მე-2 მუშა:

იქ ხომ იბრძვიან?

მტვირთავი:

სირცხვილი შენ!.. მთელი ქვეყანა უნდა აღდგეს.

ახალგაზდა მუშა:

იმათ იარაღი აქვთ.

მტვირთავი:

იმათ თქვენი ხელით ჩამოსხმული ზარბაზნები აქვთ.

ახალგაზდა მუშა:

იმათ ინჟინერები ყავთ.

მე-2 მუშა:

მეცნიერები.

ახალგაზდა მუშა:

ძალაც იმათ ხელშია, ისინი განათლებული არიან...

მე-2 მუშა:

მანქანებიც იმათია.

ახალგაზდა მუშა:

ტანკებიც იმათია, დრედნოუტებიც.

მე-3 მუშა:

წავართვათ!

მტვირთავი:

სულელებო, ისინი თვითონ ხომ არ ჰმართავენ ამ იარაღებს. წაართვით იმათ ზარბაზნები და ისინი შინაურ საქონელივით მოთვინიერდებიან. ხედავთ, გემი რომ მოდის? იმათ ცხვირი დაანაყეს იქ წითლებმა და ახლა აქ მორბიან. მორბიან ფრთა დალეწილი თეთრი არწივები ახალ ზარბაზნებისათვის.

ახალგაზდა მუშა:

უცხოელები?

მტვირთავი:

ოდესა აღებულია. მთელი სევასტოპოლის ესკადრა აჯანყდა. უცხოელთა უდიდესმა გემებმა: „ფრანსმა", „ჟან ბარტმა", „ვერნიომ" და „ჟუსტისმა" წითელი დროშები ააფრიალეს. მეზღვაურები მუშებთან ერთად დემონსტრაციებს ახდენენ ქალაქში. გუშინწინდელმა მატარებლის აფეთქებამ მათ გულის ფრიალი აუტეხა და აი ახლა ისინი დამფრთხალნი და ზარდაცემულნი აქეთ მორბიან. გენერალი დათიევი, ჩვენი თანამემამულე დათიაშვილი, ახლა მოხალისეთა რაზმს ადგენს აქ მათ დასახმარებლად და მუშათა რევოლიუციის ჩასაქრობად.

1-ლი მუშა:

ოჰ, მაგისი!..

მე-3 მუშა:

გავგუდოთ!..

მტვირთავი:

ყოველ ღამე ხვრეტენ თქვენ ძმებს, თქვენ ამხანაგებს. გუშინ რომ თქვენ გვერდით მუშაობდა, ის ამხანაგი დღეს ცოცხალი არ არის. იგივე მოელის ყოველ თქვენთაგანს!..

ახალგაზდა მუშა:

ნუ ამბობ, ძამიავ, არ გაგიგონონ!..

მე-3 მუშა:

შენ, ეი! ჩუმათ იყავი, თორემ, ხომ იცი! ჯერ მაღლა ღმერთს შეხედე! (უეცრად ქალის წივილი გაისმის. მენავე სულია ზღუდეზე ამოფორთხდება და ყურს უგდებს, მერე თავს გაიქნევს და ისევ იმალება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 მუშა:

(დაღვრემით). წუხელ ხუთი კაცი დაუხვრეტიათ.

1-ლი მუშა:

რა ენაღვლებათ, ჩვენ ხომ გაუნათლებელი აზიელები ვართ. (ისევ კივილი). მაინც ვინ უნდა იყოს ეს საცოდავი?

მოხუცი მუშა:

ალბათ, ვინმე თუ დაიხრჩო ზღვაში.

მე-8 მუშა:

ეს ვინ უნდა იყოს, აქეთ რომ მორბის?

მოხუცი მუშა:

ივანეა ჩვენი, ტორიკაშვილი.

გამოსვლა მეთერთმეტე

ივანე:

(შემოვარდება გაცეცებული თვალებით) ბიჭებო!

მუშები:

რა იყო რა ამბავია?

ივანე:

ბიჭებო, ბიჭებო, წუხელ გენერალ დათიევის ბრძანებით მატარებლის აფეთქების გამო ხუთი კაცი დაუხვრეტიათ. თვითონაც იქ ყოფილა... ჩვენი ასლან ბაკურაძეც დაუხვრეტიათ. (დუმილი).

მოხუცი მუშა:

საწყალი ასლან, ჩემ გვერდით მუშაობდა.

მუშები:

ო ო!..

ახალგაზდა მუშა:

ეს ვინ არის ასე გულსაკლავად რომ ტირის?

ივანე:

მისი ცოლია. კანტორაში იყო გენერალთან ამბის საკითხავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები:

ოო! ოო!.. (საყვირის ხმა ისმის).

მოხუცი მუშა:

აბა, ბიჭებო, შაბაში გათავდა. სამუშაოზე გავიდეთ.

მე-2 მუშა:

წავიდეთ. (ემზადებიან წასასვლელად).

მე-3 მუშა:

(ბრაზით) უუ, მე იმისი!.. (მტვირთავს) შენთან საქმე მაქვს. (ცალკე გაიყვანს) პაროლი?

მტვირთავი:

სალამი!

მე-3 მუშა:

მეხი!

მტვირთავი:

სალამოს რვა საათზე, საბაჟოსთან.

მე-3 მუშა:

მოიცა. მე ვიცი ყველაფერი. დამითმე გენერალი.

მტვირთავი:

რატომ?

მე-3 მუშა:

შენ ჩამომეხსენი, მე მინდა მოვკლა გენერალი. შენ მატარებლის საქმე გქონდა, ახლა ეს მე დამითმე.

მტვირთავი:

მე მაქვს დავალებული.

მე-3 მუშა:

ეგ სულ ერთია. იმან ჩემი ძმაკაცი მოკლა. ის ჩვენი მტერია. მე დამითმე.

მტვირთავი:

რომ ვერ მოახერხო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 მუშა:

ნუ გეშინია.

მტვირთავი:

ვნახოთ. მე ეხლა მეზღვაურებს ველი უცხოეთის გემიდან. ავჯანყებისათვის. მეზღვაურები შფოთავენ და მომენტით უნდა ვისარგებლოთ.

გამოსვლა მეთოთრმეტე

ზედამხედველი:

ჰაი, თქვე ზანტაკებო, რას დგეხართ მანდ და იზლაზნებით? არ გაიგონეთ საყვირის ხმა? თუ სადარბაზო ბარათები მოგართვათ? (მტვირთავი და მე-3 მუშა შეუმჩნევლად გაიპარებიან).

ახალგაზდა მუშა:

(დაბნეულია და გარეტებული დგას) სული მოგვათქმევინე, ბატონო აფიცერო, ხომ ხედავ, ვმუშაობთ.

ზედამხედველი:

როგორ!? ვინ ხარ შენ, სიტყვას რომ მიბრუნებ? ვის უბედავ, შე ქალაჩუნავ? მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა კეთილშობილ ქალებთან არ'ბიყობა!..

გამოსვლა მეცამეტე

დათიევი: (შემოდის)

რა მოხდა, რა ამბავია?

ზედამხედველი:

მუშაობა არ უნდათ, ბატონო გენერალო!..

დათიევი:

ვის არ უნდა მუშაობა, რომელს არ უნდა?

ზედამხედველი:

იმუქრებიან, ბოლშევიკები არიან!..

დათიევი:

ვინ? რომელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველი:

აი ეს.

დათიევი:

დააპატიმრეთ (ნავთსადგურის ფერადი მცველები აპატიმრებენ).

მუშები:

ო ო!..

დათიევი:

რას აყაყანდით, თქვე ძაღლებო! მე თქვენ გაჩვენებთ! ესეც დააპატიმრეთ! (აპატიმრებენ 1-ლ მუშას) გარეკეთ ეგ წუნკლები, თორემ ყველას სათითაოდ დავახვრეტინებ აქვე, ჩემ თვალწინ, ოცდაოთხ საათში! საომარი მდგომარეობაა, საალყო წესები და ეგენი ამბოხებას ბედავენ! (მუშებს ფანტავენ).

ახალგაზდა მუშა:

მე არა, ბატონო გენერალო, მე არა.. აი ის... აი ის!.. ღმერთო, რა იქნა?

ზედამხედველი:

(იმეორებს გენერლის სიტყვებს და გამოთქმაში ჰბაძავს) ვინ, რომელი?..

ახალგაზდა მუშა:

ის გაპარულა, ბატონო ოფიცერო! მე არა, ბატონო გენერალო, მე არა, ის გაიპარა!

დათიევი:

(თვალები უბრწყინდება, ახალგაზდა მუშასთან სულ ახლო მივა და თვალებში ჩახედავს) აჰაა!.. ჩვენ მოვნახავთ იმას! შენ გასცემ, მეგობარო!

ახალგაზდა მუშა:

როგორ? მე გავცემ?

დათიევი:

შენ გასცემ, მეგობარო.

ახალგაზდა მუშა:

არა, ბატონო გენერალო!.. მე არ შემიძლია, მე არაფერი ვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიევი:

არაფერია, გაიგებ.

ახალგაზდა მუშა:

მე არაფერი ვიცი, ბატონო გენერალო.

დათიევი:

(მოთმინებიდან გამოსული) არც მე ვიცი არაფერი, არც მინდა ვიცოდე.

ახალგაზდა მუშა:

რა ვქნა, ბატონო გენერალო, თუ კი არ ვიცი! ის გაიპარა!..

დათიევი:

იცი, წუნკალო!

ახალგაზდა მუშა:

არ ვიცი და რა ვქნა, ბატონო გენერალო.

დათიევი:

იცი მეთქი, წუნკალო! გათქმევინებ!..

ახალგაზდა მუშა:

ბატონო გენერალო!

დათიევი:

ხმა!.. კრინტი!.. ვის უბედავ შენ სიტყვის შებრუნებას? (ახალგ. მუშა ჩუმდება, ღელავს).

დათიევი:

(პირველ მუშას) შენც იტყვი, მეგობარო!

1-ლი მუშა:

თავს ნუ იგდებ, ვინცა ხარ!.. მე გამცემი არ ვარ.

დათიევი:

როგორ? მე თავს ვიგდებ? (თანდათან ბრაზდება) მე ვილაცა ვარ, თუ გენერალი, ვილაცა ვარ მე, თუ გენერალი? ახლავე საკომენდანტოში. ამალამვე გაიყვანეთ ზღვის პირას! მე შენ გაჩვენებ თავის აგდებას. მე თავს ვიგდებ? თავს ვიგდებ? მე? მე?.. (ყვირის დორბლმორეული, მიწაზე ფეხებს სცემს, უეცრად მოწყდება, გაჩუმდება და ყურს უგდებს, წყნარად) ეს ვინ არის, რომ სტირის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველი:

ეს მენავეა, ბატონო გენერალო!..

დათიევი:

შენავე? როგორ ბედავს მერე ტირილს?

ზედამხედველი:

ის არ სტირის, ბატონო გენერალო, ის რაღაც აზიუოს მღერის თავის ძაღლურ ენაზე.

დათიევი:

როგორ ბედავს მერე სიმღერას? ახლავე აქ მომგვარეთ.

გამოსვლა მეთოთხმეტე.

(მოჰყავთ მენავე სულია, ფეხებ დაკარწახებული, ახალგაზდა, 17 წლის) ვინ ხარ შენ?

სულია:

მე მენავე ვარ, ბატონო გენერალო, ლიბანაში ვიყავი, ფორთოხალი ჩამევიტანე.

დათიევი:

ლიბანაში იყავი? როგორ ბედავ მერე აქ, სამხედრო ბანაკში, სიმღერას?

სულია:

მე ისე, ბატონო გენერალო, ვმუშაობდი და ვმღეროდი ჩემთვის. მე არ ვიცოდი, თუ არ შეიძლებოდა.

დათიევი:

მღეროდი? მაშ ახლა იტირე! (მათრახს გადუჭერს, სულია მიწაზე დაეცემა და ლეკვივით აღმუვდება).

ზედამხედველი:

ადექი, შე წუნკალო! (სულია დგება, თავს ქუდში ჩარგავს, უეცრად ტირილი აუტყდება და ზლუქუნით ნავისკენ მიდის).

დათიევი:

სად მიდიხარ? აქ მოდი!.. (სულია მობრუნდება და გენერლის წინ ჩერდება თავდახრილი) ახლაც იმღერებ, შე ძაღლის ლეკვო? (სულია სტირის) რა გვარი ხარ შენ? სადაური ხარ?

სულია:

სულეიმან, ბატონო გენერალო, სულია ბაკურაძე, ქობულეთელი...

დათიევი:

ბაკურაძე? შენ იმის შვილი ხომ არა ხარ, დაპატიმრებული რომ იყო. რა ერქვა მამაშენს?

სულია:

ასლან, ბატონო გენერალო.

დათიევი:

ასლან? აჰაა, მაშ წადი და ახლა იმღერე, მე ნებას გაძლევ, მამაშენი წუხელ დახვრიტეს.

სულია:

ვინ?.. (პაუზა. დაიბღავლებს.) რას მიჩივი მაგას?..

დათიევი:

რაო? რაო? როგორ მიბედავ მაგეთ ლაპარაკს? (უეცრად ისაზრებს) აჰაა!.. აჰაა!.. მაშ მამაშენი მატარებელს რომ აფეთქებდა, შენ ლიბანაში იყავი არა? ფორთოხალზე, ხომ, ძაღლის ნაშიერო? ვიცით, ვიცით, თუ რა ფორთოხლებს ეზიდებით თქვენ, კარგად ვიცით, ვერ მოგვატყუებთ. მაშ ეგრე, ხომ? თუ, მამაშენს ეხმარებოდი?

სულია:

(ხმას არ იღებს. დგას თავდახრილი).

დათიევი:

აჰაა, შენ იმის შვილი ხარ, არა? ამფეთქებელის? აჰაა, მაშ კარგი. ლიბანაში, ლიბანაში იყავი ფორთოხალზე. (უეცრად ბრძანების კილოთი) დააპატიმრეთ!.. პორუჩიკო, მატარებლის ამფეთქებელთა ოქმში ესეც შეიტანეთ!.. (აპატიმრებენ).

სულია:

ბატონო გენერალო, ბატონო გენერალო!..

ზედამხედველი:

ჩუმად. შე ძაღლის ლეკვო, ვის უბედავ სიტყვის შებრუნებას?

დათიევი:

დედამისიც დააპატიმრეთ, დღეს რომ გული შეაღონა მოთქმა-კივილით...

სულია:

(გამოთაყვანებული უაზროდ) ნენა... ნენა... (დაპატიმრებული სულია მიჰყავთ. ისმის გემის საყვირის ხმა).

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ნატროშვილი

გიორგი წერეთელი

ქართული რომანტიზმის კლასიური ბუნება ყველაზე უკეთ ისახებოდა ნაციონალური წარსულის იდეალიზაციაში; რომანტიზმი და განსაკუთრებით მისი პატრიოტული ნაკადი იყო პატრიარქალური ეპოქის დაშლის და გადაგვარების ლიტერატურული გამოძახილი. „ჩვენი იდეალი წარსულშია, მას ტყუილათ ვეძებთ ჩვენ მომავალში"-ო, ამბობდა ხშირად ლევ ტოლსტოი. ეს სიტყვები ყოველგვარი კომენტარიების გარეშე შეუძლიათ გაიმეორონ ქართულ ლიტერატურის ადრინდელი თაობის წარმომადგენლებმა. ქართული ეკონომიკა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სტატიურ ფორმებში იყო გაყინული, ახალ ეპოქალურ მოვლენათა ზეგავლენით დაიძრა თავის ადგილიდან და ზიგზაგებით გაემართა კაპიტალისტურ წყობილებისაკენ.

ფეოდალური წყობილების შავბნელი ხანა, გახრწნილ ბატონების დიქტატურა და მშრომლეთა კოშმარული ექსპლოატაციის ეპოქა რომანტიზმის წარმომადგენლებმა გაახვიეს ოცნების ყვავილებში, მათ შეალამაზეს ფეოდალიზმის ბორკილები ფერადი ოცნებებით და ამით იმ თავითვე ზუსტათ განსაზღვრეს თავისი იდეოლოგიის რეაქციონური ხასიათი. ერთმა ძლიერმა წარმომადგენელმა პატრიოტული რომანტიზმისა დასწერა ლექსი, რომელშიაც ქებადიდებით მოიხსენია ნიკოლოზ პირველის კოშმარული საქმეები. ეს ლექსი წარმოადგენს მონარქიზმის ასპროცენტიან აპოლოგიას. გრიგოლ ორბელიანის ეს რეტროგრადული რეგვნობა არ ყოფილა შემთხვევითი ხასიათის მოვლენა. იგი ლოლიკურათ გამომდინარეობდა მთელი მისი მსოფლმხედველობითი სისტემიდან.

გავიდა ხანი, ცხოვრებამ ნათელჰყო ამ სანტიმენტალური ზღაპრების უსაფუძვლობა; საჭირო შეიქმნა „ბორკილების განძარცვა ფანტაზიის ყვავილებისაგან", ეს ამო-

ცანა ვერ შეასრულა ახალმა თაობამ, რომელიც სამოციან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ფორმალურად ბრძოლა გამოუცხადა გრიგოლ ორბელიანის იდეოლოგიას. ჩვენი აზრით თერგდალეულების თაობამ ვერ მოახდინა რადიკალური გარდატეხა იდეების სფეროში. მან ძველებს თუმცა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. მაგრამ ამ ბრძოლის საგანი იყო უმთავრესად ახალი რეალისტური ჟანრების საკითხი და ქართული მართლწერის და ორთოგრაფია-გრამატიკული მორფოლოგიის რეორგანიზაციის პრობლემები.

იდეიურათ კი აკაკი წერეთელმა ისევ თამარ მეფის ეპოქის იდეალიზაციას მიჰყო ხელი, ილია ჭავჭავაძე შეუდგა ნიადაგის მომზადებას თავის მომავალი „ხმლის და გუთნის" ფილოსოფიისათვის. ამ თეორიისათვის აუცილებელი იყო ბატონყმურ ურთიერთობათა იმ ფორმების შერბილება, რომელთაც მაშინდელ ხანაში ჰქონდათ ადგილი. ამიტომ სრულებით ბუნებრივათ უნდა მივიჩნიოთ ილიას პროტესტი დათიკოსა და გარყვნილ ბატონების წინააღმდეგ.

ილიას თეორიულ კონცეპციას არც ლუარსაბ თათქარიძე გამოადგებოდა; ამიტომ დაიწყო ილიამ ბრძოლა არჩილის ტიპის თავადისათვის, რომელიც უნდა ყოფილიყო ლუარსაბისა და დათიკოს სინთეზი, მათი მემკვიდრე. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამხ. სიმონ ხუნდაძეს, რომელიც ილიას საზოგადოებრივ აზროვნებას ჰყოფს ორ პერიოდათ და პირველ პერიოდის დამახასიათებლათ მას მიაჩნია პოლიტიკური რადიკალიზმი.[1]) ის სწერს: „პოლიტიკურ რადიკალიზმს... ფარდას ხდის ილიას მხატვრული შემოქმედება, სადაც იგი რევოლიუციონურად აღტყინებული, ბატონყმურ ურთიერთობის წიაღიდან გამოსულ თავისუფლებისათვის მებრძოლ კაკოს, ზაქროს, და გაბროს უჭერს მხარს და თითქმის შრომის სუფევის ქადაგებამდეც მიდის. აქ ნათლათ სჩანს მესამოცე წლების რუსული რადიკალიზმისა და რევოლიუციონური აზროვნების გავლენა".

ამხ. სიმონ ხუნდაძეს მხედველობიდან გამოეპარა ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი?!" დაწერილია სამოციან წლებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ილია პირველათ გამოვიდა საზოგადოებრივ არენაზე. ამ მოთხრობაში თვითკრიტიკის ხაზით გადმოშლილია თავად-აზნაურობის უარყოფითი მხარეები; ილია ებრძვის ამ ნაკლულოვანებებს იმიტომ, რომ მას ჰსურს ლუარსაბის გაჯანსაღება და

[1]) იხ. სიმონ ხუნდაძე — „ქართული ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში". გვ. 53-54.

მისი არჩილათ გარდაქმნა. „მოყვარეს პირში ულრახე, მტერს ზურგს უკანაო" — აი მთელი მიზანი დასახელებული მოთხრობისა. გაცილებით მართალი იყო ერთი მკვლევარი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის პირველ გამოსვლით გამოიმუშავა ერთგვარი პროგრამა, რომლისათვისაც იბრძოდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. მისი იდეოლოგია მოითხოვდა იმ ტაქტიკურ მანევრებს, რომელიც დაშვებულ იქმნა „გლახის ნაამბობით" და სხვა ამგვარი თხზულებებით.

დათიკო პროტოტიპია არჩილისა, დარეჯანი — კესოსი, ზაქრო, კაკო და გაბო — გიორგისა; ამრიგათ ილიას ყოველი ნაბიჯი ლოგიკურად შეკავშირებულია ერთიმეორესთან. ზერელე შეხედვით გეჩვენება თითქოს ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში სულ სხვა იყო და შემდეგ რადიკალური გარდაქმნის გამო სულ განსხვავებული იდეოლოგიით ჩამოყალიბდა ოთხმოცდაათიან წლებში. ნამდვილათ კი არავითარ პერიოდებთან არა გვაქვს საქმე, ილიას მოღვაწეობაში ადგილი აქვს მხოლოდ ნელი-ნელ, ერთხელ აღებული იდეიის განვითარებას.

ასეთი იყო თერგდალეულთა იდეოლოგიის მაგისტრალური ხაზი. ამ თაობას პრინციპიალურათ არაფერი არ ჰქონდა საწინააღმდეგო პატრიოტულ რომანტიზმთან. ამავე თაობას ეკუთვნოდა გიორგი წერეთელიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის არ გაჩერებულა ილიას ბანაკში, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ჩამოსცილდა მას და გაჰყვა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობას, ხოლო ბოლოს მიეკედლა მარქსიზმს.

გიორგი წერეთელი, როგორც ისტორიული პიროვნება თავის მოღვაწეობის უკანასკნელ ფაზაში შეჩერდა ორი მოპირისპირე მსოფლმხედველობის მიჯნაზე. ის ბავშობიდან სულ სხვაგვარ ატმოსფეროში ტრიალებდა, რომელიც ძლიერ განსხვავდებოდა მოხუცობის ხანში შეთვისებულ იდეოლოგიისაგან. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით მის უკანასკნელ ათეულ წლებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ახალმა სოციალურ მსოფლმხედველობამ ძველ არქირეაქციონურ იდეოლოგიას. ამ ბრძოლის საზღვარზე აღგუნა დგომა კლასთა ბრძოლის ისტორიამ გიორგი წერეთელს. მიუხედავათ ამისა იგი არ ყოფილა ამ ბრძოლის შორიდან მაცქერალი, ნეიტრალური დამსწრე, პირიქით იგი მთელ ძალღონეს ხმარობდა ილია ჭავჭავაძის ფრონტის გასანადგურებლათ. გიორგი წერეთელმა ადრე იგრძნო კაპიტალიზმის შემოჭრა და ერთად-ერთი ძველი თაობიდან გაჰყვა ახალ ეპოქის მიერ ნაჩვენებ გზებს. ოთხ-

მოცდაათიან წლებში „ივერია“ და „კვალი“ იყო ორი მთავარი იდეიური შტაბი; პირველის გარშემო იკრიბებოდა ფეოდალურ-ინტელიგენციის უკანასკნელი წარმომადგენლები, მეორე აერთიანებდა ამომავალ ეპოქის მომხრეთა ახალ კადრებს.

საქართველოს რუსეთთან შეერთება, როგორც პოლიტიკური აქტი და კარგა დიდი ხნის შემდეგ ფეოდალურ ურთიერთობათა ოფიციალური გაუქმება, როგორც ეკონომიური მოვლენა იყო ორი ძლიერი ფაქტორი, რომელთაც დააჩქარეს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდა-განვითარება.

პატრიარქალურ-ნატურალურ მეურნეობის საფუძველი შეირყა და ნელ-ნელა ახლოვდება დრო სამრეწველო გადატრიალებისა.

საერთოდ ცნობილია, რომ კაპიტალიზმი მსოფლიო მოვლენაა, მას ვერ ასცდებოდა ვერც ერთი ქვეყანა. ამ მოვლენას რუსეთში და განსაკუთრებით საქართველოში მეტად სპეციფიური პირობები დაუხვდა. ამიტომ ზემოხსენებული პროცესი აქ ძლიერ ნელი ტემპით წავიდა. ასე არ იყო ინგლისში, კაპიტალიზმის განვითარების ამ კლასიკურ ქვეყანაში, იქ რადიკალურ გარდატეხის გზით დაინგრა პრიმიტიულ ტეხნიკის საფუძველზე აგებული საწარმოო ძალთა ურთიერთობა და მისი ადგილი მაშინიზაციაქმნილ კაპიტალისტურმა წარმოებამ დაიჭირა.

დაახლოვებით ასეთივე პირობებში ჩატარდა ზემოხსენებული პროცესი დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. რუსეთში კი ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ „ისტორიულათ დაიგვიანა რამდენიმე საუკუნით“. პეტრეს რეფორმების შემდეგ ნაწილობრივ გაიხსნა გზა ევროპის კაპიტალისათვის. საერთოდ კი მონარქიზმის თავად-აზნაურული პოლიტიკა გადაიხლართა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩანასახებთან. „აბსოლიუტიზმი და ბიუროკრატია გამსჭვალული იყო ბატონყმურ-ბურჟუაზიული სულით“ (ლენინი). ყირიმის ომმა ძლიერ დიდი ზეგავლენა მოახდინა რუსეთის სოციალ-ეკონომიურ ყოფის მამოძრავებელ ფაქტორებზე. „ყირიმის ომმა აუცილებელი გაჰხადა გლეხთა განთავისუფლება“ (ჩერნიშევსკი) ხოლო გლეხთა განთავისუფლებას ლოლიკურათ მოჰყვა კაპიტალიზმის ნაწილობრივი ზრდა. ახალგაზრდა კაპიტალიზმმა მოითხოვა თავისუფალი მუშახელი და ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა ზევიდან რეფორმის საშუალებით თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საშიშროება. როგორც ამხ. პოკროვსკი აღნიშნავს ეს რეფორმები ალექსანდრე ნიკოლოზის ძის „ჰუმანიურობით“ კი არ აიხსნება, არამედ იმ ობიექ-

ტიური პირობებით, რომელთა რკალში ემწყვდეოდა რუსეთის იმპერია.

ასე იყო თუ ისე მარქსის ისტორიული კანონი ძალაში დარჩა რუსეთის მიმართაც.

განაპირა ქვეყნებში დაიწყო ზრდა ადგილობრივმა ბურჟუაზიამ. „რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიის საქონელს მსოფლიო ტრიალში, ანადგურებდა მისი ადგილობრივი თავისებურების ნაშთებს, ძველ პატრიარქალურ კარჩაკეტილობას და ამ სახით ჰქმნიდა თავის ფაბრიკებისათვის ბაზარს. მხარე, რეფორმის დასაწყისში სუსტად დასახლებული ან და დასახლებული მთიელებით, რომელნიც შორს იდგნენ მსოფლიო მეურნეობისაგან და თითქმის ისტორიიდანაც, გადაიქცა ნავთის მრეწველთა, ღვინის, ხორბლეულის და თამბაქოს გამყიდველთა ქვეყნათ. კავკასიის გაძლიერებულ კოლონიზაციის გვერდით... ხდებოდა კავკასიის მცხოვრებთა სოფლიდან მრეწველობისაკენ გადახრის პროცესიც“ (ვ. ი. ლენინი).

რკინის გზის გაყვანა, ბაქოს ნავთი, ახალი სტამბები მუშების საკმაო რიცხვით და მთელი რიგი ახალი მოვლენები ძლიერ დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე. ინგრეოდა ფეოდალურ ურთიერთობათა მოძველებული გალავანი, ამ გარდატეხის პროცესში თავისთავად ცხადია, გაჩნდა ახალი იდეიური მიმდინარეობანი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარმა სოციალ-ეკონომიურმა პროცესებმა იპოვეს თავისი გამოხატულება მხატვრულ ლიტერატურაში. ამ მოვლენებმა აგრეთვე აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ინტელიგენციის წრეებში.

ჩვენ ზემოდ შევეხეთ ილია ჭავჭავაძის რეტროგრადიულ თეორიას ფეოდალურ ურთიერთობათა ა ხ ა ლ ი ფ ო რ მ ი თ აღდგენის შესახებ. ამ თეორიამ განიცადა ბრწყინვალე გაკოტრება. ილია ჭავჭავაძის ეკონომიური პროგრამა ვერ გასცილდა ვიწრო წოდებრივ — თავად-აზნაურულ ფარგლებს, ხოლო პოლიტიკაში იგი უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბდა, როგორც წმინდა წყლის მონარქისტი. „ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა — ეუბნება ილია არჩილ ჯორჯაძეს — რუსეთის იმპერატორი იმავე დროს ქართველთა მეფეაო“. რით განსხვავდება ამ სიტყვების ავტორის მსოფლმხედველობა გრიგოლ ორბელიანის ჟანდარმული იდეოლოგიისაგან? ბევრით არაფრით; ასეთი არ ყოფილა გიორგი წერეთელი, ის გაცილებით პროგრესიულ იდეების მატარებელი იყო; სწორედ ამიტომ შეიძულა ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციამ გიორგი წერეთელი; ილია წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სიახლისა (განსაკუთრებით 90-იან

წლებში). მისი მიზანი იყო არა ახალ სოციალურ წყობილების იდეების პოპულიარიზაცია, არამედ ძველი საქართველოს თავადური ტრადიციების რესტავრაცია. თუ გიორგი წერეთელის მახვილმა თვალმა დროზე შეამჩნია ახალი ეპოქის მოახლოვება და შეიყნოსა „ნახშირის სუნი", სამაგიეროდ ილია ჭავჭავაძემ ვერ შენიშნა სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა საქართველოში.

გიორგი წერეთელის პორტრეტის სრული მოხაზვისათვის არა კმარა მხოლოდ მისი რომანების შეფასება და განხილვა. მან ღრმა კვალი დააჩნია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას, ამიტომ ჩვენ მხედველობიდან ვერ გამოვტოვებთ გიორგი წერეთელის პუბლიცისტურ ნამუშევრებს.

ჩვენის აზრით 90-იან წლებში თაობათა ბრძოლა ეს იგივე კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება იყო. თაობათა ბრძოლა შეიძლება მაშინ, როდესაც ჩნდება ახალი სოციალური კლასი; სხვა მხრივ ერთ და იგივე კლასში ძველსა და ახალ თაობას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება არის არა პრინციპიალური ბრძოლა, არამედ ერთგვარი შეხლა-შემოხლა საკუთარი კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბრძოლა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს მოპირისპირე ბანაკების იდეიურ სხვადასხვაობას.

გიორგი წერეთელი მართალია გაჰყვა ახალ გზას, (შედარებით) მაგრამ მის წინაშე მთელი სიმძაფრით წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს თავად-აზნაურობის როლი ფეოდალურ ურთიერთობათა ნგრევის შემდეგ. ამ მხრივ ის ოპორტიუნიზმისა და კომპრომისების ხაზით წავიდა. მისი მსჯელობა ამ საკითხზე ატარებს აშკარა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ელფერს.

გიორგი მტერია ძველი უკულტურობის, მას სურს დაბალი მასების ყოფაცხოვრებაში შეიტანოს ევროპიული განათლების შუქი. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილები, სადაც იგი ეხება აღნიშნულ საკითხებს. გ. წერეთელის აზრით უნდა გარდაიქმნას „ხალხი, რომელიც საუკუნეებით ცხოვრობდა მტვერნაგავში და არ ფიქრობდა საცვლის გარეცხასაც კი, სანამ ზედ არ შემოალპებოდა", [1]) ამ მსჯელობის დროს გ. წერეთელი გაბედვით ვერ მისულა იმ დასკვნამდე, რომ ყოფაცხოვრების სრული რაციონალიზაცია შედეგი უნდა იყოს იურიდიულ-ეკონომიურ მდგომარეობისა.

---

[1]) „კვალი" № 1. 1893 წელი. მიმოხილვა — გ. წერეთლისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი

გარდაცვალებიდან 80 წლის თავის შესრულების გამო

ამასთანავე ერთად გ. წერეთელი სცდილობს აღმოაჩინოს სიცოცხლის ნიშნები ძველ წოდებაში; იგი სცდილობს გამონახოს ურთიერთ დაახლოვების ფორმები ფეოდალიზმის ნაშთებსა და ახალი ბურჟუაზიის მიმართ. ეს გამოსჭვივის არა მისი მხატვრული ნაწერებიდან, არამედ მისი პუბლიცისტური წერილებიდან, რომელიც იბეჭდებოდა იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

გ. წერეთელი სწერს 1893 წელს:

„ერთი უაღრესი ნაყოფი გავლილი წლისა, (ე. ი. 1892 წლისა — გ. ნ.) ისიც არის, რომ მან ნათლათ დაგვანახვა საიმედო სიცოცხლის ნიშნები ჩვენი თავად-აზნაურობისა“. [1])

„კვალი“ აერთიანებდა ისეთ იდეიურ მიმდინარეობებს, რომელთაც ურთიერთთან აკავშირებდათ მხოლოდ საერთო ბრძოლა თავადაზნაურულ ინტელიგენციის რეაქციონურ იდეოლოგიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, ე. ი. უკანასკნელ წლებში გ. წერეთლის ამ ორგანოში იყრიდა თავს როგორც ბურჟუაზიულ-ლიბერალური, ისე წმინდა მარქსისტული მიმდინარეობანი. ამ ხანებში „კვალი“ აღფრთოვანებით შეჰხარის კაპიტალის ზრდას და მის ყოველ ახალ ნაბიჯს სიხარულით ეგებება:

„ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში, სწერს „კვალის“ მოწინავე, ჩვენს ქვეყანაში აყვავდა სამი დიდი მადნის წარმოება: ნავთისა, ქვაგუნდასი (მარგანეცის) და ქვანახშირისა“. ასე სწამდა გიორგი წერეთელს და მას იმავე დროს სურდა თავადაზნაურობას მიეღო აქტიური მონაწილეობა ამ ახალ წარმოებათა ურთიერთობის სფეროში; გ. წერეთელი თავის თეორიული მსოფლმხედველობით იყო იდეალიზმის მიმდევარი, და თუმცა მას თავისი შეხედულებანი არსად არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ძნელი შესამჩნევი არაა, რომ პრაქტიკულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განხილვის დროს მისთვის გამოსავალ წერტილს მოვლენების ახსნისათვის წარმოადგენდა არა ეკონომიური ბაზა, არამედ მოწინავე იდეია, აზრი; ეს არც გასაკვირველია.

გიორგი წერეთელი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ძველი კაცი იყო, მესამოციანების თანამებრძოლი; მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს ის გარემოება, რომ გ. წერეთელმა შესძლო ახალ მიმდინარეობასთან მისვლით მისი გარეგნული ელემენტების შეთვისება. აი რას სწერდა იგი 90-იან წლებში: „საჭირო შეიქნა ჩვენთვისაც ევროპიულ სამეურნეო მეცნიერების შესწავლა და იქაურ სამეურნეო იარაღების

[1]) იხ. „კვალი“ იგივე ნომერი. (ხაზი ჩემია — გ. ნ.)

კეთება და ხმარება... ამას მოჰყვა ერთის მხრით რკინის გზების გაყვანა ჩვენს ხეობებში და მაზრებში, მეორე მხრით ელევატორების და სავაჭრო საალებმიცემო ბანკების საჭიროება... ასეთმა მოთხოვნილებამ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ააგულიანა და ხელი გამოაღებინა საერთო მოქმედების გულისთვის"... შემდეგ ქვევით განაგრძობს: „ჩვენ რასაკვირველია, არა ვართ წოდებრივი განკერძოების მადიდებელნი და არც კასტიური წესწყობილების მომხრენი, მაგრამ ამასაც ვერ ვიტყვით, რომ ყოველ ერში არ იყოს სხვადასხვა ღირსების საზოგადოება. ამ საზოგადოებათა წყობაში ერის თაოსნობა და წინამძღვრობა შეუძლია მხოლოთ იმ ნაწილს მთელი ერისას, რომელშიაც უფრო ბევრია გონებით განათლებული და ზნეობრივი მხნეობით აღჭურვილი კაცები. აი ასეთს საზოგადოებას შეადგენდა ძველათ საქართველოს თავად-აზნაურობა, რომლის ისტორიულ ღვაწლმა საქართველოს ერს დღემდი თავისი ფერი და ხასიათი შეარჩინა. დღეს ახალმა განათლებამ და გონებრივმა განვითარებამ გამოიყვანა ასპარეზზე ევროპის განათლებით აღჭურვილი წრე, რომელიც ჩემობს ხალხის წინამძღვრობას და რომელსაც ეკუთვნის მომავალიცა. ამ წრეს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც შთამომავლობასთან, არც გვართან... ის არის ნამდვილი თავიცა თავადიც". ამ გრძელი ამონაწერიდან ნათლად მოსჩანს აზნაურული იდეების ნაშთები გიორგი წერეთელის მსოფლმხედველობაში. მას არ ესმის სწორედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მექანიზმი, ერთი სიტყვით ყალბათ აქვს წარმოდგენილი ამ მექანიზმის სოციალური კონსტრუქცია. „კვალის" მთელ რიგ ნომრებში გიორგი წერეთელი სისტემატიურად ათავსებდა წერილებს ძველი საქართველოს მეფეების, წმინდანების, სარდლებისა და მხედართმთავრების შესახებ. ამ წერილებში იგი სცდილობდა აღედგინა ძველ ფეოდალთა სახე; ამ მხრივ მას თითქოს არ ახსოვს კაპიტალიზმი თავის ბახვა ფულავებით და მეჯღანუაშვილებით.

საკვირველია! როგორ ახერხებდა გიორგი წერეთელი იმ იდეოლოგიის შეთავსებას კაპიტალიზმის იდეოლოგობასთან!

ასეთი კაცი გამოვიდა იმ დროს, როგორც რევოლიუციონერი ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიის მიმართ, ამან გამოიწვია ის გესლიანი ეპიგრაფები, რომლითაც გაუმასპინძლდა ილია გიორგი წერეთელს და „კვალს".

ილიას უკვირს თუ საიდან გახდა გ. წერეთელი ახალი დასის მეთაურად.

ჩვენ ზემოდ ვუჩვენეთ მკითხველს ფეოდალური აზროვნების ნაკვალევი გ. წერეთელის იდეოლოგიაზე; ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთელმა ყველაზე ადრე შეიგრძნო ნახშირის სუნი, როგორც ვსთქვით „ივერია" და „მოამბე" დარაზმული ებრძოდენ ყოველგვარ პროგრესიულ იდეიას. „მოამბე" ერთი მესამე დასელის მახვილი გამოთქმით ასე გაჰკიოდა: „არ დავიძრად, განვისვენოთ წიაღსა შინა პატრიარქალური წესწყობილებისა". [1]) ასე ეწერა ძველი თაობის საბრძოლველ დროშაზე და გიორგი წერეთელს, ჩვენს მიერ ზემოდმოყვანილი მისი აზრები ფეოდალიზმის ნაშთების შესახებ, სრულებით არ უშლიდა ხელს წამოეყენებინა პროგრამა ვაჭრობა-მრეწველობის ახალ გზებზე განვითარებისა. „გიორგი წერეთელის პირით ჩვენში ლაპარაკობდა ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული ინტელიგენცია. გ. წერეთელი იმდენად ეხვეოდა მარქსიზმის ქურქში, რამდენადაც ამას მოითხოვდა ბურჟუაზიის არსებითი ინტერესები... იგი სცდილობს შეუთანხმდეს ახალ მიმდინარეობას (მარქსიზმს) და გამოიყენოს ახალი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს ეკონომიური წარმატებისა და პოლიტიკური აღორძინებისათვის. ამ მხრივ იგი საკმაოდ უახლოვდება რუსეთის „ლეგალურ მარქსისტებს" (სიმონ ხუნდაძე — „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტ. II გვ. 262 — 276).

გიორგი წერეთელი შიგნიდან ანგრევდა თავად-აზნაურულ იდეოლოგიის სიმაგრეებს.

მესამე დასელები ამავე დროს სოციალურათ ეკუთვნოდნენ მოსახლეობის „დაბალ" ფენებს, გიორგი წერეთელი ასე არ იყო. ის მედგრად ებრძოდა თავისი კლასის მეთაური ილია ჭავჭავაძის სოციალ-ეკონომიურ პროგრამას.

„ამჟამად სადაც არ გაიხედავ, ყველას ნახშირის სუნი ესმის. იმასაც კი ამბობენ, კავკასიის მთები იმიტომ მოსჩანან ლურჯათ, რომ ნახშირის კომლი აქვთ გარს შემომდგარი, რომელიც მთების გულიდან ამოდისო და ამის გამო უნდა ვიფიქროთო, რომ კავკასიის მთების გული სულ ნახშირიანიაო", მაშინდელი სინამდვილე მართლაც, რომ იძლეოდა ამ იუმორის საბუთს.

---

[1]) იხ. „კვალი" № 20, 1895 წელი.

მთელი საუკუნეებით გაჩერებული, დუნე, ერთფეროვანი ცხოვრება რამდენიმე ათეულ წლებში აირია და გლეხის ბუნებაში შეიჭრა ვაჭრული ანგარიშიანობის ინტერესები. არა მარტო გლეხობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენები ჩაებნენ ამ პროცესში, ყველაფერი ამოძრავდა, პატრიარქალური სიდინჯე წვრილ ბურჟუაზიულმა ნერვიულობამ შესცვალა.

გაჩნდა მიდრეკილება ტკბილი ცხოვრებისაკენ, ამ ცხოვრებისათვის ფული იყო საჭირო; ამოძრავდა მთელი ქვეყანა; მაგრამ მარტო სურვილი არა კმარა, კლასობრივი დიფერენციაცია თავისებურ კალაპოტში აყენებდა ფულის მაძიებელთა სურვილებს. ეს პროცესი საუკეთესოდ აღწერილია „პირველი ნაბიჯის" შესავალში. ეს რომანი გვიხატავს იმ დროს, „როცა ქალაქ ფოთის ნავთსადგურში პირველათ იწივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველათ განუფრთხო ძილი მტრისაგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის ბოლაზათ. სამეგრელოში ატყდა დიდი ფაცა-ფუცი. იმ დროს ერთად-ერთი ფულის მოსაგები კუთხე ფოთი შეიქმნა. მალე გაიკვერა კავკასიის შუა გულზე ქვეყნის სავაჭრო გზატკეცილი. დასავლეთით ფოთი შეიქმნა კავკასიის სავაჭრო ყურე, აზიისაკენ მიქცეული. დადგა მეორე ხანა კაცობრიობის მოძრაობისა. და კვლავ მოუბრუნდა იმედი კავკასიას; მასთან საქართველოსაც განუახლდა ძველთაგანვე დაკარგული სასოება, რომ ხელმეორედ გამხდარიყო კაცობრიობის განათლების გზათ და ხიდათ. იმ დროს უცხო ქვეჟნის ნაწარმოებს დაშლა არ ჰქონდა კავკასიის ნიადაგზე შემოტან-გატანისა".

როგორც სჩანს რომანის ეს შესავალი ერთობ დამუქებულია პუბლიცისტიკის ფერადებით. მკითხველი გრძნობს მდგომარეობის იმ რადიკალურ გარდატეხას, რომელიც გამოიწვია ეკონომიური მოძრაობის ახალმა ტალღებმა. გიორგი წერეთელი და საერთოდ იმ დროინდელი ლიბერალური ინტელიგენცია დიდ იმედებს ამყარებდა ახალ მოვლენებზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ კვლავ დაუბრუნდა კავკასიას ძველი დიდება და იგი ხელმეორედ გადაიქცევა კაცობრიობის განვითარების გზად და ხიდათ. ამ აზრს ამტკიცებს ზემოდ მოყვანილი ამონაწერი, ჩვენი აზრით ერთი მთავარი მიზეზთაგანი ეს იყო იმ მოვლენისა, რომ გ. წერეთელი შეიქმნა ახალი იპოქის იდეიური წინამორბედი. მას სჯეროდა ამ გზით საქართველოს აყვავება და ამ გზით პოლიტიკურ-ეკონომიურ დამოუკიდებლობის გზაზე შედგომა. ყო-

ველ შემთხვევაში ჩვენ ამ აღფრთოვანების იქით შეიძლება შევნიშნოთ სხვაგვარი ინტერესები.

ჯერ ითქვას, რომ გ. წერეთელი აგვიწერს პირველ ყოვლისა საეაჭრო კაპიტალს და შემდეგ იხილავს სამრეწველო კაპიტალიზმის ზრდასაც. იგი სწერს: „ფოთში იმ დროს უცხო ტომის კაცები ჭიანჭველასავით ირეოდენ. ისინი ყიდულობდენ კავკასიის ნაწარმოებს იაფ ფასად და გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში. იმ დროს თქვენ აქ. მდინარე რიონის შესართავთან, ბერძენსაც შეჰხვდებოდით, ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს, ამერიკელს, ოსმალელს და სლოვენის ტომის სხვადასხვა გვარობას. ამათ ჰქონდათ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოსთან, აგრეთვე სპარსეთთან ინდოეთამდის ვაჭრული დამოკიდებულება, გაჰქონდათ ზღვით და ხმელეთით ნიგვზის კუნძები, ბზა, ურთხმელი, ყოველნაირი ხე-ტყე, მატყლი, აბრეშუმი, სიმინდი, პური, ღვინო, ბეწვეულობა, საქონლის ტყავები, თივთიკი, ლეკის შალები, ნაბდები და ნუხური ხალები. მრავალი მათგანი ამ ნაწარმოებში სცვლიდა უცხო ქვეყნიდან მოტანილ ფართალს, აბრეშუმის ქსოვილებს, მაუდებს, სხვადასხვა კოლონიის საქონელს და წვრილმან საფაფუკო, სადიდკაცო ავეჯეულობას. იმ დროს ფული ბეირივით იყო".

ამ სიტყვებში ძლიერ მახვილათ, სხარტად გადმოცემულია ის გრანდიოზული პროცესი, რომელშიაც მთელი მსოფლიო იყო ჩაბმული და ყოველი ადამიანი ფულის ნიადაგზე მომავალ კარიერისათვის ოცნებობდა. მაშინ ფული ეს იყო ახალი წოდებრივი, უკეთ კლასობრივი დიფერენციაციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. ამ დიფერენციაციას მოჰყვა უფრო ღრმა დანაწილება ინტელიგენციისა სხვადასხვა ფენებათ. პოლიტიკის სფეროშიც თანდათან ფეხს იკიდებს ერთგვარი რადიკალიზმი. გ. წერეთელი ერთ ადგილას სწერს, („კვალი" № 38, 1896 წ.) ბისმარკიზე, როგორც პროგრესის შემაფერხებელ პიროვნებაზე. მას მთელი არსებით ეზიზღება მონარქიზმის ყოველგვარი სახეობა.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ გ. წერეთელის იდეოლოგია შეიცავდა მთელ რიგ წინააღმდეგობებს. მიუხედავათ ამისა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან გასწყვიტა კავშირი ფეოდალურ ინტელიგენციის „კეთილშობილ" ტრადიციებთან, ამას მოითხოვდა მისგან მისი ეპოქა.

ეხლა გადავიდეთ გ. წერეთელის მხატვრული შემოქმედების განხილვაზე: წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ გიორგი წერეთელი თავის მუშაობის ამ სფეროში გაცილებით უფრო მტკიცე რევოლიუ-

ციონერი და ფეოდალური ტრადიციების აშკარა მოწინააღმდეგეა, ვიდრე პუბლიცისტიკის სფეროში. რატომ მოხდა ეს, ძნელი ასახსნელია. ერთი რამ კი ყველასათვის ცხადია: „მგზავრის წერილები", („კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა") უფრო გამანადგურებელი და მკვეთრი მახვილია ძველი ქვეყნის წინააღმდეგ, ვიდრე გ. წერეთელის მიერ „კრებულში" და „კვალში" სხვადასხვა დროს მოთავსებული პუბლიცისტური წერილები. ისტორიაში ხშირად გვხვდება ისეთი ამბები, რომ პიროვნება, რომელიც იდეოლოგიურ ფრონტზე საგრძნობ როლს თამაშობს, სხვადასხვა სიმახვილით აჩენს თავის რევოლიუციონერობას სხვადასხვა დარგებში. ასე დაემართა გიორგი წერეთელსაც.

გიორგი წერეთელის პირველი მხატვრული ნაწარმოები არის „მგზავრის წერილები". იგი დაიბეჭდა 1867 წელს, „დროებაში". ის იყო თავისებური დეკლარაცია, მთელი მომავალი სამოქმედო გეგმის კონსპექტიური პროექტი. ეს ნაწარმოები პირველ რიგში აღსანიშნავია თავისი იდეიური სიმახვილით, ხოლო მეორე რიგში, როგორც ახალი ფორმალური ხერხებით წარმოებული მხატვრული პროდუქცია.

„მგზავრის წერილები" დაწერილია მხატვრულ მიმოხილვათა ჟანრით; ეს ჟანრი, რომელზედაც დღეს ძლიერ დიდი კამათია გაჩაღებული, სრულებითაც ახალი ამბავი არ არის. მეცხრამეტე საუკუნეში ამ ხერხის მიხედვით დაიწერა ისეთი ნაწარმოებები, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძის „ვლადიკავკაზიდან ტფილისამდე", აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი" და ბოლოს ჩვენი მსჯელობის ახლანდელი ობიექტი — გიორგი წერეთლის „ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა".

ზემოხსენებული ნაწარმოები არის მხატვრული მიმოხილვა. რა შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ ამ მცნების ქვეშ? ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული საბოლოოდ; „ახალი მუშების" ავტორი ამტკიცებდა ერთ ადგილას, რომ მხატვრული მიმოხილვა არ არის ლიტერატურის არც მთავარი და არც მესამე ხარისხოვანი ჟანრი. მხატვრული მიმოხილვა არის განსაკუთრებული შტო ლიტერატურისა, ამბობდა ის, მჭიდროდ დაკავშირებული პუბლიცისტიკასთან. ამავე დროს ამ ავტორის აზრით ეს ჟანრი იზრდება არა გაზეთებიდან, არამედ მხატვრულ ლიტერატურიდან. [1])

---

[1]) იხილეთ გაზ. „კომსომოლ. პრავდა". № 228 ი. ეიგას წერილი „მიმოხილვებისა და მიმომხილველების შესახებ".

ეს განმარტება ჩვენ უნდა გავავრცელოთ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისეთ ფაქტებზე, რომელთა რიგს ეკუთვნის გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილები", მით უმეტეს კიტა აბაშიძემ ეს ნაწარმოები ყოველგვარ ხელოვნების ფარგლების გარეთ დააყენა და უშნო დიალოგის სახელით მონათლა.

ჩვენ კი წინააღმდეგ ვფიქრობთ, რომ გიორგი წერეთლის ამ ნაწარმოებს სრულებით არ აკლია მხატვრული სიძლიერე, პირიქით მან ამ ფაქტით შესძლო ჯანსაღი სიტყვის თქმა მაშინდელ ეგზოტიურ გარემოცვაში (ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედება). იმავე დროს გ. წერეთლის ამ ნაწარმოებს აქვს ძლიერ მებრძოლი მნიშვნელობა.

იგივე ჟ ი გ ა სწერდა ერთხელ „ჩიტატელი ი პისატელის" მოწინავეში, რომ მიმოხილვა ეს არის აქტიური ბრძოლის მკვეთრი იარაღი ყოველ დროს მწერლის ხელშიო.

გ. წერეთელის „მგზავრის წერილები", ეს იყო გაბედული დაცინვა ძველი ქვეყნის მიმართ, ეს იყო მებრძოლი იერიში ნაციონალისტურ ინტელიგენციის კუდაბზკობის წინააღმდეგ. ეს მახვილი ირონია ვერ აიტანა მაშინდელმა თავადაზნაურულ ინტელიგენციამ და კიტა აბაშიძის პირით გამანადგურებელი პასუხი გასცა გიორგი წერეთელს.

„მგზავრის წერილებში" გადმოშლილია ჩვენს წინაშე მთელი რიგი ტიპები, როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის და ინტელიგენციის ფენებიდან. მაშინდელი მდგომარეობა აუცილებლად იძლეოდა დაცინვის, იუმორის საბაბს, ამიტომ არის, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია ძლიერ იუმორისტული განხრით. ავტორი გზადაგზა მოგზაურობის დროს გვაცნობს თავის ტიპებს და სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების წარმომადგენლებს. გარდა ამისა ის აღწერს ბუნების სურათებსაც. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ის ამ აღწერის დროს კმაყოფილდება გარემოს ფოტოგრაფიული გადმოცემით. ასეა თუ ისე ამ ნაწარმოებში მთავარი ეს საკითხი არ არის, მასში წამოყენებულია სერიოზული სოციალური პრობლემები.

ვინ არიან ეს ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა? როგორია მათი სოციალური წარმოშობა და ზნეობრივი ავლადიდება? ე ს ი ყ ო მ ა შ ი ნ დ ე ლ ი თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ უ ლ ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს ნ ა ღ ე ბ ი. როდესაც ავტორი აგვიწერს კუდაბზიკას გარეგნობას, აქ მკითხველი უკვე ხვდება, თუ რა როლი შეუძლია ითამაშოს მან სოციალურ ცხოვრებაში.

„კუდაბზიკა იმერულათ იყო გამოწყობილი. მარდი და მეტიჩარა. ასეთი ამაყი და უკადრისი რამ იყო დალოცვილი, ტყუილა ცერი, რომ გეჩვენებინა, ერთ ადლზე შეხტებოდა. ასეთს გახრეკილ ცხენზე იჯდა, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არა იყო რა, სწორედ წყალში ამოწუმპულ ვირთაგვას ჰგავდა". ამის შემდეგ ავტორი საუკეთესოდ ახასიათებს კუდაბზიკას: მისი მატერიალური შესაძლებლობა მას არ აძლევს ისეთ ამაყობის უფლებას, მაგრამ ის მაინც ცხვირს მაღლა იწევს და გლეხურად ჩაცმულ ადამიანს გვერდზე არ ეკარება. ამ აზნაურულ წრეებში ადამიანს ტანსაცმელით იცნობენ, მათთვის მკერდზე დაკიდებული ჩინი ყველაფერია.

ეს იყო თავის დროზე გამანადგურებელი სატირა აზნაურთა ბუდეების წინააღმდეგ, სადაც პედანტობით გამსჭვალული მეშჩანინები ჩხირკედელაობდენ ვითომ საქვეყნო საქმეებზე. გ. წერეთელმა ამ ნაწარმოებით მძლავრი იერიში მიიტანა ქართულ ლიტერატურაში იმ ფრთის წინააღმდეგ, რომელიც მიმავალ წოდების ყოფა-ცხოვრებაში მხოლოდ დადებით მხარეებს ამჩნევდა და მათს იდეალიზაციაში ალამებდა დღეებს. დაფეთებული აზნაურობა დაეძებდა ჩინოვნიკის კაკარდას; მიუხედავათ იმისა, რომ ახალმა სოციალურმა მოძრაობამ გააკტრა აზნაურობა, ბევრი ჯერ კიდევ მის ძიებაში იყო გართული.

გ. წერეთლის მიმოხილვებში გამოყვანილია მედუქნის პროფესიის სპეციალისტი, რომელიც თურმე თავადის ნაბიჭვარი ყოფილა და ამიტომ აზნაურობის ძიება დაუწყია.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია აშკარა ანტირომანტიული და ანტისანტიმენტალური ტენდენციებით. ამ მხრივ მას შეიძლება გვერდში ამოუყენოთ დავით კლდიაშვილის მხატვრობა. გ. წერეთელი ძლიერ მოწინააღმდეგეა აზნაურული ესთეტიზმისა. ის აშიშვლებს ყველა ამ ჩიკოლიკებს და მკითხველის თვალწინ შლის ფეოდალური ამაყობის შიგნით დაფარულ საცოდავობას. მათი მედიდური უვიცობა არის აშკარა დამახასიათებელი თვისება, რომელიც მჟღავნდება ყოველ ფეხის გადადგმაზე. მათი ფრაზეოლოგიური ლაყბობა დაცილებულია ყოველგვარ საქმის მოყვარულობას. გ. წერეთლის აზრით ეს ტიპები არიან სიმბოლო მაშინდელი ინტელიგენციისა.

„ჩემი ჯორი მეტად გაუწვრთნელი რამ სულიერი იყო, მოგვითხრობს გ. წერეთელი, იმისთანა ზანტი ნურც მინახავს კამბეჩი ქიზიყისა. ასეთი თავისნება იყო, რომ თუ აზრში არ მოუვიდოდა, იფნის ჯოხიც ფეხს ვერ გადაადგმევინებდა: ეს იყო პირდაპირ იმ

ძველი კაცისთანა, რომელსაც არც დიდ გა-
ნათლება მიუღია და არც ისე დარჩენილა სულ
უარაროთ; ყოფილა პირველთაგანი იმ დროს,
როდესაც უკანასკნელები პირველობდენ, რო-
დესაცამ პირველობაში უკანასკნელს თავი გასვლია, მომეტებული პა-
ტივის დაყრით კანი გაუსქელებია, უგუნურების ნიშანი გონიერებათ
შესცვლია რაც უნდა უთხრა, მაინც თავისას არ
იშლის".

მთელ ნაწარმოებში ასეთი მახვილი ადგილები ძლიერ ბევრია. გ. წერეთელი ამით არ კმაყოფილდება, იგი აგვიწერს ჩიკოლიკების თეორიულ ბაგაჟს, აქაც იგივე უსაფუძვლობა, კონსერვატიზმი, გაუგნებლობა და რეტროგრადული რუტინა გვხვდება. ამან აამხედრა გიორგი წერეთლის წინააღმდეგ მაშინდელი ინტელიგენცია, რომელიც ფილისტერობის ჭაობში ღრმად ჩაფლული კმაყოფილდებოდა ტახტზე გორაობით და სხვა ყველაფერი ფეხზე ეკიდა.

გ. წერეთელი იცნობს გლეხობასაც; ამ ნაწარმოებში მას გამოჰყავს ზოგიერთი გლეხები და საკმაო ოსტატობით გვიშლის თვალწინ გლეხის კონსერვატიულ ბუნებას; გლეხს არ სჯერა ბატონყმობის გადავარდნა, ბევრი მათგანი პირიქით იცავს დახავსებულ ფეოდალიზმს. ინტელიგენციის ერთი ნაწილი ჯერ ისევ ფეოდალიზმის თაყვანისცემას განაგრძობდა, „რომელსაც ძირები ჰქონდა დამპალი, გული გამოხრული, მაგრამ უნიავო, უქარო დღეში იდგა, ტოტები შორს ჰქონდა გადაშლილი".

დაწვრილებით „მგზავრის წერილების" შესახებ აქ ველარ გავჩერდებით. ამ მხატვრულ ფაქტის მთავარი ღირსება მდგომარეობს მის მებრძოლ განწყობილებაში.

სულ სხვაა „პირველი ნაბიჯი", აქ სოციალური ფონიც გაცილებით ფართოა, ჟანრის მხრივ ბელეტრისტიკის ხერხებითაა აგებული და მიზნად აქვს გადმოგვცეს კაპიტალიზმის ზრდის პროცესი საქართველოში. უნდა ითქვას, რომ „მგზავრის წერილებში" მოცემულია მთელი რიგი ტიპები, მაგრამ ეს ტიპები შედარებით ბასვა ფულავასთან და „პირველი ნაბიჯის" გმირებთან უფრო მკრთალათ გვეჩვენებიან. ეს ბუნებრივია: მოგზაურობის მიმოხილვის პროცესში ძნელი იყო ადამიანის კონკრეტიული თვისებების კონცენტრაცია ერთ წერტილში; ამის გარეშე კი შეუძლებელია ტიპის მიღება; ბელეტრისტიკა უფრო მეტს გასაქანს იძლევა.

ამის კონკრეტიული მაგალითია გ. წერეთელის ვრცელი რომანი „პირველი ნაბიჯი“.

„პირველი ნაბიჯი“ ვრცელი სოციალური რომანია; ამ სოციალურობაშია მისი ძლიერ აქტუალური ხასიათი; გიორგი წერეთელმა იცოდა, რომ მსუბუქი ჟანრის ესკიზებით შეუძლებელი იყო სოციოლოგიური ეპოქის მხატვრული ჩვენება. ტრადიციულათ რომანის მოქმედების მთავარი ფაქტორი უნდა ყოფილიყო სასიყვარულო ინტრიგები და ამ ნიადაგზე აღმოცენებული დრამატიული კონფლიქტები; ვაჟს შეუყვარდებოდა ქალი, დაიწყებდა მზეთუნახავი მთვარეების და უძილო ღამეების თაყვანისცემა, შემდეგ ქალს ან სხვა შეუყვარდებოდა; ან ვაჟი ბრძოლის ველზე დაეცემოდა სამშობლოსათვის გულგანგმირული, გაჩნდებოდა ისევ მესამე ვინმე, რომელსაც ქალი ან შეიყვარებდა და ან უარყოფდა. პირველ შემთხვევაში მწერალი დაიწყებდა გოდებას, რომ ეს ქვეყანა ცბიერია, ხოლო მეორე შემთხვევაში ის აღფრთოვანებული ქალის გამძლეობით სიხარულის ცრემლებით დაამთავრებდა რომანს.

ასე იწერებოდა რომანები... ეს ტრადიცია გაბედულათ დააღღვია გიორგი წერეთელმა „პირველი ნაბიჯით“, ამ რომანში მოქმედების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი არის სოციალურ ცხოვრების სფეროში მომხდარი გარდატეხები: ოჯახი არის საზოგადოების შიგნით არსებული პატარა უჯრედი.

რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი გარდატეხა ამ უჯრედზე? აი ეს არის მთავარი თემა ხსენებული რომანისა. კლასიკური რეალიზმის ეს თვისება აუცილებლათ უნდა გადმოიღოს პროლეტმწერლობამ.

გლეხობის წრიდან იზრდება პირველი კაპიტალისტი ბახვა ფულავა. ის სხვადასხვა გზებით დააგროებს დიდ ფულს და ეს ისტორიული წურბელა თანდათან იზრდება, იგი გზადაგზა ხვდება წინააღმდეგობას ფეოდალიზმის ნაშთებისა, რომლის წარმომადგენლათ რომანში გვხვდება ი ე რ ე მ ი ა წ ა რ ბ ა.

გიორგი წერეთელი დიდი თანაგრძნობით ეკიდება ბახვა ფულავას. შეჰხარის მის ყოველ ნაბიჯს და გამარჯვებულ ქართველ ვაჭარს გზას უხსნის ახალ მოქმედებისაკენ.

ბახვა კაკლის კუნძებით ვაჭრობს:

„დაბინდდა. ის იყო ცხენიდან გადმოხტა ბახვა და მისმა ნოქარმაც შემოატანა.

— ოჰ, ბეკოიას გაუმარჯოს!

— ღმერთმა გაცოცხლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორი მუშაობა გაქვს?

— დავიხოცეთ ბატონო! მეტი აღარა ვართ: ზოგან არ არის გზა, ზოგან ისეთი დალმართებია, რომ კუნძი გადმოგვიგორდა, ხარს წელზე დაეცა და წელი მოსწყვიტა.

— კუნძები თუ მაინც კარგი გამოვიდა?

კუნძები კარგებია, ზოგი იმისთანა მსხვილია, თითოს თითო ულელი კამბეჩი ვერ ზიდავს ბარის გზაზე.

. . . . . .

ბახვას გულში იამა ამისთანა სიმდიდრის ხელში ჩაგდება მოასწრო კიდეც ბნელაში ოთხმოც კუნძამდე დათვლა. ეს მთელი სიმდიდრე იყო მისთვის — ჩავიტან თუ არა ამ კუნძებს ფოთში, მაშინვე მივყიდი ბერძნებს, ნახევარ ფასს წინდაწინ გამოვართმევ და მაშინვე ესმაზე დავიწერ ჯვარსაო, — სთქვა გუნებაში და გამხიარულდა".

ამრიგად, როგორც ვხედავთ ბახვა ფულავა ფულის დაგროვებასთან ერთად ემზადება არისტოკრატიული ცხოვრებისათვის. მან შეისყიდა ერთი ძველი თავადიშვილის სახლი, რომელსაც ვალში გაუყიდეს მთელი ქონება და მოაწყო საკუთარ გემოვნების მიხედვით. ამის შემდეგ დაიწყო ოცნება ლამაზ ესმას შერთვის და მდიდრული ტკბილი ცხოვრების შესახებ. ეს ტენდენცია მაშინ ყველას ჰქონდა მოდებული, ამიტომ მწერალი მას რასაკვირველია არ დასტოვებდა მხედველობის გარეშე.

დიდი ხნის ნანატრი არისტოკრატიული ცხოვრება ბოლოს ეღირსა ბახვას, მაგრამ დიდხანს ვერ გაატარა ამ მყუდრო ცხოვრებაში მშვიდობიანი დღეები.

იერემია წარბას ავაზაკურმა მოქმედებამ აუნგრია მეშჩანური ოჯახი და ამ დღიდან ბახვამ მთელი თავისი ქონება იერემიას დევნას შეალია.

ქართულ ბურჟუაზიის პირველი წარმომადგენელის ცხოვრება ტრაგიკულათ დასრულდა.

ამ რომანში მოქმედების მანძილზე გვხვდება სხვა საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელი ხალხიც; ამ მხრივ მთავარია ვალიდა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს მის გარშემო მოკრებილ მუქთახორა ახალგაზრდობის ფუქსავატურ ცხოვრებაში. საუცხოოდ აქვს გადმოცემული გ. წერეთელს არისტოკრატიული ზნეჩვეულებათა გახრწნილების პროცესი, [1]) მათ ბუნაგებში სქესი ბატონობს ყველაფერზე; პოლკოვნიკ ლებოვს საკმარისია ვალიდამ უბრძანოს რაიმე

[1]) ასევეა ახლად გამოქვეყნებულ რომან „გულქანშიც".

საქმის წახდენა, და იგი არ დაიშურებს თავის ძალღონეს ოღონდ ერთი ლამით მაინც ხელში ჩაიგდოს გენერლის შვილობილი. პოლკოვნიკი ლებოვი ტიპიური ფიგურაა ძველი ადამიანისა. ის „ვალიდას ტანს მშვენიერების ღმერთას ვენერისას ადარებდა, ხოლო სილამაზეს და მგრძნობელობას ჰომიროსის მიერ გალექსული ელენესას“.

ამგვარი ქათინაურობით, როგორც ავტორი ამბობს, ლებოვმა „ჩაიგდო ხელში საბურთაოდ ვალიდას მკერდი“, ბოლოს უკვე აღარ მოსწონდა და ახალ ყვავილების ძებნაში იყო გართული.

იერემია წარბას დაწინაურება ბახვა ფულავას ცოლის მკვლელობის შემდეგ ვალიდამ თავის სხეულით შეისყიდა. საერთოდ ამ რომანის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ სრული სიზუსტით მოცემულია სოციალური ტიპების მთელი წყება.

იერემია წარბა წარმომადგენელია ფეოდალიზმის ნაშთებისა, რომელიც სუნთქავს წარსულის ნანგრევთა სურნელებით და აწმყოში ღრმად ჩაფლულია გარყვნილების და სქესობრივი აღვირახსნილობის მორევში. მომავალი მას არ გააჩნია. სამაგიეროდ ბახვა ფულავა თავისი ვაჭრული ფსიქოლოგიით სავსებით კონტრასტიული ტიპია პირველის მიმართ. მისი სოციალური წარმოშობა გლეხურია, მაგრამ შემდეგში იზრდება, ვაჭრობის გზით იძენს დიდ ქონებას.

გ. წერეთლის მეორე დიდი რომანი თითქმის ამავე ფარგლებში ტრიალებს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ იქ მოქმედების დრო გადატანილია უფრო წინა ხანებში. „გულქანში“ ნათლად ნაჩვენებია თავადაზნაურული წოდების მთელი სისაძაგლე, აგრეთვე მასში ნაჩვენებია სავაჭრო კაპიტალის ზრდაც.

„გულქანში“ მკვეთრი რეალისტური ფერებით, ყოველგვარ იდეალიზაციის გარეშე ნაჩვენებია ქალი გულქან, აზნაური სარდიონ ენუქიძე და ბოლოს ახლად წამოზრდილი ვაჭარი პეტრიელა გაწერელია. უნდა ითქვას, რომ ეს რომანი გაცილებით უფრო რევოლიუციონურ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე „პირველი ნაბიჯი“. ამიტომ არის, რომ ყოველ ნაბიჯზე ავტორი არ იშურებს შავ საღებავებს რევაზ ბაკურაძის მოსახაზავად, მას სძულს თავადაზნაურობა, გ. წერეთლის აზრით, „ამ წოდების ოდენა უზნეობა და ქვეყნის გამცემობა არც ერთ წოდებას არ მიუძღვის ჩვენში“.

როგორია გ. წერეთლის შემოქმედების ფორმალური მხარე?

უნდა ითქვას, რომ მას გააჩნია მხატვრული დამოუკიდებლობა, მისი მხატვრული კომპოზიცია საკმაო თავისებურობით ხასიათდება. მისი მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მან ძლიერი იერიში

მიიტანა ლირიკული ესთეტიზმის წინააღმდეგ, რომლის ზეგავლენასაც ვერ ასცდენ თვით ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

კიტა აბაშიძის კრიტიკული რომანსების მიხედვით, გიორგი წერეთელი წარმომადგენელია „გადაგვარებული რეალიზმისა და უფერულ ნატურალიზმისა", იგივე კრიტიკოსი ამტკიცებდა, რომ „გ. წერეთლის ხელოვნური იარაღი მეტად დაჟანგებული და ჩლუნგია", დღეს ამ აზრის უსაფუძვლობის უარყოფა ზედმეტია.

გ. წერეთელს აქვს ფართო სოციოლოგიური გასაქანი, მისი რომანები მაჩვენებელნი არიან იმ ფაქტისა, რომ ავტორის დიდი ერუდიცია, სათანადო ლიტერატურული კვალიფიკაცია თავის დროზე დიდი პროგრესიული მოვლენა იყო.

გ. წერეთელი გარდაიცვალა მეოცე საუკუნის მიჯნაზე (1900 წელს) და დღემდე მის მხატვრულ ფაქტების მიმართ არ შენელებულა საზოგადოებრივი ინტერესი.

ასეთი იყო გ. წერეთლის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის მთავარი შტრიხები.

მხატვრობა და თანამედროვეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„პროლეტარული მწერლობის“ რედაქცია მორიგ ანკეტას აწყობს მხატვრობის შესახებ. რედაქციის მიერ შემდეგი კითხვები იყო დასმული:

1. რამდენათ აისახა საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში ოქტომბრის რევოლიუციის იდეები?

2. შეუწყო ხელი თუ არა ქართველ მხატვართა საზოგადოებამ მხატვართა დაახლოვებას თანამედროვეობასთან?

3. მხატვრების ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში.

4. საჭიროა თუ არა ჩვენში დაარსება რევოლიუციონურ-პროლეტარულ მხატვართა ასოციაციის?

5. სამხატვრო აკადემიის მუშაობა და პერსპექტივა.

ალ. პაპავა

(ხელოვნების მთავარმართველობის უფროსი)

„პროლეტარული მწერლობი“-ს მიერ დასმული კითხვები ჩვენში სახვითი ხელოვნების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ მეტად დროული და აქტუალურია. ბოლოს და ბოლოს დროა შესაფერად მივკიდოთ ხელი ხელოვნების ამ მივიწყებულ ფრონტს.

რამდენად აისახა საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში ოქტომბრის რევოლიუციის იდეები? უნდა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ თითქმის არც ერთი დარგი ხელოვნების ისე ჩამორჩენილი არ არის თანამედროვეობას, როგორც სახვითი ხელოვნება. საქართველოს მხატვრობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა ის გარდატეხა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში უკვე დიდი ხანია მოხდა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი არის ის გამოფენები, რომელსაც მართავს ქართველ მხატვართა საზოგადოება. ამ გამოფენებზე ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ჩვენ მხატვრებს შეგნებული ჰქონდეთ ხელისუფლების წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანები. ზევით დასმულ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ და, აგრეთვე, უნდა დავუმატოთ, რომ ქართველ მხატვართა საზოგადოებამ არ შეუწყო ხელი მხატვრობის თანამედროვეობასთან დაახლოვებას. ქართველ მხატვართა სა-

ზოგადოება აღმოჩნდა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ორგანიზაცია. ამიტომ თუ ჩვენ გვსურს, რომ სახვითი ხელოვნება დავუახლოვოთ თანამედროვე ცხოვრებას, ქართველ მხატვართა საზოგადოებას უნდა დაუპირისპიროთ ახალი ძალა, ახალი ორგანიზაცია. ასეთი ორგანიზაცია ჩემის აზრით, შეიძლება იქნეს საქართველოს რევოლიუციონურ მხატვართა ასოციაცია. ასეთი ასოციაციის დაარსება არამც თუ საჭიროა, არამედ პირდაპირ აუცილებელია. რევოლიუციონურ მხატვართა ასოციაციის შექმნა, რასაკვირველია, არ გულისხმობს ქართველ მხატვართა საზოგადოების ლიკვიდაციას, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულმა საზოგადოებამ ვერ გადაჭრა მხატვრობის წინაშე დასმული ამოცანები, აუცილებლივ საჭიროა მოწინავე ძალების დარაზმვა მხატვრობაში რევოლუციის მოსახდენად. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამ მხრივაც ძალიან ჩამოვრჩით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, სადაც უკვე დიდი ხანია არსებობს რევოლიუციონურ მხატვართა ასოციაციები.

მხატვრობის წინაშე, ამჟამად, რეკონსტრუქციის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები დგას. ძირითადი ამოცანა სახვითი ხელოვნებისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი რაც შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდეს წარმოებას; ძირფესვიანათ შემცდარია აზრი, თითქოს სოციალისტურ მშენებლობის პირობებში სახვითი ხელოვნება ვერ პოებს შესაფერ გამოყენებას. ამჟამად, როცა ჩვენში არა ჩვეულებრივი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა, როცა შენდება ახალი ფაბრიკები, ქარხნები, მუშათა სახლები, კლუბები — სახვით ხელოვნებას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს. განსაკუთრებით ბევრის გაკეთება შეუძლია მხატვრობას საფეიქრო მრეწველობაში. მხოლოდ წარმოებასთან მჭიდრო კავშირით შეიძლება გახდეს სახვითი ხელოვნება მასების ჭეშმარიტ ხელოვნებათ. მშრომელ მასების მონაწილეობის გარეშე დღეს არავითარი მშენებლობის წარმოება არ შეიძლება. მშრომელ მასებს მოწყვეტილი ხელოვნება ჩვენთვის ხელოვნება არ არის. მხატვრობამ უნდა დააკმაყოფილოს მუშურ-გლეხურ მასების მოთხოვნილება, უნდა აღზარდოს ეს მოთხოვნილება, უნდა შექმნას პირობები, რომლის დროსაც მუშურ-გლეხური მასები კიდევ უფრო დიდ მოთხოვნილებებს წაუყენებენ ხელოვნებას. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა მივცეთ მასალები და სამუშაო სახვითი ხელოვნების იმ მუშაკებს, რომლებიც გაიმსჭვალებიან თანამედროვე ამოცანებით, გიგანტური მშენებლობით. მხატვრებს შორის უმუშევრობის აღმოსაფხვრელად, მათ წასახალისებ-

ლად და, რაც მთავარია, სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის, აუცილებლივ უნდა შემოღებულ იქნას სოციალური დაკვეთის სისტემა. ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა. ჩვენ კი უნდა შევძლოთ სოციალური დაკვეთის პოლიტიკის გატარება. ამისათვის უნდა გამოთხოვილი იქნას შესაფერ ორგანოებიდან საჭირო თანხა, რათა ჩვენ საშუალება მოგვეცეს შევიძინოთ მუშათა კლუბებისათვის, პროფორგანიზაციებისათვის სხვადასხვა სურათები, ქანდაკებანი, მხატვრული ნაწარმოები და სხ. ამ საქმეში ჩვენ უნდა მჭიდრო კავშირში ვიყოთ პროფკავშირებთან, რომელთა აქტიური დახმარებით შეიძლება ამ ამოცანის გადაჭრა.

აქვე რამოდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მუზეუმების შესახებ. ჩვენი მუზეუმის კარები დღეს გამოკეტილია მუშურ-გლეხურ მასებისათვის. მუზეუმი სხვადასხვა იშვიათი ნივთების საწყობად კი არ უნდა გადაიქცეს, არამედ ისინი უნდა ემსახურებოდენ სოციალიზმის მიზნებს, ისინი უნდა ხელს უწყობდენ სახვითი ხელოვნების გავრცელებას მასებში. მუზეუმები, რომელიც ეხება ხელოვნებას და ყოფა-ცხოვრებას — უნდა გახდენ საზოგადოებრივი მოძრაობის ცენტრად მხატვრობის, ქანდაკების და სხ. სფეროში. „ხელოვნება მასებს"; „მჭიდრო კავშირი წარმოებასთან" — ამ ლოზუნგების ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს მხატვართა მუშაობა ჩვენში.

რაც შეეხება სამხატვრო აკადემიის დღევანდელ მდგომარეობას უნდა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ იგი წარმოადგენს მართლაც აკადემიას ამ სიტყვის უარეს მნიშვნელობით. სამხატვრო აკადემიასა და მიმდინარე ცხოვრებას შორის ჩინური კედელია აღმართული. აკადემია დღემდე ის „უპატრონო ეკლესიაა, რომელსაც ეშმაკები დაეპატრონენ". ჩვენ უნდა დავარღვიოთ ეს ჩინური კედელი და განვდევნოთ იქედან ის „ეშმაკები". აკადემიაში, დღეს არაფერი არ კეთდება. (მცირე გამონაკლისს წარმოადგენს ხუროთმოძღვრების ფაკულტეტი) უკეთ რომ ვთქვათ, იქ კეთდება ჩვენი საზიანო საქმე. ეს არის იმ აღმაშფოთებელი უყურადღებობის და ყოვლად უვარგისი ხელმძღვანელობის შედეგი, რომელსაც დღემდე იჩენდა განსახ. კომისარიატი და აკადემიის შინაგანი ხელმძღვანელობა. ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ „ქრისტეს" მოყვარულთა მხატვრების თარეშს აკადემიაში. ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მათ ვერ მივანდობთ. რასაკვირველია, აკადემიაში არიან ისეთებიც, რომლებიც ჩვენთან, თანამედროობასთან, სოციალისტურ მშენებლობასთან არიან და სწორედ მათ უნდა მივცეთ სა-

შუალება ახალი ძალების დახმარებით ჯანსაღ საფუძველზე დააყენონ ახალი კადრების მომზადების საქმე.

სამხ. აკადემია მოითხოვს ძირფესვიან რეორგანიზაციას. ის უნდა გადაიქცეს უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად. უნდა გამოინახოს მატერიალური ბაზა სამხატვრო ტექნიკური ინსტიტუტის წარმატებითი მუშაობისათვის, — თორემ ამ სახით სამხ. აკადემიის დატოვებას, მისი სრული ლიკვიდაცია სჯობს. ჩვენი ამოცანაა ყველგან, ყველა უმაღლეს ორგანოებში დავსვათ ეს საკითხი და რაც შეიძლება დაჩქარებით მოვახდინოთ სამხატვრო აკადემიის გადაქცევა უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად.

დავით კაკაბაძე

(მხატვარი)

თქვენ მიერ მოწყობილ ანკეტაზე თანამედროვე მხატვრობის შესახებ, გაცნობებთ შემდეგ მოსაზრებებს:

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლიუციის იდეების ასახვა საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში არ არის საკმარის დონეზე აყვანილი. ის ცდები, რომელსაც მოწმობს ზოგიერთი მხატვრების ნაწარმოები, არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან მხატვრულ ფაქტორს, ვინაიდან მათი მხატვრული ფორმა სუსტია. ახალი იდეები საჭიროა გამოსახული იქნეს შესაფერ, დამაჯერებელ, სრულ მხატვრულ ფორმებში და მხოლოდ მაშინ ნაწარმოები გახდება მნიშვნელოვანი ელემენტი თანამედროვე ცხოვრებისა.

ოქტომბრის იდეების ასახვა აუცილებლად მოითხოვს მხატვრების დაახლოვებას თანამედროვეობასთან. უამისოდ ეს შეუძლებელია. ქართველ მხატვართა საზოგადოების მიზანს არ შეადგენდა ეს ამოცანა. საზოგადოება დაარსებულია 1914 თუ 1916 წელში. ეს იყო პირველი ცდა საქართველოს მხატვრების პროფესიონალური გაერთიანებისა უმთავრესად გამოფენების მოწყობით. დღემდე ეს საზოგადოება დარჩა ამ სახით. მხატვრული მიზნობრივობა, თანამედროვე მხატვრობის ამოცანების გარჩევა — ქართველ მხატვართა საზოგადოებას არ ჰქონია. არ შეიძლება ისიც ითქვას, რომ დაინტერესებული საბჭოთა ორგანოები აქცევდენ ჯეროვან ყურადღებას საზოგადოების საქმიანობას.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ჩვენ მხატვრობას ემჩნევა საგრძნობრივი წინმსვლელობა, რომელიც, სხვათაშორის, ისახება იმაშიც, რომ დღეს არის მოთხოვნილება მხატვრულ რიგების სხვადასხვა გადაჯგუფებისა. ამიტომ შესაძლებელი ხდება, რომ ჩვენში დაარსდეს რევოლიუციონურ-პროლეტარულ მხატვართა ასოციაცია, რომლის მიზანი იქნება თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა.

ჩვენი მხატვრობის ერთ დიდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამხატვრო აკადემია, მიუხედავად სამოსწავლო გეგმის მრავალ დეფექტებისა. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიის სამოსწავლო გეგმის რაციონალურად დაყენებას. თუ ეს შევძელით, მაშინ აკადემია მოგვცემს მომავლისათვის ჯეროვანად მომზადებულ კადრებს.

აპალონ ქუთათელაძე

(მხატვარი)

„ხელოვნება მასებს" — აი დებულება, რომელიც დიდი ხანია წამოყენებულია მუშათა კლასის იდეოლოგთა მიერ. ხოლო მისი განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა ბურჟუაზიულ წესწყობილებით შექმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობის და მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობის გამო. საბჭოთა მუშაკებს დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ, რომ დაენახებინათ კონსერვატიულათ განწყობილ ხელოვნების მუშაკთათვის და კერძოდ მხატვრებთათვის, რომ ახალი ძალა, ახალი იდეების მატარებელი, ადამიანთა და საგნის შორის ურთიერთობის დასამყარებლად გამონახულიყო საერთო ენა ხელისუფლების და მხატვართა შორის.

ოქტომბრის რევოლიუციამდე საქართველოში რამდენიმე მხატვარი მოიპოვებოდა. ოქტომბრამდე საქართველოში სახვითი ხელოვნების სიმდიდრეს ორი თუ სამი მხატვარი წარმოადგენდა. რაც შეეხება ოქტომბრის შემდეგ იწყება ზრდა მხატვართა კონტიგენტისა, რომლის რიცხვი დღეს საქართველოში მნიშვნელოვანია. ხელოვნების კავშირის აღრიცხვის მიხედვით პროფესიონალურად მომზადებული მხატვრები ორასზე მეტია, რაც შეეხება მომავალ ახალგაზრდობას, რომლებიც სამხატვრო მუშფაკში და აკადემიის კედლებში იზრდებიან, მათი რიცხვი ოთხასს აღემატება: აი ეს რიცხობრივი ზრდა ხე-

ლოვნების მუშაკებისა ოქტომბრის შემდეგ. უდავოა, რომ ოქტომბრის შემდეგ ხელოვნება მასიურ ხასიათს იღებს.

არსებითად ოქტომბრის შემდეგ დაარსდა ქართველ მხატვართა საზოგადოება, რომელიც მანამდე ისეთ უსუსურ მდგომარეობაში იყო, რომ მისი არსებობა მხოლოდ ორმა თუ სამმა მხატვარმა იცოდა, რომლებიც წარმოადგენდენ მის სრულ კონტიგენტს. ოქტომბრის შემდეგ, როგორც ვიცით გაიზარდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, როგორც რიცხვით ისე მისი მხატვრული კვალიფიკაციით, რომელიც წარმოადგენდა ორგანიზაციას. მაგრამ აქ მინდა დავსვა საკითხი, შეუწყო ხელი თუ არა ქართველ მხატვართა საზოგადოებამ დაახლოვებას თანამედროვეობასთან?

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალი ეპოქის იდეოლოგიასთან დაშორებულ გამოფენებს, რომელსაც საზოგადოება სისტემატიურად მართავდა ორი თუ სამი სიუჟეტიან ტილოების გამორევით, მთელი მისი მუშაობა გამოიხატებოდა კარჩაკეტილ ინდივიდუალურ უსისტემო საქმიანობაში, რომელიც დაცილებული იყო თანამედროვე ორგანიზაციის ფორმასთან, იდეოლოგიასთან და ეპოქასთან. პრინციპები და მოთხოვნილებანი, რომელიც წარმოშვა კულტურულ რევოლიუციამ არამც თუ გამოიყენა საზოგადოებამ თავის მუშაობაში, არამედ მრავალი წევრებისაგან წაუკითხველიც დარჩა ძირითადი მისი ლოზუნგები. თუ ეს სინამდვილეს არ წარმოადგენს, როგორ შეიძლებოდა ასეთი დიდი ჩამორჩენილობა თანამედროვე საკითხებიდან, რომელიც გარს არტყია დღევანდელ აღმშენებლობის ხანას. მხატვართა საზოგადოება კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რომ ზრუნავდა წევრს მიეღო გამოფენაზე მონაწილეობა და არ გამორჩენილიყო კატალოგში გვარების სიას. უბედურება ისიც იყო, რომ ბევრმა არ იცოდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო მხატვრის მიერ ამ ტრადიციული მოვალეობის გადახდის გარდა. მაგ., ბევრისათვის გაუგებარი რჩებოდა: საჭირო იყო თუ არა სანამ მხატვარი ტილოს დაამუშავებდა ან რომელიმე თემას აიღებდა, მას შეესწავლა დღევანდელი მოთხოვნილების პრინციპები სრული ორგანიზაციული და საღი გაგებით.

პრაქტიკული ნაბიჯები, თუ როგორ ჩაბმულიყვნენ მხატვრები რევოლიუციის აღმშენებლობითი ფერხულში, საზოგადოებას არასდროს არ განუხილავს.

თუ ეს საზოგადოება კულტურულ მიზნებს ვერ ანხორციელებდა, რადგან ის თანამედროვეობისაგან ძლიერ დაცილებული იყო, ის ამავე დროს ვერც ეკონომიურ საკითხებში ერკვეოდა, რომ დაკავშირებოდა დღევანდელ ინდუსტრიალურ მრეწველობა-მშენებლობას,

რათა მას ალლო აელო და სწორი ასახვით მოენახა იდეური და მატერიალური ბაზა თანამედროვე სახვითი ხელოვნებისათვის. საჭირო იყო ზრუნვა, არა მარტო წმინდა ხელოვნებაზე, არამედ მისი გამოყენებით მიმართულების განვითარებისთვისაც.

კარჩაკეტილობა, ინტიმური და იდეალისტური მიდგომა ხელოვნებისადმი — აი მხატვართა საზოგადოების დამახასიათებელი თვისებები.

ანალოგიური აზრი შეიძლება გამოითქვას საქართველოს სამხატვრო აკადემიის შესახებაც თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ საინტერესო ცდებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აკადემიაში უკანასკნელ ხანებში, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრებაში აკადემიამ ვერ შესძლო განხორციელება იმ პროექტების და იდეებისა, რომელიც თანამედროვე სისტემით და მეთოდით იყო განზრახული.

რისთვის არის ასეთი მდგომარეობა სახვითი ხელოვნების დარგში საბჭოთა საქართველოში? ცხადია, ბურჟუაზიულ და პროლეტარულ იდეოლოგთა შორის არის დიდი განსხვავება. მსოფლიოში ორი დიდი წერტილია ამ იდეოლოგიათა განვითარებისა. ერთი პარიზი — ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ცენტრი, რომლის მუშაობა-საქმიანობა არის აგებული ბურჟუაზიულ ხერხებზე და პრინციპებზე, მეორე კი მოსკოვი, რომელიც ცენტრია თანამედროვე პროლეტარული იდეოლოგიისა. ამ უკანასკნელის მთელი საქმიანობა განსხვავდება პირველისაგან როგორც ხერხებით ისე პრინციპებით, რადგანაც უკანასკნელს აქვს ამოცანად, რათა შექმნას ალი და ახალი სახე სახვითი ხელოვნებისა, რომელიც შესძლებს სწორად ასახოს თანამედროვე ეპოქა და შექმნას ახალი სტილი ეპოქისა. თუ პირველს ახასიათებს უმთავრესად ინტიმობა, ინდივიდუალობა, ხელოვნება ხელოვნებისათვის — უკანასკნელს კი ახასიათებს ხელოვნება მასებს, კოლექტიური შემოქმედება. აი, რა დიდი განსხვავება არის ამ ორ ბანაკს შორის.

ქართველ მხატვართა უმეტესობა პირველ ბანაკთან უფრო ახლოიდგა აქამდე.

რა არის საჭირო დღევანდელ რეკონსტრუქციის პერიოდში?

დღევანდელი ჩვენი მშენებლობა მოითხოვს არა კარჩაკეტილ მუშაკს, არამედ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც თავისი ცოდნით ჩაებმება ქვეყნის მშენებლობაში, მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მუშაობაში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს. მხატვრობამ უნდა მიიღოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სახე, რათა ჩაებას რევოლიუციის ფერხულში. მხატვარმა უნდა შეისწავლოს მშრომელი მასის კულტურული დონე, რომ ხელი შეუწყოს მის განვითარე-

ბას, რაზედაც მან უნდა გამოიყენოს ძველი ხელოვნების კულტურული მიღწევები. აწარმოოს კვლევა-ძიებები, ცდები, რომ გამონახოს ხელოვნების ის ფორმები, რომელიც დაუსახა რევოლიუციამ სახვითი ხელოვნებას. მხატვარმა უნდა აიღოს ინიციატივა, დაეხმაროს მშრომელ ხალხს, მის მშენებლობის აღორძინებას. მოაწყოს მუშათა კლუბები, სასახლეები, ქოხ-სამკითხველოები, დემონსტრაციები და სხვ. მხატვრები უნდა გაეცნონ დღის წესრიგში მდგომ უდიდეს საკითხებს (ხუთწლიანი გეგმა). მხატვრებმა უნდა გამოყონ თავის რიგებიდან მუშაკები, მწარმოებლები, საზოგადო მოღვაწენი და კრიტიკოსები, რათა ხელი შეუწყონ სახვითი ხელოვნების საქმიანობას.

ყველა ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა საბჭოთა საქართველოში დაარსდეს საქართველოს რევოლიუციონურ მხატვართა ასოციაცია, რომელიც დაისახავს ოქტომბრის ამოცანებს, სახვითი ხელოვნების მიმართ, შექმნის დიდ ორგანიზაციას, რომელიც არ იქნება დაცილებული თანამედროვეობასთან და მის იდეოლოგიასთან.

შ. დუდუჩავა

(უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ სახელოსნოების რექტორი)

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია არ განისაზღვრება მარტო მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის სტრუქტურის შეცვლით. რეკონსტრუქციის პერიოდი შეიცავს როგორც ამ უკანასკნელ მომენტს, ისე ადამიანური ელემენტის, ადამიანის ფსიქოლოგიურ რეკონსტრუქციის მომენტსაც. ამ პირობებში უმაღლესი სამხატვრო ტექნიკური ინსტიტუტის (ყოფ. სამხატვრო აკადემია) ამოცანები გარკვეულია: ის უნდა ემსახურებოდეს როგორც მრეწველობას, ისე ახალ ყოფა-ცხოვრების შექმნის პროცესებს. სახლი-კომუნები, საფეიქრო ნაწარმოები, წიგნის კულტურა, ქალაქის სოციალისტური დაგეგმვა, შინაური ავეჯი და სხვ. — აი ძირითად ინსტიტუტის სწავლების თემატიკა. ეს გარემოება თხოულობს ძირითად რეორგანიზაციას როგორც ფერთა წერის, ქანდაკების გრაფიკის, ისე სახუროთმოძღვრებო ფაკულტეტის ძირეულ გადახალისებას. საზოგადო ხელოვნებას როგორც ფერთა წერაში, ისე ქანდაკებაში უნდა დაურჩეს მხოლოდ ელემენტარული ტექნიკის შესწავლის მნიშვნელობა. პირ-

ველმა უნდა ემსახუროს ხუროთმოძღვრებას (სკულპტურული დამუშავება სამოქალაქო შენობების), ხოლო მეორე უნდა წავიდეს საფრესკო მხატვრობის განვითარების გზით, ვინაიდან ფრესკა უფრო გამოსადეგია კომუნალურ სახლებისათვის, ვინემ სადაზგო მხატვრობა. ამასთან ერთად სათეატრო დეკორატიულმა მხატვრობამ უნდა გაითვალისწინოს თეატრის ახალი არხიტექტურის და ახალი თემატიკის პრობლემები.

ხუროთ-მოძღვრება, როგორც დამოუკიდებელი მხატვრობა, ისტორიას ჩაბარდა. ის უნდა დაუკავშირდეს მშენებლობის ეკონომიკისა და ტეხნიკის საქმეს. პოლიგრაფია უნდა ემსახუროს ყოველმხრივ წიგნის კულტურას და საზოგადოთ მთელ პოლიგრაფიულ მრეწველობას.

კერამიკის სფერო — სილიკატების მრეწველობაა.

ასეთ გზაზე უკვე შესდგა ჩვენი სამხატვრო ტეხნიკური ინსტიტუტი. თავისთავათ ცხადია, ასეთი კურსის პრაქტიკული განხორციელება თხოულობს პროფესორების შერჩევას და რეაქციონურ ხელმძღვანელების ჩამოშორებას საქმიდან. ეს კი ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს ახალგაზრდა კადრების მომზადების სწრაფი ტემპის აუცილებლობას.

ვლ. კეშელავა

(მხატვარი)

უნდა ვაღიაროთ აშკარად, რომ დღემდის საქართველოს თანამედროვე მხატვრობის შემოქმედებაში ოქტომბრის რევოლიუციის იდეები არ განსახიერებულან.

უწყობდა თუ არა ხელს თვით „ქართველ მხატვართა საზოგადოება“ ამ იდეების განხორციელებასა და მხატვრების დაახლოვებას თანამედროვეობისადმი? რასაკვირველია, არა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ქართველ მხატვართა საზოგადოება ემსახურებოდა სხვა „მიზნებს“ და სხვა „ამოცანებს“. ამ „საზოგადოები“-ს ხელმძღვანელებმა ხელოვნური „ჩინური“ კედლით შემოზღუდეს იგი და ყოველმხრივ უღობავდენ გზას ამ „სამღვთო კედელს“ იქით ახალი იდეების, ფორმათა და მიმდინარეობათა შეჭრას. ყოველგვარი მეცადინეობა ამ მიმართულებით ზოგიერთი მხატვრების მხრივ, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ჰქონდათ გულწრფელი სურვილი ფეხდაფეხ გაჰყოლოდნენ თანამედროვეობას და, რომელნიც დასახული ამოცანების განსახორციელებლად ერთგვარი გამბედაობით სწერდენ და მოჰქონდათ გამოფენაზე რევოლიუციონურ თემაზე შესრულებული სურათები, — ქართველ მხატვართა საზოგადოების ხელმძღვანელთაგან ვერავითარ დახმარებასა და თანაგრძნობას ვერ პოულობდენ. სწორედ აქედან იწყება ხანგრძლივი, უსწორო ბრძოლა „ძალაუფლების მქონე" ხელმძღვანელებთან, ამიტომ არც გასაკვირალია, რომ ეს ბრძოლა გათავდა... ქართველ მხატვართა საზოგადოებიდან მისი ყველაზე უფრო მოწინავე ნაწილის — ახალგაზრდა, შემოქმედებით სავსე, რევოლიუციონურად განწყობილ მხატვრების „გაქცევით". საბჭოთა საზოგადოებრივობის მოვალეობაა — დაუყონებლივ აღმოუჩინოს დახმარება ამ „გაქცეულებს", რომელთაც აქვთ გულწრფელი სურვილი შეკავშირდენ და ჩამოყალიბდენ „საქართველოს რევოლიუციონურ პროლეტარულ მხატვართა ასოციაციის" სახით.

რა ამოცანები დგანან ახალი „ასოციაციის" წინაშე რეკონსტრუქტიულ პერიოდში? ეს ამოცანები ძალიან დიდია. ჩვენ კარგად ვხედავთ და ვიცით, რომ ჩვენს თეატრებს, კინოს, მუზათა კლუბებს — ყოველივე ამათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ჩამოშორდენ ძველ ფორმებს; მათში ძალიან ცოტაა ძიება, მათში ჯერ კიდევ ჰყვავის „მეშჩანური მხატვრული გემოვნება", მოხერხებულად და მოხდენილად რომ უყენებენ „თანამედროვეობას", — აქედან ხშირად გამომდინარეობს ყოვლად საძაგელი ხალტურა, რომელსაც ღრმად აქვს ფესვი გადგმული. ამასთან ერთად, ჩვენ არ მოგვეპოება, დღემდის ადგილობრივ ენებზე გასაგები პლაკატები (რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს), რომელიც რეკონსტრუქტიულ პერიოდში ფართე მშრომელ მასების ცხოვრებაში ვეებერთელა როლს თამაშობს; ჩვენი წიგნი ჯერ კიდევ ვერ გვაკმაყოფილებს გამოცემის მხრივ (ვგულისხმობთ მხატვრულ გაფორმებას) და ამ მხრით ძალიან შორს დგას რუს. სოც. ფედ. რესპუბლიკისაგან; და ბოლოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რომელზედაც ჩვენ ასე ბევრს ვლაპარაკობთ, და რომელშიაც ჯერ კიდეკ ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ძველს, საუკუნოებრივ ტრადიციებს — „ადათებს", რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია თავიდან.

აი, დაახლოვებით, მოკლეთ, ყველა ის გამოსავალი პუნქტები, სადაც და საიდანაც საქართველოს რევოლიუციონურ პროლეტარულ მხატვართა ასოციაციამ საქართველოს პროლეტარულ მწერლების ასოციაციასთან მჭიდრო კავშირით დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს

გადამწყვეტი ბრძოლა ახალი ადამიანისა და ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის.

რას წარმოადგენს ამ ჟამად საქართველოს სამხატვრო აკადემია? ეს არის „იმპერიის ნამსხვრევი“ ამ სიტყვის სრული გაგებით. იგი მოწყვეტილია თანამედროვეობას; ოქტომბრის რევოლიუცია მას თითქმის არ შეხებია იმიტომ, რომ მისი ორგანიზაცია სავსებით მინდობილი ჰქონდა ისეთ ხალხს, რომელიც ძველი რევოლიუციამდი არსებულ იდეებით სცხოვრობენ, რომელთაც რევოლიუცია სრულებით არ შეხებიათ. კონსერვატიზმი და შეხედულებათა სიძველე საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტრუქტურის საკითხებისა, სწავლებისა, მეთოდებისა და პროგრამის მხრით — აი რა ჰყვაოდა ძველი პროფესორების უმრავლესობის შორის. უმცირესობას კი, რომელთა წრეში შედიოდენ უფრო ახალგაზრდა მასწავლებლები, გადამწყვეტ დროს, როცა, მაგალითად, ირჩეოდენ საკითხები საქ. სამხ. აკედემიის სტრუქტურის შეცვლისა და ძველი აკადემიური „ტრადიციები“-ს მოსპობის შესახებ — გასაკვალი არ ჰქონდა, ვინაიდან ყოველივე ამას ძირშივე ჰკლავდენ და ანადგურებდენ „სახელიანი“ პროფესორების გავლენით. ამასთანავე ერთის მხრით საქართველოს განათლების კომისარიატისა და მთავარ სახელოვნო კომიტეტისაგან ყოველგვარი ხელმძღვანელობისა და კონტროლის უქონლობა, და, მეორეს მხრით, გულგრილი (ხანდახან პირდაპირ ბოროტმოქმედებამდის დასული), მოუხერხებელი, ყოველგვარი სისტემისა და გეგმის გარეშე („შემთხვევიდან — შემთხვევამდის“) „ხელმძღვანელობა“ უშუალო ხელმძღვანელობის მხრივ რექტორების სახით (თუ გნებავთ პროორექტორების სახითაც!) — საქართვ. სამხატვრო აკადემიას მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ყოველივე ამან საქ. სამხ. აკადემია მიიყვანა იმ სამწუხარო მდგომარეობამდის, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მის მრავალ ფაკულტეტზე. სამხ. აკადემიის ამ ჟამად არსებულ ფაკულტეტებთან: არქიტექტურულ, კერამიკულ, გრაფიკულ, სამხატვრო და ქანდაკების დარგებიდან, მხოლოდ პირველი ორი ფაკულტეტი მოგვცემს ჩვენი დროისათვის ნამდვილ სპეცებს, რომელნიც ჩვენ გვჭირდება მრეწველობაში.

თუმცა ამასვე ვერ ვიტყვით დანარჩენ სამ ფაკულტეტის შესახებ, რადგან იქ სწავლა რევოლიუციამდე არსებულ აკადემიის „სახითა“ და „მიმსგავსებით“ სწარმოებს, ამიტომ არც გასაკვირია, რომ ეს ფაკულტეტები ძალიან ჩამორჩენ თანადროულობას და არც სიცოცხლის ნიშან წყალს ატარებენ. ამ ფაკულტეტებზე მტკიცედ ჩამოყალიბებული, გარკვეული პროგრამაც კი არ მოეპოვებათ და მეცადინეობას

აწარმოებენ როგორც შეხვდებათ, ე. ი. მთლიანად ემყარებიან თითონ „სახელიან“ პროფესორების „გემოვნება“-ს.

ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს ფაკულტეტები დღემდის ასახიჩრებენ სტუდენტებს, ამზადებენ და ქმნიან მათგან არა მარტო უმუშევართა კადრებს, არამედ ყოვლად გამოუსადეგარ ხალხს, რომელნიც სამხ. აკადემიის კედლებში მიღებულ ცოდნას ვერსად და ვერაფერში ვერ იყენებენ.

რა „ცვლილებები“ გამოიმუშავეს სამხ. აკადემიის ცხოვრებაში თითონ სტუდენტების აქტივის მიერ არსებულ „წესები“-ს წინააღმდეგ დაწყილ კომპანიასა და აგრეთვე უკანასკნელ ხანებში ჩვენს პრესაში („ახალგაზრდა კომუნისტი“ და „Заря Востока“) მოთავსებულ შენიშვნებსა და წერილებთან დაკავშირებით?

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესორების ნაწილი ყოველივე იმას, რაც ხდებოდა — გულგრილად მოეპყრო; ამით მან გამოხატა თავისი მხრით აგდებული დამოკიდებულება საკითხისადმი, ალბად იმედი ჰქონდა „ბებიები“-ს; პროფესორების მეორე ნაწილი კი დაიბა... და დაიწყო „დამნაშავეთა“ ძებნა და შეეცადა მათზე გადაეტანა დამნაშავეობა; მესამე ნაწილი კი მართლა აღელდა, გამოფხიზლდა რა ხანგრძლივი ძილისაგან და შეატრიალა კურსი „თანამედროვეობისაკენ“. (ამით უნდოდა ხელოვნურად დაემალა თავის ფიზიოხმია) და „ტრადიციული“, „წიშველი“ ნატურებისა და „ნატურ-მორტები“-ს ნაცვლად... გამოაფინა სამუშაოდ — „მუშები ქურასთან“, „წითელარმიელი“ და სხვ.; მაგრამ ყოველივე ამაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ფორმალურ მიდგომას დასახულ ამოცანებისადმი, რომელთაც, რა თქმა უნდა, ამ გულუბრყვილო ზომებით ვერ გადასჭრი!

საჭიროა სასწრაფო და ძირეული გადატეხა სამხატვრო აკადემიის მთელი სტრუქტურის, რადგან ახლანდელი მისი არსებობა, უსარგებლოა და საზარალო და სახელმწიფოს აყენებს დიდ მატერიალურ დანაკლისს! „იმპერიის“ ეს „ნამსხვრევი“ ოდნავი შეცოდების გარეშე — მტვრად უნდა იქცეს (ამ შემთხვევაში არ უნდა დავტოვოთ, არც ერთი „ნამსხვრევი“) და შევქმნათ ახალი უმაღ. მხატვრ. ტექნ. ინსტიტუტი, რომელიც მართლა შესძლებს მოამზადოს და გამოუშვას ახალგაზრდა სპეციალისტების ახალ-ახალი კადრები, რომელიც ასე გვჭირდება ჩვენ რეკონსტრუქციულ პერიოდში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვეკითხებიან, როგორ მოვეჭცეთ პროფესორ მასწავლებელთა შემადგენლობას? ორი აზრი აქ არ შეიძლება არსებობდეს: პროფესორების და მასწავლებლების ნაწილი, რომელთა შორის ერთნი ძალიან მოძველდენ თავიანთ სწავლების

„მეთოდებით", მეორენი კი ვერ არიან საკმაო კვალიფიკაციისა და მომზადების მქონენი და ამის გამო (როგორც ერთნი, ისე მეორენი) წარმოადგენენ მხოლოდ ბალასტს — საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა გავდევნოთ საქ. სამხ. აკადემიიდან და მათ ნაცვლად მოვიწვიოთ სავსებით გამოსადეგი მასწავლებლები; მეორე ნაწილი კი — შეგვიძლია გამოვიყენოთ და ამიტომ დავტოვოთ, მხოლოდ უნდა მივმართოთ მათ გამოიცვალონ თავიანთი კურსი. მხოლოდ და მხოლოდ ამ აუცილებელი პირობით შეგვიძლია ვიქნეთ დარწმუნებული იმაში, რომ ახალ უმ. მხატ. ტექ. ინსტიტუტში, სწავლა იქნება დაყენებული ახალ ჯანსაღ საწყისებზე.

ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ დაკვრითი წესით, დაუყოვნებლივ, რადგან ყოველგვარი სიზანტე საქ. სამხ. აკადემიის რეორგანიზაციის მხრივ (და ამავე საქმესთან დაკავშირებულ საკითხების მხრივ) სიკვდილს უდრის! ამ ჟამად ზოგიერთ ფაკულტეტებზე (როგორც მაგ. გრაფიკულზე და სხვ.) შექმნილია სპეციალური კომისიები პროგრამის გამოსამუშავებლად მოსკოვის უმ. სამხ. ტექნ. ინსტ. („Вхутеин") შეფარდებით. ასეთი საქმის დაწყება მისალმების ღირსია და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობაც უნდა დაეხმაროს მათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც; დაინტერესებული დაწესებულებანი კი (როგორც მაგ. ს. მ. უ. ს. და საქ. განსახკომი) ამავე დროს უნდა დაეხმაროს მას აგრეთვე აუცილებელი სალსარით, რომელიც, უნდა ითქვას, საჭიროა მხოლოდ... 3-5 ათას მანეთამდის; ამიტომ ასეთი უმნიშვნელო თანხის გაუცემლობის გამო არ შეიძლება გაჩერდეს ის ახალი დიდი საქმე, რომელიც ახლობელ ერთი-ორი წლის განმავლობაში გვიჩვენებს თავის ნაყოფს და ასჯერ მეტად აანაზღაურებს მასზე გაწეულ ხარჯებს.

ამგვარად წინ — უმ. სამხ. ტექ. ინსტიტუტისაკენ!

ი. გამრეკელი

(მხატვარი)

ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პრობლემები უდიდეს ამოცანებს აყენებს ხელოვნების წინაშე. ბუმბერაზულ სოციალისტურ აღმშენებლობის პროცესში სახვითი ხელოვნება მძლავრ კულტურულ ფაქტორად უნდა იქცეს.

მხატვრობა უნდა შეუსისხლხორცდეს, ესხეულოს თანამედროვეობას, გადმოგვცეს სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის აღმშენებლობის გმირული ენტუზიაზმი. რევოლიუციონური ქარტეხილის პათოსი. ესთეტიზმის და განყენებული აკადემიზმის პრინციპები უნდა დავიწყებას მიეცეს.

ეპოქის სოციალური დაკვეთა სახვითი ხელოვნებას უტილიტარისტულ მიზნებს უყენებს და ამ მიმართებით უნდა გაიშალოს მხატვართა ინტენსიური შემოქმედება. რთული ეკონომიური და სოციალური პროცესები ჩვენი მხატვრების შემოქმედების მიღმა რჩება.

საქართველოს მხატვართა პროდუქცია ამ ჟამად ვერ ჰსახავს ეპოქის იდეებს და მიზნებს, ვერ ემსახურება ქვეყნის სოციალიზმის ლიანდაგზე გადაყვანის საქმეს.

„ქართველ მხატვართა საზოგადოება" დღეს არსებული სახით ანაქრონიზმია. კუსტარობას და ვიწრო ცეხურ განწყობილებებს ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა მომქმედი და სიცოცხლის უნარიანი ორგანიზაცია. ასეთად მე რევოლიუციონურ-პროლეტარულ მხატვართა ასოციაცია მიმაჩნია, რომლის დაარსების საჭიროებას დიდი ხანია ვგრძნობ.

სამხატვრო აკადემია — დილეტანტ „სტანკოვისტების" კერად იქცა: საჭიროა მისი გარდაქმნა, მასში ახალი პროლეტარული შემოქმედების სულის შთაბერვა. უნდა შევქმნათ ახალი მხატვრების კადრები, ახალი პროლეტარული ფსიქიკით ახალის გაქანებით...

კოტრნელი სანაძე

(მხატვარი)

საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში ოქტომბერი არ ასახულა. იდეოლოგიური ცდები მოხდა ახალი ფორმის და ხაზის გარეშე.

ოქტომბრის ასახვა არ არის მარტო წითელი დროშების და გამურულ მუშათა სახეების ასახვა, არამედ ახალი ცხოვრების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაა, ახალი რევოლიუციონური ხაზის და ფორმის, ახალი ადამიანის განსახიერებაა საჭირო; ასეთის ცდაც კი არ ყოფილა ჩვენში.

ქართველ მხატვართა საზოგადოებამ ხელის შეწყობის მაგივრად ხელი ზეუშალა რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზრდობას

(წინეთაც იყო გამოსვლების ცდები, მაგრამ ჩაქრობილ იქნა). ამ საზოგადოებას ახალგაზრდობა მიჰყავდა ჩიხისაკენ. რევოლიუციამ შეანგრია საიდუმლოებათა კოშკი და „ერეკლე მეფე"-ს კარის-კაცთ ჩამოხსნა ნიღაბები.

რეკონსტრუქციის პერიოდში მხატვრის ამოცანაა ახალი ადამიანის ჩვენება, ფორმის, ხაზის რეორგანიზაცია და იმ ტემპით მუშაობა, რომელიც ქარხნიდან გამოსულ დაღლილ მუშას მისცემს საშუალებას დაისვენოს ესთეტიურად მოწყობილ ოთახში, კლუბში და ქუჩაში, დაინახოს ისეთი სურათი, პლაკატი და ცხოვრება, რომელიც მასში გააძლიერებს სიცოცხლისადმი სიყვარულს და გაამხნევებს.

საჭიროა ჩამოყალიბდეს რევოლიუციონური პროლეტარული მხატ. ასოციაცია, სადაც შევლენ ისეთი ახალგაზრდა მუშაკები, რომელნიც გაუწევენ ზევით აღნიშნულ სამსახურს პროლეტარიატს.

აკადემიის მუშაობა ძლიერ სუსტი და უვარგისი იყო. ხოლო შემდეგში საჭიროა სრული რეორგანიზაცია და ისეთი სახელოსნოების ჩამოყალიბება, რომელიც ახალ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. სამხატვრო სასწავლებელი უნდა იძლეოდეს რეკონსტრუქციისათვის საჭირო კადრებს.

3. კოტეტიშვილი

(ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე)

თქვენს მიერ გამოგზავნილ ანკეტაზე გიპასუხებთ შემდეგს:

თუ რამდენად აისახა ოქტომბრის რევოლიუციის იდეები ქართვ. მხატვართა შემოქმედებაში, — ამის საუკეთესო მაჩვენებელი უკანასკნელი გამოფენა იყო, სადაც ექსპონატების დიდი უმრავლესობა თანამედროვეობას ასახავდა. როგ. რევოლიუციის, ისე ყოფის მხრივ. შეიძლება კარგად ვერ ასახავდა, არა ვდაობ, მაგრამ ცდა რომ იყო უდავოა. ეს კი, მხატვრებისათვის, უსათუოდ დიდი პლიუსია, რადგან ისინი ჰქმნიან ყოველგვარ დახმარების გარეშე. მოგეხსენებათ, რომ მათთვის არ არსებობს არც შეკვეთა, არც სახელოსნოები, არც ბაზარი, არც ნივთიერი საღსარი, და ასეთ პირობებში იმაზე მეტის მოთხოვნა, რაც გაკეთდა, შეუძლებელია. თუ შემდეგში ამ დარგს სერიოზული ყურადღება მიექცევა, ეფექტიც მეტი იქნება. მოთხოვნილება მხატვრულ პროდუქციაზე თუ გაჩნდება, ჩვენი მხატვრები მიწოდებას შესძლებენ კიდეც და არც გაექცევიან.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მოგახსენებთ, რომ ქართ. მხატვართა საზოგადოება ყოველ მხრივ, რაც მას შეეძლო, ხელს უწყობდა მხატვრების თანამედროვეობასთან დაახლოვებას. ქართველ მხატვართა საზ-ბა მონაწილეობას იღებდა და იღებს ყველა აქტუალურ საკითხთა მოწესრიგებაში; აწყობდა გამოფენებს მუშათა უბნებში, პროვინციაში, აწყობდა ექსკურსიებს თანამედროვე ყოფის შესასწავლად. მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის საიუბილეო გამოფენაზე მოსკოვში და საზღვარგარეთ, რისთვისაც საკ. სამხ. მეცნიერებათა აკადემიისაგან მიიღო ჯილდო „საპატიო ფურცელი" (დედანი საზ-ში ინახება) უფრო მეტიც გაკეთდებოდა ამ მხრივ, რომ იმდენი ყურადღება ექცეოდეს მხატვრობას, რამდენიც მწერლობას ექცევა. საზ-ბას ღრმადა სწამს, რომ თანამედროვეობის გარეშე ხელოვნება არცა ყოფილა და ვერც იქნება.

მხატვრობის ამოცანა რეკონსტრუქციის პერიოდში ჩემის აზრით ნათელი საკითხია. უეჭვოა, რომ მხატვრებმა უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნაში, მხოლოდ აქ მათი როლი დამოკიდებულია. ხელისუფლებამ უნდა ამ მიზნისთვის მხატვრობა გამოიყენოს სრულიად გარკვეულ შეკვეთების გზით. მხოლოდ სიტყვიერი კეთილი სურვილები არა კმარა, საქმეა საჭირო.

შემდეგი კითხვა: „საჭიროა თუ არა ჩვენში რევ.-პროლეტარულ მხატვართა ასოციაციის დაარსება", მგონია რომ ამ სახით არ უნდა აღძრულიყო. თუ ობიექტიური პირობები საამისოდ მომწიფებულია, საკითხი აუცილებლობის ხასიათს იღებს და არა სასურველისა. მაგრამ რახან კითხვა მაინც ასე სდგას, გიპასუხებთ, რომ სასურველია და აუცილებელიც.

რაც შეეხება უკანასკნელ კითხვას, სამხატვრო აკადემიის მუშაობის და პერსპექტივების შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის აქ ბევრი რამ არის გაურკვეველი, რადგან მის მუშაობასთან დამოუკიდებელ სიახლოვით არ ვიმყოფები. ვიცნობ მის ზოგად სტრუქტურას. რაც ჩემის აზრით ბევრს შესწორებას მოითხოვს და იქნებ რადიკალურსაც. მხოლოდ გვგონია, რომ ეს ნაკლიც, იმდენად აკადემიის სუბიექტიური ნების-ყოფისაგან არ გამომდინარეობს, რამდენადაც ობიექტიური პირობებისაგან. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიას, უნდა გათავდეს მისი გამუდმებულ რეორგანიზაციის პერიოდში ყოფნა, უნდა დადგინდეს მისი გარკვეული სახე. მიეცეს მტკიცე ფინანსიური საფუძველი და ნათელი ხელმძღვანელობა. ტენდენცია კი რასაკვირველია ისეთი უნდა იყვეს, რომ აკადემია ჩვენს სინამდვილეს მჭიდროდ დაუკავშირდეს, რომ მხატვარი წარ-

მოებაში ჩაებას. ამისათვის საჭიროა გამოყენებითი დარგების გაძლიერება, (რის ტენდენცია აკადემიას უკვე აქვს, მხოლოდ რეალიზაცია არის საჭირო) და აკადემიის პერსპექტივაც ამ მხრივ მეხატება. მხოლოდ ეს გამოყენებითი ხელოვნება ცალ-მხრივად არ უნდა იქმნეს გაგებული, რომ „გამოყენება" შეგვრჩეს და ხელოვნება კი დაგვეკარგოს.

ბ. ბოკრდეზიანი

(მწერალი)

ქართველ მხატვართა ნამუშევრებში მრავლად მოიპოვება ისეთი სურათები, რომლებიც ეხებიან ოქტომბრის რევოლიუციის იდეებით დაყენებულ თემებს.

ეს ნამუშევრები უფრო ზერელე განცდაა თემების ვიდრე მათი მხატვრული დამუშავება.

ძველ მსოფლმხედველობაზე აღზრდილ ქართველ მხატვრების უმრავლესობა ვერც შესძლებს ასეთ დამუშავებას სანამ არ მოახდენს საკუთარ შეგნების ძირეულად გარდაქმნას ოქტომბრის იდეების საფუძვლებზე.

გარდაქმნისათვის საჭირო იყო საზოგადოებრივი დახმარება იდეოლოგიურად გამოურკვეველ მხატვრებისათვის. ეს საქმე უშუალოდ „ქართველ მხატვართა საზოგადოების" მოვალეობას შეადგენდა.

თუ რამდენად შეუწყო ხელი ამ საზოგადოებამ მხატვრების თანამედროვეობასთან დაახლოვებას, — ამაზე ნათელ პასუხს წარმოადგენს გონებრივად ჯანსაღი ახალგაზრდობის მასიური გამოსვლა ამ საზოგადოებიდან.

თანამედროვეობამ ხანძარი გაუჩინა ობმოდებულ ისტორიას, ძველ ყოფას და განწყობილებებს.

მათ ნაცვლად იწყება ახალი ისტორია, ახალი ყოფა და ახალი განწყობილებანი. ამ რეკონსტრუქციის პერიოდში მხატვრის მიზანს უნდა შეადგენდეს:

უარ ჰყოს საგნების გადმოცემაში ფოტოგრაფიული მიმბაძველობა, ფერის, ხაზის და ფორმის ამ მიმბაძველობისთვის გამოყენება. აგრეთვე უარჰყოს ყოველივე ის რაც იწვევს მეტაფიზიკურ განწყო-

ბილებას, გრძნობების ქაოტიურობას და „ხელოვნების ხელოვნებისათვის" შემოქმედებას.

თანამედროვე მხატვარმა უნდა ნახოს, განიცადოს და იგრძნოს თუ ძველის ნანგრევებზე როგორ იქმნება ახალი საგნები და განწყობილებანი. სურათი უნდა გაიშალოს სოციალურ ფონზე. ამისათვის მხატვარი აუცილებლად უნდა ჩაებას სოციალისტურ მშენებლობაში.

სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა, შემოქმედებასთან ერთად, მოითხოვს ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას. რადგან ეს ვერ წესძლო „ქართველ მხატვართა საზოგადოებამ" აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებად მიმაჩნია რევოლიუციონურ-პროლეტარულ მხატვართა ასოციაციის დაარსება.

სამხატვრო აკადემიის დღევანდელი საქმიანობა მთლიანად დამყარებულია ძველ მხატვრულ ტრადიციებზე, — გამოცდილებებზე და მსოფლმხედველობაზე. ასეთ საქმიანობაში აზრს ვერ ვხედავ. ყოველ წლიურად აკადემია იძლევა ჩვენი თანამედროვეობისათვის გამოუსადეგ მხატვრებს და ზედმეტ ადამიანებს.

აკადემიური მუშაობა უნდა დაეყრდნოს თავისუფალ სახელოსნოების პრინციპს. ამ სახელოსნოებში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ფოტოს, კინოს, პოლიგრაფიულ და დეკორატიულ ხელოვნებას, ფერების ბიოლოგიურ თვისებათა აღმოჩენას, მათ კონსტრუქტიულ შეხამებას და ფერად აღნაგობათა მშენებლობას.

სიმონ ჩიქოვანი

(პოეტი)

ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავზე გამართული ქართველ მხატვართა გამოფენა, ქართველი მხატვრების სრული ჩამორჩენილობის დამამტკიცებელია.

პროლეტ-მწერლების გამგეობის პლენუმზე ამხ. ბუაჩიძის მოხსენების გარშემო კამათში გამოსვლისას, მე სრულიად დავეთანხმე მომხსენებელს და ზემოხსენებულ დებულებას ვანვითარებდი.

აქედან ცხადია რომ, ამხ. ლუარსამიძის და დ. ქუთათელაძის ბეჭდვითი გამოსვლა დროული იყო და სათანადო რეზონანსიც შექმნა.

ქართველ მხატვრობას მოსე თოიძის რევოლიუციონიზმი ვერ იხსნის. მოსე თოიძე პასეიზმია გასაბჭოებულ ნიღაბით.

ქართველ მხატვრობას ახალი ნაბიჯების გადადგმა სჭირია. სამხატვრო აკადემიას უნდა სათანადო რეორგანიზაციაც და სამოქმედო გეგმის შეცვლა. ზედმეტ ესთეტებს ხელმძღვანელობის რიგებიდან სჭირია განდევნა.

წარმოებებთან მხატვრების დაახლოვება, მხატვრების მიერ წარმოების გადახატვას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ წარმოებაში მონაწილეობის მიღებას და თვითონ მხატვრობის წარმოებითი იარაღათ გადაქცევას. (მე მგონი ფრჩხილების გახსნა საჭირო არ არის).

პროლეტარულ მხატვართა ასოციაციის დაარსება აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია, მხოლოდ ფორმულა „პროლეტარული მხატვრობა" არ უნდა გავიგოთ „ახრი"-ს ტრაქტოვკით. მხატვრების ჯგუფი „ოქტომბერი" მიმაჩნია პროლეტარულ მხატვართა სასურველ გაერთიანებათ და მათი პროგრამა კარგათ უპასუხებს ყველა იმ ამოცანებს, რომელსაც თანამედროვეობა უყენებს მხატვრულ პროდუქციას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ე ა ტ რ ა ლ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

რუსთაველის თეატრი

„ყამირი" — იანოვსკისა, გადმოკეთებული ს. შანშიაშვილის მიერ, დადგმა აკ. ვასაძის, მხატვ. ი. გამრეკელი, მუსიკა გ. კილაძის.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის ზრდამ მომაკვდავი კლასიური მტრების საპასუხო იერიშები გამოიწვია. დღეს საბჭოთა ქვეყანაში კლასიური ბრძოლის გამწვავების უდავო ფაქტის წინაშე ვდგევართ. სოფლად და ქალაქად ბურჟუაზია და კულაკობა იბრძვის პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ.

იანოვსკის „ყამირი" იმითაა მნიშვნელოვანი, რომ შედარებით მხატვრულადაც გადმოგვცემს დღეს წარმოებულ კლასიურ ბრძოლას სოფლად. თუმცა ამ ბრძოლის მხატვრულ განსახიერებისათვის აგიტ-პლაკატის საშუალებას იყენებს ავტორი, მაგრამ მისი ზეგავლენა მაყურებელზე გაცილებით მეტია ვიდრე ჩვეულებრივი აგიტკისა. ავტორს და შემდეგ გადმომკეთებელს კარგად ჰქონია გათვალისწინებული ამ პიესის მიზნობრივი დანიშნულება. ამ მიზნობრივი ცენტრის ირგვლივ შესაფერი სიტყვიერი მასალა არის ნახმარი, რითაც გამომჟღავნებულია ზოგიერთი პერსონაჟების ნამდვილი გულნადები. სამწუხაროდ ბოლომდის ვერ არის გატანილი ეს მიზნობრივი მთლიანობა.

ვნახოთ თუ როგორია თვით პიესის სიუჟეტი:

ერთ-ერთი სოფლის ღარიბი გლეხები აარსებენ არტელს. მდიდრები შეშფოთებული არიან ამ ამბით, საშუალო შეძლების გლეხები-კი პირობების და დროის მიხედვით მოქმედობენ. მდიდრები შეკავშირებულად უტევენ კომუნარებს. მათ მხარეზეა სოფლის საბჭო (თავმჯდომარე და მდივანი). სამაზრო ცენტრი წესაფერ ყურადღებას ვერ აქცევს არტელს და პირველ ხანებში არტელს მეტად უძნელდება საქმის გაძღოლა. არტელის წევრები ხშირად მერყეობენ სიძნელეების წინაშე. ბოლოს მუშათა ბრიგადის, კომკავშირელების და სამაზრო ცენტრიდან მოსულ ამხანაგების დახმარება ამხნევებს მათ

და მორიგ შეტევაზე გადადიან „მიჯნების“ და მათ დამცველ ბობოლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს სამოქალაქო ომის ინვალიდი სიკო.

სიკოს როლი, რომელიც ერთგვარი სიმბოლიური სახეა საქართველოს გლეხობის რევოლიუციონური ბრძოლისა, მეტად შელოდრამატიულია. ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს თვით დამდგმელს. სცენიურად საჭირო ხდება ამ მუნჯისა და საჭურისის ბიოგრაფიული გამართლება, ამისათვის დამდგმელი ხან ზღაპარს მიმართავს ხან ფანდურს, მაგრამ ორივე შემთხვევაში აგიტკის იოლი შთაბეჭდილება რჩება.

რეჟისორის გამოგონებითი ხერხები საერთოდ მჭიდროთაა დაკავშირებული დეკორატიულ გაფორმებასთან. ამ მხრივ „ყამირში“ ყურადღებას იქცევს სცენის განთავისუფლება ზედმეტი დეკორატიული ნაგებობებიდან. (რაც მიღწევაა რუსთაველის თეატრისათვის). თუმცა ამ პიესის გაფორმებისათვის ასეთი „მიღწევა“ ვერაა მიზანშეწოლად გაკეთებული.

სცენის წინა პლანიდან იწყება ჩამოკიდებული კიბე, მიემართება ძალიან მაღლა, შემდეგ პირდაპირი მიმართულებით უერთდება სიღრმეს, სადაც ნაგულისხმევია ეკლესია. ცხადია არც კიბე და არც ჰაერში ჩამოკიდებული ეკლესია სინამდვილეს არ შეეფერება და „კონსტრუქცია“ ისევე პირობითია, როგორც მეიერხოლდის კიბე „ტყეში“. ამ პირობითი მეთოდის გამოყენება შეიძლება გაგვემართლებია, რომ კიბის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე მიმავალი შარაგზა (ლობეებით) მეტად ნატურალისტური არ ყოფილიყო: ეს უკვე მხატვრულ უპრინციპობას გულისხმობს.

ასეთივე სტილთა აღრევა ემჩნევა თვით მსახიობების დამუშავებასაც.

სოფლის საბჭოს მდივანის, პავლეს (ლალიძე) გროტესკული ფიგურა, ნატურალისტურად განსახიერებული ვაჭარი (ნ. გოცირიძე) და რეალისტური სიმტკიცით შექმნილი ღარიბი გლეხის სახე ვ. გოძიაშვილი) შეიძლება კარგი სანახაობაა თავის თავად, მაგრამ მხატვრული კომპოზიციის მხრივ გაუმართლებელია.

ყურადღებას იქცევს კოლმეურნეობისათვის მებრძოლი ქალი მართა (ც. თაყაიშვილი) თავისი ნიჭით, მაგრამ ამ როლში საკუთარ მიღწევებს ვერ იჩენს. მისი თამაში ხშირად მსახიობ გლიზერის მიერ შექმნილ სახეებში გადადის, გადაჭარბებულად ანჩხლობს და უფრო „აშარ“ ქალს წააგავს, ვიდრე ტრადიციებით დამძიმებულ, მაგრამ ახალი ეპოქის ინსტიქტიურად გამგებ ქალს.

მასიური სცენების დამუშავებაში, ჩვენი გლეხობის და სოფლის ყრილობების თავისებურების დანახვაში რეჟისორი იჩენს დიდ დაკვირვებას, კარგ ცოდნას და რაც უმთავრესია მხატვრულ ალღოს. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ახალგაზრდა მსახიობის ვ. გოძიაშვილის მიერ შესრულება ღარიბი გლეხის როლისა. არის მომენტები, როდესაც არტისტი ხელოვნების უმაღლეს საფეხურამდე მიდის. მის მიერ განსახიერებული გლეხი არაა მიბაძვა რომელიმე ერთეულის. მსახიობს შეუთვისებია ყველა დამახასიათებელი ხაზები პერსონაჟისა რითაც ტიპიურობას აღწევს.

ეს დადგმა აუცილებლად უნდა იქმნეს გადატანილი კლუბებში და სოფლის სცენებზე. მხოლოდ ამისათვის საჭირო იქნება მუშათა ბრიგადების და კომკავშირელების გამოჩენას სოფლად მეტი ყურადღება მიექცეს დამდგმელის მიერ და სრულიად მოიხსნას პავლეს და მართას სიყვარული, რომელიც ავტორის მიერ მეტად უწნოდ და ზედმეტად არის ჩაკერებული ტექსტში.

დ. ბ.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი — **პოემები** — სახელგამი. 1930 წელი.

ალ. მაშაშვილის შემოქმედება — უშუალოდ დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციასთან... პოეტმა გაიარა საკმაოდ ვრცელი გზა. ამ ვრცელ მანძილზე — სარეცენზიო წიგნის ავტორი მოსჩანს, როგორც ახალი ეპოქის ძლიერი შემომქმედი.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ყველა პოემები ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს ეხება.

პოემა „აი ადამიანი!" გაშლილია თანამედროვე ცხოვრების ფონზე, პოეტს სურს მოგვცეს — ჩვენი პარტიის ზოგიერთი გადაგვარებული ელემენტების ფსიქოლოგიური განწყობილება. მაშაშვილმა მკითხველ საზოგადოების წინაშე — გააშიშვლა ადამიანი, დამძიმებული ძველი ტრადიციული საკუთრებით, ადამიანი, რომლის ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა, რომლის ოთახი წარმოადგენს ყოველგვარ სიძველის თავშესაფარს. მისთვის თბილი ბუხარი, კომფორტი და რომელიმე მოძველებული პოეტის ლირიული ლექსების აკრემლება როიალის „გულსაკლავ" მელოდიაზე, უფრო ძვირფასია, ვიდრე მილიონიანი მასების ეკონომიური და სულიერი მოძრაობა. პოეტს მშვენივრად აქვს გაკეთებული — განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც პოემის გმირს რომანულ ნიადაგზე — აღმასკომის თავმჯდომარის ცოლთან შემთხვევა: „რევოლიუციონური ეპიზოდი" პოემა ბოლოვდება შემდეგი სიტყვებით:

„ასე თავდება ჩვენი პოემა
თანამედროვე საქმის აზრებით;
სადაც აქა-იქ მოგვეპოება
ადამიანი, როგორც ასეთი" —.

აქ სჩანს მაშაშვილის პოეტური ალღო. მისთვის — ასეთი ადამიანები — მასიურად კი არ არის ჩვენს პარტიაში, არამედ „მხოლოდ აქა-იქ მოიპოვებიანო". —

პოემა „მე და ბარათაშვილი"-ს მხატვრული და იდეური კონცეპცია ძირითადად უპირისპირდება წარსულს. აქ იბრძვის ორი ქვეყანა: ძველი და ახალი. პოემის ამოსავალი წერტილი ძველი და ახალი საქართველოს ჭიდილია. ერთმანეთს ებრძვის: ინდუსტრია და მერანი. ელექტრონი და ძველი, საიდუმლოებით მოცული მთაწმინდა. ყარაჩოღელების დარდიმანდული, ბოჰემური ცხოვრება — არღანით და მუშათა კლასი — ქარხნებით. გაციებული მთაწმინდის მთვარე და ცხელი პროსპექტი.

კონსერვატიზმით და რეტროგრადობით დაავადებულ მკითხველთა ფენებში მაშაშვილმა მხოლოდ რისხვა დაიმსახურა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ პოეტს ეს არ აშინებს, რადგანაც:

„დღეს პოეზიაც სუნთქავს ლითონით
მოაქვს სიცოცხლე ახალ ქართული
გუგუნებს ჭუჩა, ქვის ბარიტონი
ზღვა მავთულებით გადახლართული".

„პოეტი კაპიტანი" მკითხველში ჰქმნის ბრძოლის განწყობილებას. პოეტი — რევოლიუციის ცეცხლით, მოწყურებული საქვეყნოდ აცხადებს!

„მზათ ვარ ვიბრძოლოთ—ოქტომბრიდან
უკანასკნელ გამარჯვებამდე".

ამგვარივე ბრძოლის განწყობილებებით დაწერილი: „აი ცხოვრების მთავარი თემა", „განაჩენი", „ინციდენტი უჯრედის კრებაზე", „პასუხი მოგონებას",

„ლენინი ჩვენს საქმეში“, „რიქშა“, „საზეიმო თქმა“ და სხვა. ამას წინათ ერთი ამხანაგი აღნიშნავდა, რომ მაშაშვილი არის „ბრძოლის პოეტი“ და სწორედ ამაშია მისი როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. ხშირად ამ ბრძოლებში მაშაშვილის აწეული და ზოგჯერ მყვირალა ტონი — კლასობრივი მესიანიზმით კი არ არის გამოწვეული, არამედ პირადი „მამლაყინწაობით“. ფაქტები:

1 „შენ პოეტი ხარ
სიცოცხლეში ლექსს ფრთხილად უვლი.
მე კი ბრძოლის და ამბოხების
ძველი ორბი ვარ“ —

(„პოეტი კაპიტანი“).

2. „ჰქრიან დროშები
და გარშემო მასა ტრიალებს,
მეც დროშასავით მეგობრებში
ამართული ვარ“ —

(„საზეიმო თქმა“).

3. „ვყვირი, ვლრიალებ — თითქმის
დაინგრა,
გული ცემითა გაშავებული,
თითქმის ეს ხალხი არის ტაიგა.
და მე ვეფხვი ვარ გამოქცეული“.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მაშაშვილს აკლია ზომიერების გრძნობა. მას ხშირად ეკარგება რევოლიუციის ამოსავალი წერტილი და გალაქტიონ ტაბიძესავით, სინამდვილის მიღმა ეძიებს მის ნამდვილ ბუნებას. „ძველ მაზარაში“ „რევოლიუციონური“ აკრემლება ამ გრძნობის უქონლობით არის გამოწვეული.

„საკუთარ ხელით ამოვითხრი ორივე
თვალებს —
ამდენმა ბრძოლამ უშედეგოდ თუ
ჩაიარა“. —

როგორია მაშაშვილის ფორმალური მიღწევები?

პოეტმა შექმნა მხატვრული სახეების მთელი რიგი, რომელიც არა მარტო პროლეტარულ პოეზიაში, არამედ ქართულ პოეზიაშიც დარჩება, როგორც უკვდავი სახეები. ამასთანავე იგი უხვად სარგებლობს, როგორც ფუტურისტებიდან ისე სიმბოლისტებიდანაც.

ეპოქის დინამიურობამ შექმნა თავისი სტილი, რიტმი და რითმა. მანვე დაარღვია სილაბიური ლექსთა წყობა და პოეზიაში გააბატონა: ნაპირებ დატეხილი სტრიქონები, დარღვეული მეტრი და არეული რიტმი. აქ რითმის მაგიერობას ეწევა ასოების აკუსტიური დამსგავსება. მაშაშვილის პოეზია ამ მხრივ ძალიან მდიდარია, მაგალითად: დავესწარ — ღამესაც, საღამოს—საჩქაროს, წკრიალებს—წვრილმანზე, მსჯელობენ — შენობებს, ლაპარაკს — აპარატს, გახშირდა — ბალში მან, დადის — მანდატი, სრულიად — გამორიცხულია და სხვა.

ალ. მაშაშვილი ძლიერია — როგორც იდეურად ისე სტილისტურად.

სარეცენზიო პოემების მხატვრული და იდეური კონცეპცია ძირითადად უპირისპირდება — არა პროლეტარულ პოეზიის რეაქციონურ აკრემლებას.

დ. ბენაშვილი.

~~ბენიტო ბუბაჩიძე~~ — ბრძოლა ჰეგემონიისათვის 1930 წ. „შრომა“.

მხატვრული ლიტერატურისა და მისი კრიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ძველი მექანიზმი დაინგრა იმ დიადი სოციალ-ეკონომიური გარდატეხის შედეგათ, რომელსაც ოქტომბრის რევოლიუცია ეწოდება. ოქტომბრის შემდეგ პროლეტარულ ლიტერატურის ზრდაგანვითარების პარალელურად მარქსისტული კრიტიკა შეუჩერებლივ მიისწრაფვის იდეიურ-ლიტერატურულ ჰეგემონიისაკენ. ამ პროცესს აქვს არა მარტო ვიწრო „ლიტერატურული“ მნიშვნელობა, არა-

მედ იგი ასრულებს დიდ საზოგადოებრივ როლს კულტურულ რევოლიუციის მიმდინარე პროცესში.

თანამედროვე კრიტიკა უდიდესი სოციალური ფუნქციების მატარებელი ნაკადია ჩვენს ცხოვრებაში და მას აქვს არა მარტო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, მწერლის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობის თვისება, აგრედვე იგი ერთი მძლავრი ფაქტორია პროლეტ-მწერლობის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში.

საქართველოში პროლეტ-მწერალთა პირველ თაობას არ ჰყოლია თავისი ლიტერატურული კრიტიკოსი. პროლეტარული კრიტიკა, როგორც იდეიური მოძრაობა ჩამოყალიბდა პროლემაფის გამოსვლის შემდეგ. ეს მომენტი იყო გარდატეხის პერიოდი, ახალი ძალები მთელი ენერგიით შეუდგენ მუშაობას. დღევანდელი პროლეტ-მწერლობის ძირითადი კადრი, რომელიც სათანადო პასუხს აძლევს ყველა ახალ ამოცანებს, ჯერჯერობით ისევ პროლემაფელების თაობაა.

ამხ. ბ. ბუაჩიძე, რომელიც დღეს მუშაობს ლიტერატურული კრიტიკის ფრონტზე, არის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ქართული პროლეტარული მწერლობისა. მისი მუშაობა იწყება დაახლოებით იმ ხნიდან, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა პროლეტ-მწერლობის ზემოხსენებული თაობა. დაწყებული ამ წლებიდან დღემდე მრავალი აქტუალური კითხვა წამოიჭრა მარქსისტული კრიტიკის წინაშე, აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია მემარჯვენე მწერლობის შემოტევების გაძლიერება პროლეტარულ იდეოლოგიის წინააღმდეგ, ეს მოვლენა არის ბუნებრივი შედეგი რეკონსტრუქციის პერიოდისა. „კლასთა ბრძოლა გრძელდება და მწვავდება. სოციალისტური ელემენტების დაგროვება და შეუჩერებელი ზრდა იწვევს წარსულის ნაშთების ამოძრავებას და მათ უკანასკნელ სასიკვდილო გაბრძოლებას. ზავი შეუძლებელია".

ასეთ დროს პროლეტარული კრიტიკა უნდა იყოს მკვეთრი იარაღი მემარჯვენეთა ემოციონალური ზეგავლენის აღკვეთისათვის.

სწორედ ამავე მიზეზითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ამხ. ბ. ბუაჩიძის უკანასკნელ წიგნში „**ჰეგემონიისათვის ბრძოლაში**" ძლიერ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პროლეტარული პოზიციების გამაგრებას მხატვრული აზროვნების ფრონტზე.

როგორც ამ წიგნის შესავალში აღნიშნავს ავტორი ქართულ ლიტერატურაში ზემოხსენებული პროცესი „მეტლავნდება რთულ და მრავალნაირ ფორმაში", ამიტომ არის საჭირო უფრო მეტი გამახვილება თვალთახედვისა და საერთოდ კრიტიკის ბასრი იარაღისა.

როგორია ამ პროცესების იდეიური შინაარსი?

1. „გამოცოცხლება დაეტყოთ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ მწერლობის წარმომადგენლებს".

2. „გააქტიურდა ახალი ბურჟუაზიის მწერლობა".

3. „თანამგზავრების ნაწილი მარჯვნივ გადაიხარა" და

4. „მწერლობაში სათანადო ადგილი ჰპოვა წითელმა ხალტურამ".

წიგნის პირველი განყოფილება მიზნათ ისახავს ამ მოვლენების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას.

პირველი წერილი („ქართული მწერლობის გზები") წარმოადგენს სრულიად საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საბჭოს პირველ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენების სტენოგრამას. ამ წერილში ზოგადათ მოხაზულია მთელი ის საკითხები, რომელთაც ამუშავებს ქვევით ბ. ბუაჩიძე. ავტორი პირველ ყოვლისა აღნიშნავს ბრძოლის იმ მეთოდებსა და ფორმებს, რომელიც ახასიათებს რეაქციონურ მწერლობას, ასეთ ფორმებათ ბ. ბუაჩიძეს მიაჩნია მწერალთა ერთ ნაწილის საბოტაჟი. მეორე ნაწილი მწერლობისა აშკარათ აღიარებდა თავის ანტი-

საბჭოთა იდეალებს, ეს უკანასკნელი გამოდიოდა, როგორც მენშევიზმის აპოლოგეტი. ეს უკანასკნელი, როგორც განსაკუთრებული „კლასობრივი რაზმი“ უკანასკნელ ხანებში სავსებით გაკოტრდა;

ბ. ბუაჩიძე აქვე გაკვრით იხილავს მემარჯვენე მწერლობის მთავარ წარმომადგენლებს, მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია კონსტ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე და მიხ. ჯავახიშვილი. მემარჯვენეთა თეორია სავსებით გაკოტრდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ზოგიერთი მემარჯვენე ნწერალი (გერონტი ქიქოძე) ერთგვარი ნილილიზმით უცქერის ჩვენს წინსვლას და დარწმუნებულია საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ უძლურებაში.

მემარჯვენეობა იზრდება ნაციონალისტური ხაზით, ბანდიტიზმის აპოლოგიით და სხვა ამგვარი ავადმყოფური ხავსმოდებული იდეების „პოპულიარიზაციით“. წიგნის პირველ ნაწილში განხილულია ამ ბანაკის ისტორიზმი, მისტიკა, პორნოგრაფია, და სხვა.

მემარჯვენე ფრონტის იდეების კონცენტრაციის გამოხატულებას წარმოადგენდა არიფიონის სალიტერატურო დაჯგუფება. ამავე დროს, როგორც ამბ. ბუაჩიძე ამბობს, ამ ჯგუფში მოექცა ერთი პატარა ნაწილი თანამგზავრი მწერლებისა. ამიტომ „ჯგუფის დაშლა ჩვენ უნდა შევაფასოთ, როგორც დადებითი მოვლენა“ (იხ. გვ. 82). „არიფიონი“ არქირეაქციონური მოვლენა იყო. მასში თავი მოიყარა „მისტიციზმის სიბნელემ“, „სულელურ ზღაპრებმა“, „გაცვეთილი სიყვარულის ისტორიებმა“, „ნაციონალისტურმა ბოდვამ“ და ათასგვარმა ცილისწამებამ ახალი ცხოვრების წინააღმდეგ.

გაცილებით უფრო მავნე მოვლენაა ე. წ. წითელი ხალტურა. **ხშირად მემარჯვენე მწერალი საბჭოთა პასპორტს „ეძებს“ თავის „მუშაობის“ უზრუნველსაყოფად“** (ხაზი ამბ. ბუაჩიძისაა) ასეთ შემთხვევაში შემოქმედებითი პროდუქციას ეძლევა ხალტურული ხასიათი.

წიგნის მორე ნაწილი ეხება ლიტერატურული პოლიტიკის საკითხებს.

პროლეტარულ კრიტიკის ერთი მთავარი ამოცანათაგანია ბრძოლა პარტიის სახელოვნო პოლიტიკის სიზუსტით გატარებისათვის. ამ ბრძოლას ამიერ კავკასიაში ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიური პირობები, ამიტომ საჭიროა კრიტიკული იარაღის მოხერხებული ხმარება. ეს რასაკვირველია სრულებით იმას არ ნიშნავს თითქოს „ნაციონალური ლიტერატურის განვითარებას ჰქონდეს თავისი იმანენტური კანონები“; ასეთი შეხედულების წინააღმდეგ სრულიად სამართლიანად ილაშქრებს წიგნის ავტორი. ბ. ბუაჩიძის წიგნში მოთავსებული წერილები საკმაოდ ნათელ სურათს იძლევიან იმ ბრძოლისას, რომელიც წარმოებულ იქმნა სწორი რეზოლიუციის შესამუშავებლად. ამბ. ბ. ბუაჩიძე აქ ებრძვის არა მარტო სიმბოლისტების ბანაკის დამცველ არსენიშვილის ბურეუაზიულ ფორმებს, არამედ მას უხდება იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელიც წარმოიშვა ქართულ მწერლობის მემარჯვენე ფრონტის ზოგიერთ წარმომადგენელთა საშვალებით. ჩვენ ვლაპარაკობთ ბეს. ელენტის შემცდარი არგუმენტაციების შესახებ. ამ უკანასკნელმა პროლეტ-მწერლობის ჰეგემონია გამოაცხადა „ღრმა პრინციპიალურ შეცდომათ“.

რეზოლიუციის პროექტის გარშემო წარმოებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესში ადგილი ჰქონდა სხვა გვარ ღრმა პრინციპიალურ შეცდომებსაც. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია შურა დუდუჩავას აზრი, რომელიც სრულიად არასწორად ახასიათებს თანამედროვე ქართულ მწერლობის შიგნით არსებულ თანამგზავრულ ტენდენციებს. შ. დუდუჩავამ ცისფერყანწელების მთელი ჯგუფი თანამგზავრად გამოაცხადა, ბ. ბუაჩიძე სათანადო თეორიული ახსნა-განმარტებით ექსპრესიონისტული შიმდინარეობის გარშემო, სცდილობს უარყოს ზემოხსენებული დებულებები.

სრულიად სამართლიანად ებრძვის ბ. ბუაჩიძე ყველა იმათ, ვინც ვერ ერკვევა თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებში და ამახინჯებს არსებულ სიტუაციას.

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში არის აგრედვე ერთი მახინჯი მოვლენა. ეს არის ლიბერალური კრიტიკა. ამ კრიტიკამ იპოვა თავისი გამოვლენა ამ წინა ხანებში ისეთ მახინჯ ფორმებში, როგორიც იყო გრ. მუშიშვილის გამოსვლა „პროლეტარულ მწერლობის დასაცავად". მუშიშვილის გამოსვლა „მნათობის" ფურცლებზე ეს იყო „პროლეტარულ საზოგადოებისათვის ზედმეტი და უხეირო პროვოკაცია".

არანაკლებ საშიშია ისეთი გამოსვლები, რომლის მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქმნას ვ. ბახტაძის, თ. ბეგიაშვილის და სხვების გამოსვლები; მათ სცადეს ლიტერატურაში კლასიური ბრძოლის მიჩქმალვა.

ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ამხ. ბ. ბუაჩიძის წიგნისა მდგომარეობს იმაში, რომ აქ ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული პროლეტარული მწერლობის თანამედროვე მდგომარეობის და საპერსპექტივო ამოცანების დასახვას. ეს არის ძლიერ დიდი ნაკლი მთელი თანამედროვე ქართული პროლეტარული კრიტიკისა. ბ. ბუაჩიძე ამ წიგნში ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევს პროლეტარულ მწერლობას. იგი შესავალში სწერს: **„წიგნის მთავარი მიზანია ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის მავნე რეაქციონურ მხარეებთან ბრძოლა,** რომ ამით შეუქმნას ნოყიერი ნიადაგი პროლეტარულ და ნამდვილ თანამგზავრულ მწერლობის თავისუფალ განვითარებას" (ხაზი ჩემია—გ. ნ.) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ზემოხსენებული ნაკლი ამ წიგნისა.

წიგნის მესამე განყოფილება მიზნად ისახავს პროლეტ-მწერლობის თანამედროვე მდგომარეობის განხილვასა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს **ნაწილი რაოდენობრივი თვალსაზრისით არ არის საკმარისი.**

პროლეტ-ლიტერატურის მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ამხ. ბ. ბუაჩიძე ახასიათებს პროლეტ-მწერლობის თანამედროვე გზებს და პრინციპებს. მათგან ჩვენ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ კლასიკოსების პრობლემა. ამხ. ბუაჩიძე პირველ რიგში ებრძვის „კლასიკოსებისაგან სწავლის დამახინჯებულ ფორმას". „პროლეტარულ მწერალს, რომელიც კლასიკოსებისაგან სწავლობს საკუთარი შემოქმედებითი მუშაობის დროს გადმოაქვს მისი განწყობილება, იდეოლოგია, ეს კი დეკლასიური ტენდენციაა".

შემდეგ ბ. ბუაჩიძე იხილავს ამ გადამახინჯების პრაქტიკულ მაგალითებს.

„სპეციფიურ ლიტერატურულ ცოდნასთან ერთად საჭიროა ღრმა პოლიტიკური განვითარება", ამ ამოცანას დღესაც არ დაუკარგავს თავის აქტუალური მნიშვნელობა.

ამოცანების დასახვის გვერდით ბ. ბუაჩიძე ებრძვის „ავადმყოფურ მოვლენებს პროლეტ-ლიტერატურაში".

საერთოდ ეს წიგნი „ჰეგემონიისათვის ბრძოლაში" წარმოადგენს ფრიად დადებით მოვლენას ჩვენს ლიტერატურულ ფრონტზე, იგი თანაბრად საჭიროა, როგორც მწერლობის განსაზღვრული ფენებისათვის, აგრედვე იმ ახალი მკითხველისათვის, რომელსაც ესაჭიროება სახელმღვანელო ხაზი იდეოლოგიური გარკვევისათვის ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. წიგნში მარქსისტული თვალსაზრისით გადაჭრილია ის ამოცანები, რომელიც წამოაყენა მწერლობის წინაშე კულტურულ რევოლიუციის ეპოქამ.

გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ბუაჩიძე, ვ. ლუარსამიძე, ა. მაშაშვილი, ს. ეული და შ. რადიანი.